Под нашим наблюдением находилось 38 детей, больных РА. Из общего числа обследованных детей 25 страдало суставной, а 13—суставно-висцеральной формой заболевания. В фазе ремиссии было 5 больных, с минимальной активностью—12, с умеренной—13, с максимальной (III степени)—8. Множественное поражение суставов наблюдалось у 61,6% детей, олигоартрит—у 26,4%, моноартрит—у 13%. С длительностью заболевания до 3—4 лет было 28 детей, а 5—7 лет—10. Диагноз РА ставили на основании общепринятых клинических, иммунологических, биохимических и гематологических характеристик.

Оценку функционального состояния тромбоцитов проводили по уровню кровяных пластинок, их адгезивных и агрегационных свойств с помощью метода фазово-контрастной микроскопии.

Исследование тромбоцитарного звена гемостаза у детей, больных РА, выявило следующие закономерности: у большинства больных увеличивалось число тромбоцитов, повышалась их адгезивная способность и снижалась агрегационная функция. Причем при суставной форме заболевания у детей в фазе ремиссии число тромбоцитов находилось в пределах возрастной нормы, с активацией процесса их число достоверно увеличивалось ( $320,5 \pm 22,4$  тыс. в мкл,  $P < 0,05$ ). При суставно-висцеральной форме заболевания у детей с минимальной активностью число тромбоцитов имело тенденцию к увеличению, а при III степени отмечался выраженный тромбоцитоз ( $480,2 + 75,5$  тыс. в мкл,  $P < 0,001$ ). Следует отметить, что тромбоцитоз был более характерен



для ранней стадии заболевания, а после 5—7 лет болезни количество тромбоцитов находилось в пределах нормы как в фазе ремиссии, так и при минимальной активности заболевания.

Адгезивная способность тромбоцитов у детей с суставно-висцеральной формой РА была существенно повышенной (индекс адгезии  $79,8 \pm 4,2\%$ ,  $P < 0,05$ ). При суставной форме заболевания эта функция имела только тенденцию к увеличению (индекс адгезии  $70,1 \pm 3,3\%$ ).

У детей с длительностью заболевания 5—7 лет вместе с нормализацией числа тромбоцитов наблюдалась тенденция к нормализации их адгезивной функции. Это может свидетельствовать об адаптации организма в условиях нарушенного гомеостаза, а возможно, и о прекращении процессов дезорганизации соединительной ткани.

Исследование агрегационной способности тромбоцитов при суставной форме РА выявило тенденцию к ее снижению в фазе ремиссии (индекс агрегации  $30,5 \pm 4,4\%$ ) и достоверное снижение уже при минимальной активности процесса ( $P < 0,05$ ). С увеличением активности патологического процесса индекс агрегации снижался. При суставно-висцеральной форме заболевания эти изменения были выражены значительно ( $P < 0,01$ ). Вероятно, что связано с более значительным поражением сосудов микроциркуляторного русла при данной форме заболевания и участием тромбоцитов в поддержании целостности сосудистой стенки.

Таким образом, изучение тромбоцитарного звена гемостаза у детей, больных РА, позволило выявить связь между функциональным состоянием тромбоцитов и клинической формой заболевания, активностью патологического процесса и его длительностью. Наиболее выраженной оказалась связь при суставно-висцеральной форме РА, где увеличение содержания тромбоцитов сопровождалось повышением их адгезивной способности и снижением агрегационной функции. При суставной форме заболевания увеличение количества тромбоцитов сопровождалось только снижением агрегационных свойств. При усилении активности воспалительного процесса выявленные функциональные изменения тромбоцитов нарастали. Нарушения тромбоцитарного звена гемостаза при РА носили характер приобретенной тромбоцитопатии. Исследование показателей функционального состояния тромбоцитов могут быть использованы в качестве объективных тестов диагностики и течения РА у детей, а также помогут в выборе наиболее эффективных схем лечения, особенно при протекающих с явлениями тяжелого васкулита форм.

თბილისის სახელმწიფო  
მედიცინის ინსტიტუტი

(Поступило 28.4.1988)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ლ. ლომთათიძე

ჰემოსტაზის თრომბოციტარული რგოლის მდგომარეობა  
რევმატოიდული ართრიტით დაავადებულ ბავშვებში

რეზიუმე

ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა თრომბოციტების ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევები რევმატოიდული ართრიტის დროს, ამასთანავე გამოვლინდა კორელაციური კავშირი თრომბოციტარული ჰემოსტაზის მაჩვენებლებსა და დაავადების კლინიკურ ფორმებს, პროცესის აქტივობასა და ხანდაზმულობას შორის.

ჰემოსტაზის თრომბოციტარული რგოლის ცვლილებები ბავშვებში ატარებს შექმნილი თრომბოციტობათიის ხასიათს. თრომბოციტების ფუნქციური მდგომარეობის მახასიათებლების შესწავლა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ დაავადების სადიაგნოსტიკო ობიექტურ ტესტად.

## EXPERIMENTAL MEDICINE

L. N. LOMTATIDZE

## CONDITION OF THE THROMBOCYTIC LINK OF HEMOSTASIS IN CHILDREN WITH RHEUMATOID ARTHRITIS

## Summary

The thrombocytic link of hemostasis has been studied in 38 patients with rheumatoid arthritis (RA).

The investigation showed considerable disturbances of thrombocyte function in case of RA. At the same time a correlation has been revealed between the hemostasis indices and clinical form of the disease, the activity of the pathological process and its duration.

Changes in the thrombocytic link of hemostasis in case of RA are of acquired thrombocytopathic nature in children. Studies of thrombocyte functional state indices can be applied as diagnostic tests. Besides, they promote the development of effective methods for treatment, especially for cases with critical vasculitis.

## ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. Л. А. Исаева, Т. Ф. Акимова, Л. И. Акимова. Тер. арх., № 87, 1979.
2. Детская артрология. Под ред М. Я. Студенкина, А. А. Яковлевой. Л., 1981.
3. T. Ishibe. Studies on thrombocytes in patients with rheumatoid arthritis-P4300 Окаума, 1.7.1982, 94,3,4.
4. В. В. Нестерова, Т. С. Огородова. Сб. «Система гемостаза при геморрагических диатезах». Томск, 1984.
5. R. S. Vollersten, V. Furster, D. L. Conn. Mayo clin Proc. 9/10, 1982, 59.
6. О. И. Гарман. Автореферат канд. дисс. М., 1987.
7. M. H. Ginsberg. Role of platelets in inflammation and rheumatic disease. In: Advances in inflammation research. New York, 1981, vol. 2.
8. D. D. Sherry, D. W. Kredich. Pediatrics, 76, 1985, 4.

Р. С. РИГВАВА, Г. А. ТВАЛИАШВИЛИ

## ЭФФЕКТИВНОСТЬ ПРИМЕНЕНИЯ ФИБРИНОВОГО КЛЕЯ В ЧЕЛЮСТНО-ЛИЦЕВОЙ ХИРУРГИИ В ЭКСПЕРИМЕНТЕ

(Представлено академиком Н. А. Джавахишвили 13.5.1988)

За последнее время широкое распространение в хирургии получили различные клеевые композиции [1—5].

Особое место среди них занимает двухкомпонентный фибриновый клей, принцип действия которого заключается в воспроизведении конечных этапов естественного свертывания крови [1, 2, 6]. Он состоит из лиофилизированного фибриногена (человеческого), тромбина, фактора XII и солей кальция. Для профилактики фибринолиза к этому составу добавлен ингибитор фибринолиза — апротинин. Существуют различные типы фибринового клея, такие как «Тиссукол» (Австрия, Испания), «Берипласт» (ФРГ).

мм рт. ст.




Рис. 1. Показатели гидропрессии при спонтанном гемостазе и применении фибринового клея после операции резекции языка: ——— спонтанный гемостаз, — — — — фибриновый клей «Берипласт», — · — · — экспериментальный образец отечественного фибринового клея

У нас в стране ведутся работы по созданию отечественного фибринового клея на базе компонентов, выпускаемых отечественной промышленностью (ВНЦХ АМН СССР).

Фибриновый клей применяется в различных областях хирургии для склеивания тканей, остановки кровотечения, обработки ран, герметизации швов, заполнения остаточных полостей и т. д. [2, 5, 7—11]. Широкое применение с целью местного гемостаза фибриновый клей нашел при расстройствах свертывающей системы крови [9, 10 12].

Применение фибринового клея в челюстно-лицевой хирургии имеет большое практическое значение. Это обусловлено частотой вмешательств и необходимостью достижения надежного гемостаза.

Целью настоящего исследования явилось изучение эффективности применения фибринового клея «Берипласт» и экспериментального образца отечественного фибринового клея для гемостаза ран языка и дефектов костной ткани нижней челюсти.

Эксперименты проводились в шести сериях на 67 крысах массой 300 г. Операции проводились под общим обезболиванием внутримышечным введением 3 мг калипсона. В первых трех сериях скальпелем осуществлялась резекция 1/3 языка (раны  $6 \times 2$  мм). В остальных трех сериях ножницами рассекалась в поперечном направлении нижняя челюсть (раны  $8 \times 3$  мм). В I серии (контрольная группа, 12 крыс) после нанесения ран на языке гемостаз осуществлялся без применения каких-либо гемостатических средств, во II серии (12 крыс) — с помощью промышленного образца фибринового клея «Берипласт», в III серии (12 крыс) — использованием экспериментального образца фибринового клея из отечественных компонентов, в состав которого входили фибриноген, тромбин, хлористый кальций и контрикал — ингибитор фибринолиза. В IV серии (контрольная группа, 11 крыс) после нанесения ран нижней челюсти кровотечение останавливалось без применения каких-либо гемостатических средств, в V серии (10 крыс) — путем нанесения фибринового клея «Берипласт», в VI серии (10 крыс) — нанесением экспериментального образца фибринового клея. После остановки кровотечения животное выводилось из наркоза.




Рис. 2. Показатели гидропрессии при спонтанном гемостазе и применении фибринового клея после герметизации костных дефектов нижней челюсти: — спонтанный гемостаз, — — — — экспериментальный образец отечественного фибринового клея, — · — · — фибриновый клей «Берипласт»

Для оценки надежности гемостаза применялся метод гидропрессии. После эвтаназирования животных через сонную артерию агнетался под давлением физиологического раствора до разрыва раневой поверхности. Величина давления, при котором происходил разрыв, фиксировалась. Исследования проводились в различные сроки после операции (1 час, 6 часов, 1 сутки).

Согласно проведенным исследованиям, при резекции языка и рассечении нижней челюсти происходило сильное кровотечение. Сразу

после нанесения обоих видов фибринового клея кровотечение останавливалось, и через 20—30 сек образовывался плотный фибриновый сгусток. Полноценный гемостаз имел место во всех случаях. В послеоперационном периоде повторных кровотечений не наблюдалось.

В контрольной серии спонтанный гемостаз отмечался после появления кровяного сгустка на ране языка через 6—8 мин, а на костной ране нижней челюсти — через 10—12 мин. В одном случае кровотечения из костной раны самостоятельно не остановилось и гемостаз был достигнут нанесением фибринового клея «Берипласт».

Уже через 1 час после операции прочность герметизации фибриновым клеем («Берипласт», экспериментальный образец отечественного фибринового клея) ран языка и костных ран нижней челюсти была высокой. Через 6 часов после операции уже были получены максимальные цифры прочности. Через 1 сутки прочность герметизма оставалась максимальной и наблюдения были прекращены. В контрольных сериях через 1 час после операции прочность герметизма ран была довольно низкой. Прочность нарастала медленно. Минимальное количество клея для достижения полного гемостаза зависело от размера раны и интенсивности кровотечения и составила для языка 0,1 мл и для костных ран нижней челюсти 0,2 мл.

Таким образом, применение фибринового клея в челюстно-лицевой хирургии для остановки кровотечения в эксперименте является эффективным. Гемостатический эффект фибринового клея обусловлен плотным соединением фибриновой пленки с подлежащей тканью. Предполагается, что в результате нанесения раствора тромбина происходит тромбообразование в микрососудах, просвет которых открывается в раневую поверхность. В результате этого образовавшийся фибриновый слой распространяется в глубь раны по микрососудам, что обеспечивает еще более прочное скрепление с подлежащей тканью.

Одним из преимуществ фибринового клея является то, что он состоит из естественных биологических компонентов и не вызывает выраженных реакций со стороны тканей. Более того, он стимулирует процессы заживления [13].

В настоящее время имеются эффективные методы стерилизации компонентов крови, входящих в состав фибринового клея, что делает его безопасным в отношении заражения СПИДом и другими вирусными инфекциями [14].

Высокий гемостатический эффект, прочность фибринового сгустка и плотное скрепление его с подлежащими тканями, частичное подавление собственного фибринолиза, стабильность к слюне обуславливают высокие цифры давления, требующегося для разгерметизации в первые часы после операции и в более поздние сроки.

Итак, экспериментальные исследования показали высокую эффективность применения как импортного фибринового клея «Берипласт», так и экспериментального образца отечественного фибринового клея при операциях на языке и нижней челюсти. Фибриновый клей имеет ряд преимуществ по сравнению с традиционными гемостатическими средствами, и его применение в челюстно-лицевой хирургии нужно считать перспективным.





რ. რიგვავა, გ. თვალაშვილი

უბა-სახნის პირურბიაში ფიბრინის წებოს გამოყენების ეფექტიანობა  
ექსპერიმენტში

რეზიუმე

ვირთხებში ენის ჭრილობის ჰემოსტაზისა და ქვედა ყბის დეფექტის გამოსწორების მიზნით გამოყენებულია იმპორტული ფიბრინული წებო „ბერიპლასტი“ და სამამულო ფიბრინული წებოს ექსპერიმენტული ნიმუში.

ფიბრინული წებოს გამოყენებამ მოგვცა მაღალი ეფექტურობა. ყველა შემთხვევაში მიღწეულია ჰემოსტაზის მაქსიმალური სიმკვრივე.

EXPERIMENTAL MEDICINE

R. S. RIGVAVA, G. A. TVALIASHVILI

EFFECTIVENESS OF FIBRIN GLUE IN MAXILLO-FACIAL  
SURGERY IN EXPERIMENTS

Summary

Research has been made on rats in order to study the haemostasis of tongue injuries and lower jaw defects by means of the imported fibrin glue „BERIPLAST“ and the prototype of home-produced fibrin glue.

High effectiveness in fibrin glue usage is shown.

Maximum stability of haemostasis has been attained in all the cases.

## ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. А. Я. Акимова. Автореферат канд. дисс. М., 1970.
2. В. С. Гигаური, Г. А. Твалиашვილი. Ж. «Сабчота მედიცინა», № 1, 1987, 24—26.
3. В. С. Гигаური, Л. Н. Челидзе, Л. А. Кацитадзе. Стоматология, № 3, 1982, 25—27.
4. Б. В. Петровский, В. С. Гигаური, В. Е. Млынчик. Эксперимент, хирургия, № 5, 1973, 3.
5. G. Shceale. Akt. Chir., 17, 1982, p. 153-161.
6. A. Dresdale. E. A. Rose, V. Geevanandam. Surgery, Vol. № 6, 1985, p. 750-755.
7. S. E. Bishara. Cleft Palate, v. 23, № 2, 1986, p. 144-152.
8. B. Dickteiss. Dtsch. zahnazze. ZT., Bd. 40, № 6, 1985, p. 653-656.
9. E. Gregory. J. Oral maxillofacial Surg. v. 44, № 3, 1985, p. 171-176.
10. H. Matras. J. Oral maxillofacial Surg., v. 43, № 8, 1985, p. 605-611.
11. P. Seguin. Revue stomatol., v. 86, № 3, 1985, p. 189-191.
12. H. Gastraz. Fibrinklebung bei Patienten mit hamorrhagischen Diathesen. Springer, Hszg. Scheele-Verlag Berbin, Heidelberg, New York, Tokyo.
13. H. G. Pesch, G. Scheels. Jokalen Fibrinklebezabban it Tiexperiment-Histomorphologische Untersuchungen (Fibrin-Klebung)-Hszg. Scheele-Berlin: Springer, 1984.-S. 38-44.
14. G. Hilfenhaus and E. Weidmann. Drug. Research, 35(11), 1985, p. 1617-1619.

ლ. ურუშაძე

## ირან-ოსმალეთის 1554 წლის დროებითი ზავის შესახებ

(წარმოდგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. ღუმბაძემ 22.10.1987)

ირან-ოსმალეთის პირველი ომის (1514—1555 წწ.) დასკვნით ეტაპზე, 1549—1550 წწ. მიჯნაზე, თურქებმა, როგორც ცნობილია, ხელთ იგდეს სამცხის დასავლეთი ნაწილი (ტაო-კლარჯეთის მხარე).

ირანის გამგებელი ძნელად ურიგდებოდა სულთნის ამგვარ წარმატებას სამხრეთ-დასავლეთსა და დასავლეთ საქართველოში. ამიტომ იყო, რომ მცირეოდენი საბაბიც კი იყო საკმარისი მისი ჩვენს ქვეყანაში შემოჭრისა და თარეშისათვის. ასეთი ახალი საბაბი მას მისცა სამცხის ათაბაგმა ქაიხოსრო მეორემ, რომელმაც ირანის შაჰს ქართლის მეფე ლუარსაბისაგან დაცვა და დახმარება სთხოვა. ათაბაგისათვის დახმარების საბაბით 1551 წ. შაჰ-თამაზ პირველმა კვლავ დალაშქრა ჩვენი ქვეყანა [1, გვ. 68].

1553 წ. აგვისტოში ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოვიდა სულეიმან 1 კანუნი, ააოხრა, ერევნისა და ნახიჭევანის ოლქები; ოლთისთან კი უკუაგდო ყიზილბაშთა ლაშქარი, რომელიც სამცხე-საათაბაგოს ციხეებიდან ოსმალთა გარნიზონების განდევნას ლაშობდა. ხსენებული წლის შემოდგომის დამდეგს ირანის შაჰმა ელჩი გაგზავნა სულთანთან და დაზავება ითხოვა [2, გვ. 314]. იმავე წლის ოქტომბერში საფრანგეთის მეფის, ანრი მეორისადმი წერილში სულეიმანი წერდა: „...თავი შემოგვავედრა (შაჰმა), რათა აღედბრა თანაგზძნობა და სიბრალული და ჩვენი უმაღლესობისაგან რაიმე ზავი ღირსებოდა“ [2, გვ. 315]. ასე დაიწყო წინასწარი საზავო მოლაპარაკება, რომელიც 1554 წ. 26 სექტემბრის არზრუმის დროებითი ზავით დაგვირგვინდა, თუმცა იგი რაიმე ოფიციალური დიპლომატიურ-იურიდიული დოკუმენტის სახით გაფორმებული არ ყოფილა, რაც გარკვეულ სიძნელეებს უქმნის ამ პერიოდის ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობათა საკითხებით დაინტერესებულ ქართველ მკვლევარებს. ამდენად, ყოველ ახალ მონაცემს ამ ზავის შესახებ პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რამეთუ სწორედ მის საფუძველზე გაფორმდა 1555 წ. 29 მაისის ცნობილი საზავო ხელშეკრულება. 1554 წ. „ზეპირ“ ზავს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ვ. ჩოჩიევიძე [2], რითაც გაიარკვა ზოგი საკითხი, თუმცა აღნიშნულ ზავთან დაკავშირებით კიდევ ბევრი რამე მაინც ბუნდოვანი რჩებოდა.

1976 წ. ანკარაში გამოქვეყნდა თანამედროვე თურქული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ქირ ზიო დლუს მონოგრაფია [3], რომელმაც ახალი, ჩვენთვის მიუწვდომელი მასალების გამოზიარებით შუქი მოჰვინა საქართველოს ისტორიის არაერთ სადავო საკითხს, მათ შორის ხსენებული ზავის ზოგ მხარეს. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ ამ მოლაპარაკებით კახეთი, ახალციხე-ბორჩალოს ოლქი და ქართლი სეფიანებს ერგოთ, ხოლო იმერეთი, სამეგრელო, გურია და ტაოს („დავ-ელი“) მხარე ტრაპიზონამდე (მათ შორის: არტანუჯი, არდაგანი (არტაანი) და ოლთის-თორთუმი (თორთო-მი) ოსმალეთის იმპერიის გავლენის სფეროდ გამოცხადდა [3, გვ. 245].



საინტერესოა ე. წ. Mühimme-ს დავთრიდან ამოღებული ჩვენთვის დღემდე უცნობი ცნობა, რომლის თანახმადაც საქართველოსა და არზრუმში თურქებმა შექმნეს ოცი სანჯაყი: 1. ერზენი რუმის (არზრუმის) ციხე, 2. ტრაპიზონი და საქართველოს ქვეყანა (?), 3. ყარაპისარი, 4. კამაკი, ერზინჯანი, 5. ჩემიშქეზექი (დასავლეთ თუნჯელი), 6. ფერთეჟი, 7. კოზუჯანი (სამხრეთ-აღმოსავლეთი თუნჯელი), 8. ქელი (ბინგიოლი), 9. ქინისი, 10. ყარაიაზი, 11. ბასიანი (სანჯაყის ცენტრი — ავნიქი), 12. დოშკაია (ყარსის მხარე), 13. ქიამხისი, 14. ოლთისი, 15. ნარმანი (იგივე მამირვანი), 16. თორთუმი (ქართული თორთომი), 17. ფერთეჟრეჟი (იუსუფელი და ართვინ/ლივანა), 18. ისპირი (ქართული სპერი), 19. ბაიბურდი, 20. ბათუმი და გონია (სანჯაყის ცენტრი — გონია).

ამავე ცნობით გურიას, სამეგრელოსა და იმერეთს ყოველწლიური ხარაჯა ეკისრებოდათ. რომელიც ბათუმის ბეგის ხელით არზრუმის ხაზინაში უნდა შეეტანათ [3, გვ. 245—246].

პირველი ცნობა გავლენის სფეროებად საქართველოს დანაწილების შესახებ, ჭეშმარიტებას უნდა შეესაბამებოდეს, რამეთუ ასეთსავე მონაცემებს ვხვდებით სპარსული ჟამთააღმწერლის ისქანდერ მუნშის თხზულებაშიც, სადაც ნათქვამია: „...საზღვრები გამორკვეული და დადგენილი იქნა. საქართველოს ვილაიეთებიდან, რომელიც ორივე მხარის მიერ განიცდიდა რბევითა და ხოცვის უბედურებას, მესხეთი, ქართლი და კახეთი ამ მხარეს (სპარსეთს) მიეკუთვნა. ბაში-აჩუკის ვილაიეთი (იმერეთი), „დადიანისა და „გურჯისტის“ (ქვეყნები) ტრაპეზუნდისა და ტფილისის საზღვრებამდე რუმის (ოსმალეთის) მზრძანებელს მიეცა“ [4, გვ. 20].

რაც შეეხება მეორე ცნობას, იგი როგორც ითქვა, დღემდე უცნობი იყო სპეციალისტთა ფართო წრისათვის. მასში მოიხსენიება რამდენიმე პუნქტი (მაგალითად, ბათუმი), რომლის ოსმალთა ხელში გადასვლის თარიღის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში.

რამდენიმე გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდება განსხვავებულად არის წარმოდგენილი. მაგალითად, ქინისი უნდა იყოს იგივე ქევანისი, ქელი კი ქილი.

გაუგებარია, თუ რას უნდა გულისხმობდეს ავტორი ზემოხსენებულ ცნობისა „საქართველოს ქვეყანაში“. იგი ნაშრომში მოხსენიებულია იმერეთ-გურია-სამეგრელოს ჩათვლით, რაც შეცდომა უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ ამის ქვეშ იგულისხმება „დად-ელის“ („დავ-ელისა“) ქვეყანა, — ქართული ისტორიული ტაო. საერთოდ, ოსმალურ საისტორიო წერილობით წყაროებში არც თუ იშვიათად ვხვდებით „გურჯისტანის“ მნიშვნელობით „დად-ელის“ ხსენების ფაქტებს.

ცნობაში არ არის მითითებული, თუ 1554 წლის საზავო მოლაპარაკების შედეგად რომელ ვილაიეთებში (საბეგლარბეგოებში) გაერთიანდა ჩამოთვლილი ოცი სანჯაყი. საფიქრებელია, რომ თერთმეტი მათგანი, რომლებიც მეტწილად ქართულ ტერიტორიებს წარმოადგენდა, გაერთიანდა ტრაპიზონის საბეგლარბეგოში.

ამრიგად, როგორც ვხვდავთ, ქირზიოლლუს მონოგრაფია [3] რამდენადმე ავსებს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მეტად მწირ მონაცემებს 1554 წ. ირან-ოსმალეთის დროებითი „ზეპირი“ ზავის შესახებ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და  
 ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

Л. З. УРУШАДЗЕ

О ПЕРСИДСКО-ОСМАНСКОМ ВРЕМЕННОМ МИРНОМ  
ДОГОВОРЕ 1554 г.

Резюме

В работе на основе данных монографии современного турецкого историка Кырзыоглу «Завоевание Кавказа османами» [3] рассмотрены и уточнены некоторые неизвестные стороны персидско-османского временного мирного договора 1554 г.

HISTORY

L. Z. URUSHADZE

AROUT THE PERSIAN-OSMAN INTERIM PEACE TREATY OF 1554

Summary

Some unknown aspects of the 1554 Persian-Osman interim peace treaty are considered and elucidated based on a study of the modern Turkish historian Ph. Kirzioglu „The Conquest of the Caucasus by Osmans“ (Ankara, 1977).

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. მ. სეანიძე. საქართველო — ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVIII სს.), თბილისი, 1971.
2. ვ. ჩოჩიევი. „აღმოსავლური ფილოლოგია“, III, თბილისი, 1973, 314—321.
3. F. Kirzioglu. Osmanlilarin Kafkas-Ellerini fethi(1451-1590), Ankara, 1976.
4. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თბილისი, 1969.



## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის В АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აკადემიის პრეზიდიუმში  
В ПРЕЗИДИУМЕ АКАДЕМИИ

### საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

7 აპრილს შედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრება.

სხდომა გახსნა და მოხსენებით — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმის შედეგები და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ამოცანები“ — გამოვიდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. თავხელიძე.

საანგარიშო პერიოდში მეცნიერული კვლევის ძირითადი შედეგებისა და მეცნიერების შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ მოხსენებები გააკეთეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტებმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ს. დურმიშიძემ, გ. ჯიბლაძემ, ი. ფრანგიშვილმა, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის ამსრულებელმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. აფაქიძემ.

აკადემიის 1987 წლის სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. სეხნიაშვილმა.

კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები — ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი ე. ქემერტელიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე თ. კობალეიშვილი, გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი მ. ალექსიძე, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვ. ამსრ. მ. ზვინგია, ნ. ბერძენიშვილის სახ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი დ. ხახუტაიშვილი, მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი მ. ზაალიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის გამგე თ. ჯაფარიძე, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი გ. ციციშვილი, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი ლ. ჯაფარიძე, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე ა. ჯავახიშვილი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები — მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექციის მრჩეველი გ. გომელაური, მართვის სისტემების ინსტიტუტის განყოფილების გამგე ვ. ჭავჭავაძე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული მოკავშირე რესპუბლიკების 10. „მოამბე“, ტ. 131, № 1, 1988

მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე, ქიმ. მეცნ. დოქტორი ს. პ. გუბინი.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი კ. ვ. ფროლოვი.

საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ნ. ვ. არზამასცევი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ვ. ჩოგოვაძე.



სსრ კავშირის მიცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის,  
 საქართველოს სსრ მიცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის  
 ა. თავხელიძის გამოსვლა

აკადემიის მოღვაწეობის განვლილი ერთი წელი მდიდარი იყო ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებით. გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პროცესები, რომლებიც დღითიდღე ძლიერდება, უშუალო გავლენას ახდენენ მეცნიერების შემდგომ განვითარებაზეც და უსახვევენ მას ახალ ამოცანებს.

მთელი საბჭოთა ხალხისათვის უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკურ დოკუმენტს წარმოადგენს ამხ. მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, სადაც გაანალიზებულია ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილი დიდ გზა. ძირითად მიღწევებთან ერთად პირდაპირ ითქვა იმ შეცდომებზეც, რომლებიც თან სდევდა ჩვენი საზოგადოების განვითარების პროცესს.

ჩვენს ქვეყანაში გარდაქმნის პროცესების ამსახველ უმნიშვნელოვანეს საპროგრამო დოკუმენტებს წარმოადგენენ სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილისა (1985 წ.) და ივნისის (1987 წ.) პლენუმების გადაწყვეტილებები, რომლებზედაც ღრმად გაანალიზდა გარდაქმნის პროცესები, დაისახა მისი განხორციელების გზები.

ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმებს. განსაკუთრებით კი IX (1988 წ.) პლენუმს, რომელზეც ამხანაგ ჯ. პატიაშვილის, ბიუროს წევრებისა და სხვათა გამოსვლებში ყოველგვარი შეღამაზების გარეშე გაშუქდა რესპუბლიკაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესები, ჩამოყალიბდა რესპუბლიკის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლის ამოცანები და დაისახა მათი შესრულების ღონისძიებანი.

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმს, რომელიც მიეძღვნა საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნის მიმდინარეობასა და პარტიის ამოცანებს მისი განხორციელების საქმეში. პლენუმმა ღრმად გაანალიზა ახალი ეტაპი, გამოკვეთა მისი იდეოლოგიური უზარუნველყოფის პროგრამა.

უმაღლესი სკოლისა და მეცნიერების განვითარების შემდგომი სტრატეგია მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ამხ. ი. კ. ლიგაჩოვის მოხსენებაში პლენუმზე: „თუ ქვეყანაში მოვაგვარებთ უმაღლესი სკოლის, აკადემიური და დარგობრივი ინსტიტუტების მკიდრო თანამოქმედებას, მაშინ საზოგადოე-

ბა ამის მეოხებით და დიდი ხარჯების გაუწევლად მიიღებს მეცნიერული ტენციის უდიდეს მატებას, მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადების მაღალ დონეს“.

აკადემიის შემდგომი განვითარება დიდად არის დამოკიდებული საშუალო და უმაღლეს სკოლებში მიმდინარე აღზრდის პროცესთან.

თეორიულადაც კი წარმოუდგენელია, რომ საშუალო სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული ცოდნა საქმარისი იყოს მთელი ცხოვრების მანძილზე.

საშუალო და უმაღლეს სკოლაში სწავლა-აღზრდის პროცესი ძირითადად უნდა ემსახურებოდეს მომავალ ახალგაზრდა სპეციალისტში დამოუკიდებელი, შემოქმედებითი აზროვნებისა და მუშაობის უნარის ჩამოყალიბებას.

ამის მიღწევა კი შესაძლებელი გახდება იმ შემთხვევაში, თუ ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტას უმაღლესი სკოლა და მეცნიერებათა აკადემია ერთობლივად და მაქსიმალურად თანაბრად მოახმარენ მთელ თავის სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს.

სწავლა-აღზრდის პროცესზე აქტიურად ზრუნვა ნიშნავს აკადემიის მომავალ შევსებაზე ზრუნვას, რაც დღეისათვის ყველაზე მტკივნეულ ამოცანად რჩება.

ხაზი მიიღა გავუსვა იმ გარემოებას, რომ პარტიისა და მთავრობის ძირითადი დოკუმენტებიდან გამომდინარე, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ძირითადი მოვალეობაა ფუნდამენტური მეცნიერების განვითარება და კოორდინაცია. გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პროცესებმა ამ მიმართულებით მთელი რიგი ახალი ამოცანა და პრობლემა დააყენა ჩვენი საზოგადოებრივი მეცნიერების წინაშე.

გარდაქმნის მეორე ეტაპი ახალ ამოცანებს უსახავს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებას, განუზომლად იზრდება მათი გავლენა ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციურ პროცესებზე, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ახალი აზროვნებისა და მოქმედების ორგანიზაციული ფორმების ძიებასა და გამოყენებასთან.

ჩვენი საზოგადოების შემდგომი წინსვლა მოითხოვს ქვეყნის ისტორიის ობიექტურ გაშუქებას. ამ მხრივ დიდი როლი ეკისრება აკადემიის მეცნიერ-ისტორიკოსებსა და ფილოსოფოსებს, რომლებსაც ისტორიული ფაქტების მეცნიერული შესწავლის საფუძველზე შესწევთ უნარი კრიტიკულად გააანალიზონ თანამედროვე ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფაქტები და მოვლენები.

მთიანი ყარაბაღის ირგვლივ შექმნილმა სიტუაციამ თვალნათლივ დაგვანახა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეროვნული პოლიტიკის სწორად გადაწყვეტაში ისტორიული ფაქტების მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან გაშუქებას. ამ მიმართულებით შემდგომი განვითარება და გაღრმავება უნდა ჰპოვონ აკადემიისათვის ტრადიციულმა ეროვნებათაშორისო ლიტერატურული პროცესებისა და ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგების კვლევებმა. დიდი საპასუხისმგებლო ამოცანაა აკადემიის სისტემაში არსებული ერთადერთი ხალხთა მეგობრობის მუზეუმის მუშაობის სწორად წარმართვა და დაგეგმვა.

გარდაქმნა და ახალი აზროვნება ორგანულად არიან დაკავშირებული ახალი ეკონომიკური ფორმებისა და მათი ეფექტური მართვის მეთოდების ძიებასთან, რაც ჩვენი ეკონომიკური მეცნიერების წინაშე სრულიად ახალ პერსპექტიულ ამოცანებს აყენებს.

დღევანდელი გარდაქმნის ისტორიული პროცესი მთლიანად ემსახურება ადამიანის შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებასა და მის შემო-



ქმედებით განვითარებას. ამრიგად, დღეს ადამიანის ფაქტორის პრობლემა წინა პლანზეა წამოწეული.

აქედან გამომდინარე განვითარებულ საზოგადოებაში ადამიანის ფაქტორის როლის ამაღლების სულიერი წანამძღვრების კვლევა და განწყობის ზოგადფსიქოლოგიური კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს ადამიანის მოღვაწეობის თეორიას, თანამედროვე ეტაპზე ჩვენი საზოგადოებრივი მეცნიერების შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა უნდა გახდეს.

დემოკრატიზაცია, საჯაროობა, ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენა სოციალისტური დემოკრატიის განვითარების პირობებში დღის წესრიგში აყენებს სამართლებრივი აღზრდისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და პროგნოზირების ამოცანებს გაღრმავებულ კვლევას, რაც ჩვენი სამართალმცოდნეების ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას უნდა წარმოადგენდეს.

ბუნების დაცვისა და ეკოლოგიის პრობლემები დღეს პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად იქცა.

ამასთან დაკავშირებით, ისევე როგორც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში, ჩვენს აკადემიაში შეიქმნა ბიოსფერული და ეკოლოგიური გამოკვლევების კომისია.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში მუშავდება გრძელვადიანი კომპლექსური სახელმწიფო პროგრამა 2015 წლამდე პერიოდისათვის, რომელიც ითვალისწინებს მასში ჩვენი რესპუბლიკისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების მონაწილეობას. აღნიშნული პროგრამა უნდა გახდეს გარემოს დაცვისა და სსრ კავშირის ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების სახელმწიფო პროგრამის საფუძველი და მისი არსებითი შემადგენელი ნაწილი.

აერთიანებს რა პროგრამის სხვადასხვა ბლოკებს, როგორცაა „ეკოლოგია და ადამიანი“, „ბიოლოგიური ასპექტები“, „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკოლოგია“, „რეგიონული ეკოლოგიური პრობლემები“, „ბიოსფეროს ევოლუცია“ და სხვა, კომისია დაინტერესებულ სამეცნიერო დაწესებულებებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად კოორდინაციას უწევს და აწვავს პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოებს.

კომისიამ დაავალა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებს შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებების თემატიკის გაანალიზება მისი ბიოსფერულ და ეკოლოგიურ გამოკვლევათა პროგრამაში გამოყენების თვალსაზრისით.

ამასთან დაკავშირებით საერთო კრებას მინდა მოვახსენო, რომ ტრანსკავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის დაპროექტებისა და მშენებლობის საკონსულტაციო საბჭო და მისი სექციები მთელი წლის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში მუშაობდნენ დამპროექტებლებთან და მათ წინაშე დააყენეს ბუნების დაცვის, ეკოლოგიის, ძველთა დაცვის, არქეოლოგიისა და ეკონომიკის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც პროექტში აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს. მოგახსენებთ, რომ რკინიგზის კომპლექსური პროექტის დამუშავება ოფიციალურად გადატანილია 1989 წლის ბოლოსათვის. იგი ამ დროისათვის დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარედგინება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა გარდაქმნის ერთ-ერთი მთავარი პირობაა ფუნდამენტურ კვლევათა მაღალი დონის მიღწევა და შენარჩუნება.

როგორც მოგხსენებთ, აკადემიური მეცნიერების დაფინანსება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტით, ამავე დროს, ინსტიტუტების „ბაზისური“ დაფინანსების პრინციპი შეიცვლება ფუნდამენტური მეცნიერების განვითარების სა-





ხელმწიფო საკავშირო, რესპუბლიკურ და აკადემიის კომპლექსურ პროგრამებში მონაწილეობით.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წამყვანი მეცნიერების მონაწილეობით შედგენილი პროგნოზული მოხსენებების საფუძველზე შექმნილია ფუნდამენტური მეცნიერების განვითარების 16 საკავშირო სახელმწიფო კომპლექსური პროგრამა. ყოველივე მათგანი დეტალურად იქნა შესწავლილი მათში ჩვენი მონაწილეობის თვალსაზრისით. გამოიკვეთა ის პრობლემები, სადაც ჩვენი ინსტიტუტები შეიძლება იყვნენ მოთავენი და თანამემსრულებლები.

თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ იმ პროგრამებზე, რომლებშიც ჩვენი აკადემიის ინსტიტუტები შეიძლება იყვნენ მოთავეები. მე უნდა ჩამოვთვალო ეს პროგრამები, რადგანაც მიმაჩნია, რომ ჩვენი აკადემიის წევრებმა უნდა იცოდნენ რა პროგრამებში ვმონაწილეობთ და როგორი იქნება ჩვენი პერსპექტივა. მოგეხსენებათ, რომ 1989 წლიდან უკვე აღარ იქნება საბიუჯეტო, იქნება პრობლემური დაფინანსება. ამიტომ რამდენად აქტიური ვიქნებით, ამაზე იქნება დამოკიდებული ჩვენი შემდგომი პერსპექტივა.

ადამიანის ფაქტორის როლისა და თანამედროვე საზოგადოების განვითარების კომპლექსური კვლევის სახელმწიფო პროგრამაში ფილოსოფიის ინსტიტუტი შეიძლება მოთავე იყოს ადამიანის ფაქტორის როლის ამალღების სულიერი წანამძღვრებისა და საქართველოს ფილოსოფიის ისტორიის ძირითადი პრობლემების კვლევაში.

ამავე პროგრამით ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორი შეიძლება წამყვანი იყოს სამართლებრივი აღზრდისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პრობლემების დამუშავებაში სოციალისტური დემოკრატიის განვითარებისა და ხალხის თვითმმართველობის თანამედროვე პირობებში; ფსიქოლოგიის ინსტიტუტი — განწყობის ზოგადფსიქოლოგიური კონცეფციის განვითარებაში თანამედროვე ეტაპზე, ხოლო შრომის ესთეტიკური კულტურის ლაბორატორია — ესთეტიკური ფენომენებისა და კატეგორიების პრაქტიკული ფასეულობის გამოვლენასა და დანერგვაში.

გათვალისწინებულია მეტალურგიის ინსტიტუტის მოთავეობა დაბალნაირისზოვანი მანგანუმისა და მრეწველობის ნარჩენების გადამუშავების პრობლემის გადაჭრაში და ბორის თეორიული და გამოყენებითი მასალათმცოდნეობის დარგში, რაც შევა ახალი ნივთიერებებისა და მასალების, მათი მიღებისა და დამუშავების პროცესების საკავშირო სახელმწიფო პროგრამაში.

მართვის სისტემების ინსტიტუტმა შეიძლება უზენაესად ეწეოდეს პრობლემას „თბოტექნიკური თბომაცივარმომარაგების ავტომატიზებული სისტემების დამუშავება და დანერგვა“, რომელიც შევა ენერგეტიკის განვითარების ფუნდამენტური მიმართულებების სახელმწიფო პროგრამაში.

თანამედროვე პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს მსოფლიო ოკეანის, ატმოსფეროსა და ხმელეთის ზედაპირის კვლევისა და რესურსების რაციონალური გამოყენების კომპლექსური პროგრამა.

ამ პროგრამაში შეიძლება პრიორიტეტული იყოს გეოგრაფიის ინსტიტუტის სამუშაოები მთიან მხარეთა ბუნებისა და გეოსისტემების მდგრადობისა და ცვალებადობის მექანიზმების გამოვლინების მიმართულებით, გეოფიზიკის ინსტიტუტის კვლევები ატმოსფერული ნალექების წარმოქმნის პროცესების მოდელირების, ხოლო ზღვისა და ოკეანის შელფის ფორმირებისა და დინამიკის კანონზომიერებათა დადგენის დარგში — ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორის კვლევები.

ბიოლოგიური რესურსების რაციონალური გამოყენების, ეკოლოგიური საფუძვლების სახელმწიფო პროგრამაში შავიზღვისპირეთ — კასპიის მხარის ნეოგენის ორგანული ფორმების ევოლუციის გზებისა და კანონზომიერებების



საქართველოს  
სსრ მეცნიერებათა  
აკადემიაში

პრობლემის დამუშავებაში მოთავე შეიძლება იყოს პალეობიოლოგიის ინსტიტუტი; იშუაითი და გადაშენების საფრთხეში მყოფი მსხვილი ცხოველების რიცხოვნობის აღდგენის პრობლემის დამუშავებაში — ზოოლოგიის ინსტიტუტი, ხოლო სსრ კავშირის მაღალმთის მცენარეული რესურსების კვლევაში — ბოტანიკის ინსტიტუტი.

კოსმოსის კვლევის მეტად მნიშვნელოვან კომპლექსურ პროგრამაში აბსოლუტურად ასტროფიზიკური ობსერვატორია შეიძლება წამყვანი იყოს შემდეგი პრობლემების მიხედვით: „გალაქტიკის აგებულება და ევოლუცია“, „ცის სხეულთა და მათ ნივთიერებათა ნიმუშების ელექტრობოლოგრაფია“ და „დედამიწის საშუალო და ზედა ატმოსფეროს მოდელი“.

ფიზიკის ინსტიტუტმა შეიძლება ითავოს მყარ სხეულებში რადიაციული ეფექტების კვლევა, რომელიც ვათვალისწინებულია „ელექტრონიკისა და მყარი სხეულის ფიზიკის“ სახელმწიფო პროგრამით.

სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობათა რევიონ ასპექტების სრულყოფისა და მათი ფუნქციონირების მექანიზმის აღდგენის მიმართულებას, რომელიც დამუშავდება „სოციალისტური ეკონომიკის მართვის სრულყოფის“ პროგრამის ფარგლებში, შეიძლება უხელმძღვანელოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა.

მეტად მნიშვნელოვანია ფუნდამენტურ კვლევათა კომპლექსური პროგრამა „ცოცხალი ბუნების კვლევა, ბიოტექნოლოგიის საკითხების ჩათვლით“, რომლის მიხედვით მცენარეთა მოლეკულური ბიოლოგიის და სხვადასხვა სახის მიკროორგანიზმების სტაბილური ფერმენტების კვლევების დარგში შეიძლება წამყვანი იყოს მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი; კუნთის შეკუმშვის მექანიზმებისა და არქებაქტერიების ორგანიზაციის ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლების კვლევაში მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი; ცენტრალური ნერვული სისტემის უმაღლესი განყოფილებების ექსპერიმენტული ორგანული და ფუნქციური პათოლოგიისა და მისი კორექციის მეთოდების, აგრეთვე ძილ-ღვიძლის ციკლის რეგულაციის ნეირობიოლოგიური საფუძვლების კვლევაში — ფიზიოლოგიის ინსტიტუტი; ადამიანის წანგამძლეობის სამედიცინო-ბიოლოგიური და სოციალური საფუძვლებისა და მამაკაცის ინდივიდუალის ჩამოყალიბების საფუძვლების შესწავლის დარგში — ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი.

გარდა აკადემიური ინსტიტუტებისა აღნიშნული პროგრამების რიგი მიმართულების დამუშავებაში შეიძლება ფართო მონაწილეობა მიიღოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა.

ასე, მაგალითად, უნივერსიტეტის ფოტოსინთეზის საპრობლემო ლაბორატორია მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტთან ერთად შეიძლება მოთავე იყოს იზოპრენის ფოტოსინთეზის შესწავლაში. უნივერსიტეტის ციტოლოგიის, ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრა და განვითარების ბიოლოგიის ლაბორატორია — უჯრედების რეგულაციის მოლეკულური და სტრუქტურული საფუძვლების კვლევაში, ხოლო მოლეკულური ბიოლოგიის მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის კათედრა — თუთის აბრეშუმზევეიას გამოყენების გენურსაინჟინრო მეთოდების დამუშავებაში.

თბილისის მათემატიკის ინსტიტუტი, ფიზიკის ინსტიტუტი და სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი ბირთვული ფიზიკისა და ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის დარგის კვლევების პროგრამის მიხედვით შეიძლება მოთავენი იყვნენ კვანტური ველების თეორიის მათემატიკური მეთოდების დამუშავებაში, მაღალ არეში რბილი ადრონული დაჯახების კვლევებში და ეგზოტიკურ მდგომარეობათა წარმოქმნასა და იმ-

ვითი პროცესების დამზერაში მაღალი ენერგიების ნაწილაკთა დაჯახების დღეებისა და სერპუხოვის ამაჩქარებლებზე.

მართვის სისტემების ინსტიტუტმა ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის პროგრამის ფარგლებში შეიძლება მოთავეობა იკისროს მეხუთე და მეექვსე თაობის ოპტიკური გამოთვლითი მანქანების შექმნის ალბათურ-მრავალსცენური ექსპერტული სისტემების კვლევასა და დამუშავებაში, ხოლო კიბერნეტიკის ინსტიტუტმა კი სპეციალური ხარისხის მინების სინთეზის, ბოქოვან-ოპტიკური ელემენტების მიღებისა და მეორადი თბური დამუშავების თბოტექნიკური აგრეგატების შექმნაში.

ცალკე პროგრამა ეძღვნება დედამიწისა და პლანეტების შესწავლას, გეოლოგიური პროცესების ევოლუციას, საბადოთა წარმოქმნისა და დამუშავების კანონზომიერებებს.

ამ პროგრამის ცალკეული მიმართულებების დამუშავებაში წამყვანის როლში შეიძლება გამოვიდნენ დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო დაწესებულებები. ეს მიმართულებებია: „მიწისძვრების გრძელვადიანი პროგნოზის მეთოდის დამუშავება კავკასიის რეგიონისათვის“ და „დედამიწის ქერქისა და კავკასიის ზედა მანტიის და შავი და კასპიის ზღვის თბური და თერმოდრეკადი მოდელების დამუშავება“ (გეოფიზიკის ინსტიტუტი); „კავკასიის რეგიონის შავი ნაგებობათა შინაგანი სტრუქტურის შესწავლა“ და „სსრ კავშირის სამხრეთისა და მოსაზღვრე ქვეყნების მარგი წიაღისეულის განლაგების კანონზომიერებანი“ (გეოლოგიური ინსტიტუტი) „საცდელ-საწარმოო გეოთერმული ცირკულარული სისტემების შექმნა“ (ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორი).

მანქანათმშენებლობის, მექანიკისა და მართვის პროცესების ფუნდამენტური კვლევის პროგრამაში სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი, სეისმომედეგი მშენებლობის იუნესკოს საერთაშორისო ცენტრი, გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი და გეოფიზიკის ინსტიტუტი შეიძლება წამყვანი იყვნენ სეისმურ ზემოქმედებაზე კონსტრუქციების, შენობების და ნაგებობების მთლიანი მათემატიკურ-ალბათური დინამიკური გათვლის თეორიის შექმნაში.

ამავე პროგრამაში მანქანათა მექანიკის ინსტიტუტმა შეიძლება უხელმძღვანელოს ჩაის წარმოების ინტენსიფიკაციისა და მისი ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა დამუშავებას მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა გამოყენებით და კვლევით სამუშაოების სამთო პირობებში მობილური მანქანებისა და მათი ძრავების მუშაობის ეფექტურობის ამაღლების მიმართულებით.

ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა აკადემიის როლი ამჟამად არსებული 16 საკავშირო პროგრამის შესრულებაში. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ დამატებით შედგა ჩვენი ინსტიტუტების მონაწილეობის გეგმა მეცნიერების ისეთ დარგებში, რომლებიც ამ პროგრამებით არ არის გათვალისწინებული. ეს დარგებია მათემატიკა, ისტორია, ენა და ლიტერატურა.

მათემატიკის განვითარების პროგრამაში თბლისის მათემატიკის ინსტიტუტი შეიძლება წამყვანი იყოს სამგანზომილებიანი დრეკადობისა და თერმოდრეკადობის თეორიის, ანალიზურ ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანების, ტოპოლოგიისა და ჰომოლოგიური ალგებრის სხვადასხვა დარგში.

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა წამყვანი როლი უნდა შეასრულოს საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ტრადიციული კულტურის კვლევაში, კავკასიის პალეოანთროპოლოგიისა და კავკასიის ხალხთა ცოვილიზაციის პრობლემების დამუშავებაში, ანტიკური ხანის შავიზღვისპირეთის კვლევაში; ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა ისეთ დარგებ-



ში, როგორცაა ქართული ხელოვნების ურთიერთობა ბიზანტიის, ახლო აღმოსავლეთის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და სსრ კავშირის ხალხთა ხელოვნებასთან.

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა — ამიერკავკასიის, ჩრდილო კავკასიისა და დაღესტნის ხალხების ლიტერატურული ურთიერთკავშირების კვლევაში; აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა შედარებით-ისტორიულ გრამატიკაში და ენობრივ ტიპოლოგიაში, სემიტური ენების სტრუქტურასა და ტიპოლოგიაში; ენათმეცნიერების ინსტიტუტმა — კავკასიურ ენათა ფონოლოგიური სისტემის, გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის აღწერასა და ანალიზში.

გარდა ამისა შედგენილია ვრცელი გეგმა, რომელიც გულისხმობს ჩვენი ინსტიტუტების მონაწილეობას სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში თანაშემსრულებლად.

გარდაქმნის თანამედროვე ეტაპზე რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან კავშირში, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებსა და საუწყებო ინსტიტუტების მონაწილეობით, უნდა შეიქმნას რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტურ გამოკვლევათა კომპლექსური პროგრამა, რომელიც ამავე დროს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების დაფინანსების ერთ-ერთი ძირითადი წყარო იქნება.

იმისათვის, რომ სახელმწიფო მნიშვნელობის პროგრამებში იყო მოთავე ან თანაშემსრულებელი, დიდი მნიშვნელობა აქვს ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის დონეს.

გასულ წლიურ საერთო კრებაზე ამ პრობლემის ირგვლივ გვექონდა მსჯელობა და ერთხლოვნად ვაღიარეთ, რომ ჩვენი აკადემიის ინსტიტუტების აღჭურვა უახლესი ხელსაწყოებით, მოწყობილობა-დანადგარებით, ავტომატიზებული სისტემებითა და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებით მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს, რომ არაფერი ვთქვათ მსოფლიო დონეზე.

მდგომარეობის გამოსასწორებლად გადადგმულია პირველი ნაბიჯები. ფიზიკის ინსტიტუტისათვის აკადემიამ შეიძინა ერთი თანამედროვე გამოთვლელი მანქანა EC-1061, რომელიც უკვე დამონტაჟებული და გამართულია. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტმა მიიღო ერთი EC-1040 ტიპის მანქანა: მიმდინარე წელს ვეოფიზიკის ინსტიტუტი მიიღებს EC-1061 ტიპის მანქანას, ხოლო კიბერნეტიკის ინსტიტუტმა უკვე მიიღო EC-1036 ტიპის მანქანა. გარდა ამისა, შექმნილია რამდენიმე ათეული მინიმანქანა და პერსონალური კომპიუტერი, რომლებიც გაუნაწილდა როგორც საბუნებისმეტყველო და ტექნიკის დარგის სამეცნიერო დაწესებულებებს, ისე საზოგადოებრივი მეცნიერების დარგის ინსტიტუტებს. გატარებულმა ღონისძიებებმა საშუალება მოგვცა აკადემიის გამოთვლითი მანქანების ჯამური მეხსიერება გაზრდილიყო 2,5-ჯერ. იგი ამჟამად 25 მეგაბაიტს შეადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მივალწიეთ მოწყობილობის შექმენაზე დაფინანსების 2,5-ჯერ გაზრდას (იყო 4, გახდა 10 მილიონი მანეთი), მაინც ვერ მივალწიეთ მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას. მაგალითად, გასულ წელს შეკვეთილი 74 მანქანიდან მივიღეთ მხოლოდ 47, რაც გამოწვეულია იმით, რომ ჩვენმა მრეწველობამ გასულ წელს ვერ შეასრულა მინი და პერსონალური კომპიუტერების გამოშვების გეგმა. გარკვეული მიზეზების გამო იგი ალბათ წელსაც ვერ შესრულდება, რაც საფრთხეში აყენებს ამ მანქანების მიღების საკითხს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ინსტიტუტების დანადგარ-მოწყობილობების მომარაგებაში ცენტრალიზებული წესით ჯერჯერობით ვერ ვხედავთ დიდ იმედის მოპყმე შესაძლებლობებს.

ამიტომ თუ გვინდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება, უნდა ვიფიქროთ ჩვენს მუშაობაში კოოპერაციის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვაზე, რასაც მეტი ენერგიულობითა და პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ინსტიტუტების დირექტორები.

აქედან გამომდინარე, როდესაც კანონმა შრომითი კოლექტივების შესახებ და ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესებმა დიდი თავისუფლება მისცეს წარმოება-დაწესებულებებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, უნდა ვეძიოთ მოწინავე საბჭოთა საწარმოებთან და საზღვარგარეთის წამყვან ფირმებთან ერთობლივი საწარმოების შექმნის გზები და საშუალებები.

ამ მხრივ ჩვენ იმედის თვალთ ვუყურებთ ფარმაკოქიმიის ინსტიტუტისა და ბელჯიის ცნობილი ფარმაცევტული ფირმის „ინსენ ფარმაცევტიკას“ მიერ პრეპარატების ერთობლივ წარმოებას ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ბაზაზე. ამ მიზნებისათვის ფირმა ინსტიტუტს გადასცემს და დაამონტაჟებს პრეპარატების წარმოებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიურ და ანალიზურ მოწყობილობა-დანადგარებს. ეს ინსტიტუტს საშუალებას მისცემს დაამუშაოს და აწარმოოს პრეპარატები მსოფლიო სტანდარტების დონეზე და შექმნის მათი უცხოეთის ბაზარზე გატანის კარგ ნიადაგს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად საზღვარგარეთის ერთ-ერთ ფირმასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება ჩვენი აკადემიის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ბაზაზე მინი გამოთვლითი მანქანებისა და პერსონალური კომპიუტერების ერთობლივი გამოშვების შესახებ. ამ სამუშაოებში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე აკადემიის გამოყენებითი მათემატიკის, კიბერნეტიკისა და მართვის სისტემების ინსტიტუტები. ამით შეიძლება დამატებითი საშუალება მოგვეცეს, რათა როგორც გავაძლიეროთ ჩვენი მანქანური პარკი.

დემოკრატიისა და საჯაროობის პრინციპები სულ უფრო მკვიდრდება ჩვენი აკადემიის ცხოვრებაში. ახორციელებდა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებულ პრინციპებს საკადრო პოლიტიკის დარგში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ჯერ კიდევ გასულ წელს დაამტკიცა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა დირექტორების არჩევნების ჩატარების დროებითი ინსტრუქცია.

ამ ინსტრუქციის თანახმად აკადემიის 8 ინსტიტუტში საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პირობებში ჩატარდა კრებები დირექტორის თანამდებობაზე კანდიდატების შესარჩევად. არჩევნებს წინ უძღოდა მოსამზადებელი მუშაობა, შეხვედრები ინსტიტუტების კოლექტივებთან.

ამ წესით ინსტიტუტების კოლექტივებმა თავიანთ გაფართოებულ საბჭოზე დირექტორის თანამდებობაზე წამოაყენეს: მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში — აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი კვესიტაძე; სამთო მექანიკის ინსტიტუტში — მეცნიერებათა დოქტორი ლევან ჯაფარიძე; გეოფიზიკის ინსტიტუტში — აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მერაბ ალექსიძე; ენათმეცნიერების ინსტიტუტში — მეცნიერებათა დოქტორი ბესარიონ ჯორბენაძე; გეოლოგიურ ინსტიტუტში — მეცნიერებათა დოქტორი შოთა ადამია; ფიზიკის ინსტიტუტში — აკადემიოსი გიორგი ხარაძე; არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში — აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლევან ჯაფარიძე (ახალი ვადით). ყველა ისინი პრეზიდიუმმა საერთო კრებაზე დამტკიცებამდე დანიშნა ინსტიტუტების დირექტორების მოვალეობის შემსრულებლად.



ხელმძღვანელობდა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირების მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, აკადემიის პრეზიდიუმმა ინსტიტუტების ყოფილი დირექტორები, რომელთაც თავიანთი თანამდებობები დატოვეს ზღვრული ასაკის მიღწევასთან დაკავშირებით, დანიშნა ინსტიტუტის საპატიო დირექტორად ან დირექციის მრჩეველად.

დასახელებულ ინსტიტუტებში ჩატარებულმა არჩევნებმა სხვადასხვაგვარად ჩაიარა, რამაც აკადემიაში დააგროვა გარკვეული გამოცდილება. ამ გამოცდილებისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დებულების გათვალისწინებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა შემუშავა და დაამტკიცა ინსტიტუტებში ხელმძღვანელი შემადგენლობის თანამდებობათა დაკავების დებულება, რომელიც ითვალისწინებს ინსტიტუტის დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს, დირექტორის მოადგილეების სამეცნიერო დარგში, სწავლული მდონის, სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფის გამგის, დროებითი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის და დირექტორის მოადგილის საერთო საკითხებში ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილში არჩევის წესს.

ინსტიტუტების მუშაობა ამ თვალსაზრისით შემდგომში წარიმართება ამ დებულების საფუძველზე.

აკადემიის მუშაობის ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო და სათუთ ამოცანას წარმოადგენს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობის შეცვლა ახალი ნამდვილი წევრებითა და წევრ-კორესპონდენტებით. აკადემიის პრეზიდიუმი ამ საკითხებს თითქმის მთელი წლის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. არჩევნების მზადების პერიოდში ვითვალისწინებდით იმ გარემოებასაც, რომ წინ გველის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობის არჩევნები, რესპუბლიკისათვის აუცილებელი მეცნიერების პერსპექტიული დარგების პრიორიტეტული განვითარება. იმისათვის, რომ უფრო ღრმად ჩაეწვდომოდით რესპუბლიკაში სამეცნიერო კადრების მდგომარეობას, სრულად გამოგვევლინა მათი პოტენციური შესაძლებლობანი, სამეცნიერო განყოფილებების ღია სხდომებზე ფართო საჯაროობისა და დისკუსიის პირობებში ვისმენდით და ვისმენტ სამეცნიერო მოხსენებებს. თავის მხრივ, პრეზიდიუმის სხდომებზე რეგულარულად განიხილება წამყვან მეცნიერთა მოხსენებები მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების ფუნდამენტური კვლევების შესახებ რესპუბლიკაში, იმ ორგანიზაციული ღონისძიებების დასახვით, რომლებიც დააჩქარებენ მათ განვითარებას.

მე შევეცადე გამეშუქებინა ჩვენი აკადემიის წინაშე მდგარი მხოლოდ ზოგიერთი ამოცანა.

აკადემიის პრეზიდიუმს, მის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს დიდი შრომა მოუწევთ, რათა სრულად და წარმატებით გადაჭრან მათი შემდგომი განვითარების რთული პრობლემები. ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებაზე კი ბევრად იქნება დამოკიდებული ჩვენი მეცნიერების მომავალი.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის  
ს. ლურმიშიძის მოხსენება

ბიოლოგიის, ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის და სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილებებში გაერთიანე-

ბულია აკადემიის 10 ნამდვილი წევრი და აკადემიის 20 წევრ-კორესპონდენტები; სამივე განყოფილების დაწესებულებებში თანამშრომელთა საერთო რაოდენობა 2072, მათ შორის ნახევარია მეცნიერი მუშაი, მათგან დოქტორია 71 და კანდიდატი — 500.

მეცნიერული კვლევა მიმდინარეობს 25 პრობლემის მიხედვით 167 თემაზე. თითოეულ თემაზე საშუალოდ მოდის 12—13 შემსრულებელი.

მეცნიერული საქმიანობა უმთავრესად ითვალისწინებს იმ ფუნდამენტური პრობლემების კვლევას, რომელთა შესწავლა სახალხო მეურნეობისა და მედიცინის თეორიულ საფუძვლებს შეადგენს.

ნება მიბოძეთ ამ მცირე სტატისტიკის შემდეგ თქვენი ყურადღება შევაჩერო შარშანდელი მუშაობის მხოლოდ ზოგიერთ შედეგზე.

გარდაქმნა და განახლება ბიოლოგიის განყოფილებაში გამოიხატა როგორც რიგ აუცილებელ საორგანიზაციო ღონისძიებაში (ახალი წევრების შეყვანა განყოფილების ბიუროს შემადგენლობაში, დირექტორების გადარჩევა და სხვ.), ისე, უპირატესად, თვით მეცნიერული კვლევის მიმართულებების დახვეწისა და კვლევის პროგრამების სრულყოფაში. გამოიყო კვლევის პრიორიტეტული მიმართულებანი და პრობლემები, რომელთა შესახებ პრეზიდენტმა უკვე მოგახსენათ.

ბოტანიკის ინსტიტუტში გამოქვეყნდა „საქართველოს ფლორის“ IX და მომზადდა XII ტომი. გამოსაქვეყნებლად გამოხადდა აგრეთვე „საქართველოს მცენარეულობის“ პირველი და მეორე ტომი, შესწავლილ იქნა აქტინომიცეტების ბიოლოგიური თავისებურებები. მიღებულია ახალი მნიშვნელოვანი მონაცემები თუშეთის, კახეთის კავკასიონის, ქიზიყისა და საქართველოს ზოგიერთი სხვა რეგიონის ფლორისა და მცენარეული საფარის შესახებ. გამოქვეყნდა ყაზბეგის მაღალმთის მდელოების ეკოლოგიური კვლევის შედეგების ამსახველი კრებული.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტთან ერთად მომზადდა „საბჭოთა კავშირის მცენარეულობის“ I ტომი.

ქართველი ბოტანიკოსები მონაწილეობდნენ „საბჭოთა კავშირის სპორთვან მცენარეთა სარკვევის“ და „შორეულ აღმოსავლეთის ლიქენების სარკვევის“ შედგენაში.

ზოოლოგიის ინსტიტუტში შესწავლილია საქართველოში გავრცელებული ჩლიქოსნების (გარეული ღორი, შველი, ირემი, ჯიხვი, არჩვი, ნიამორი) რაოდენობა, ტიპური ადგილსამყოფლები, მათი ადგილი სისტემატიკაში, ეკოლოგია, გამრავლება, დაავადებები.

გამოკვლევულია აჭარა-იმერეთის ქედის იშვიათი და გადაშენების პირას მისული ამფიბიებისა და რეპტილიების ეკოლოგიის საკითხები. დამუშავებულია მათი დაცვის პრაქტიკული ღონისძიებები. დადგენილია მუხის ზოგიერთი მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალება. შემუშავებულია მათი დაცვა-მომრავლების ღონისძიებანი.

პალეობიოლოგიის ინსტიტუტში დეტალური პალინოლოგიური და კარპოლოგიური ანალიზის საფუძველზე შესწავლილია აფხაზეთის მეოთხეულის მცენარეული საფარის ევოლუცია. დადგენილია კლიმატური ფლუქტუაციები, რაც ვერტიკალური სარტყლიანობის გარკვეულ ცვლილებებს განაპირობებდა. შედგენილია ჰოლოცენის ზღვიური და კონტინენტური ნალექების სტრატეგრაფიული დანაწილებისა და შეპირისპირების სქემები. ამონიტებისა და ორსაგდულიანი მოლუსკური ფაუნის შესწავლის შედეგები საფუძვლად დაედო საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ზედა იურული სართულების საერთაშორისო ზონებად დაყოფას.



მეცნარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში მიღებულია ლობიოს კოჟრებ-სტრუქტურული მუტანტი, რომელიც 'მოლიბდენური სასუქის ფონზე იძლევა აზოტფიქსაციის მაღალ ეფექტს და იწვევს ლობიოს მარცვლების ბიომასის გადიდებას. დამუშავებულია მაღალი სისუფთავის ენდოგლუკანაზებისა და ცელოზაზის ზოგიერთი მიკრომიცეტიდან მიღების მეთოდები. შესწავლილია მიღებული ცილების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და მედეგობა ექსტრემალური პირობებისადმი. დადგენილია ცელოზაზის მეოთხეული სტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს ორ ფენად განლაგებული ექვსი სუბერთეულის ერთობლიობას. შესწავლილია მემბრანული სტრუქტურების მაპიდროქსილირებელი ფერმენტული სისტემის ცალკეული კომპონენტები და 'მათი მოქმედების თავსებებებანი ქსენობიოტიკების დეტოქსიკაციის პროცესში.

ყურძნის წვენიდან გამოყოფილია პოლიპეტიდების სუფთა პრეპარატები, 'შეისწავლება მათი ბიოლოგიური როლი. განსაზღვრულია ციტრუსოვნების სატელიტური დნმ-ების განმეორებადი ერთეულების პირველადი სტრუქტურა. მიღებულია პოლიგლუკონის ხსნად პოლიმერზე ფერმენტ გააღურონიდაზას იმობილიზებული ფორმა, რომელიც ხასიათდება მაღალი თერმოსტაბილურობით. შესწავლილია ეთერზეთების მონოტერპენული ნახშირწყალბადები ლიმონის სხვადასხვა ველურ და სამრეწველო ჯიშებსა და პიბრიდებში.

მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტში გამოკვლეულია თერმოაციდოფილური არქებაქტერიების დნმ-პოლიმერაზების მიერ კატალიზებული პოლიმერზაციის რეაქციების კინეტიკური პარამეტრები; შესწავლილია დეზოქსინიტრიფოსფატების ანალოგების გავლენა არქებაქტერიების მონაწილეობით წარმართულ დნმ-ის სინთეზზე; ნაპოვნია ეფექტური ტერმინატორები ფერმენტისათვის, რომელთაც 'შეუძლიათ შეწყვიტონ დნმ-ის ჯაჭვის სინთეზი.

ნერვული ქსოვილიდან გამოყოფილია მაღალი აქტივობის მქონე ბირთვული პოლი (ადფ-რიბოზა) პოლიმერაზა. შესწავლილია გასუფთავებული ფერმენტის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და ნაჩვენებია მისი მონაწილეობა ბირთვული დნმ-ის რეპარაციაში.  $\alpha$ -პემოლიზინის გენის კლონირებისათვის მიღებულია სტაფილოკოკების გენომური ბანკი. შემუშავებულია განსაზღვრის ახალი მეთოდი, რომლის მეშვეობით აგარში გამოყოფილია პემოლიზური აქტივობის მქონე რამდენიმე ფაგური კლონი.

ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების ინსტიტუტებში მუშაობის გარდაქმნის მიზნით შეიქმნა ძვირადღირებული უცხოური აპარატურით კოლექტიური სარგებლობის ცენტრები, კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად იქმნება სხვადასხვა დაწესებულების თანამშრომელთაგან დროებითი შრომითი კოლექტივები; საგრძნობლად გაფართოვდა ინსტიტუტთაშორისი კომპლექსური გამოკვლევები, რაც მიზნად ისახავს ფუნდამენტური გამოკვლევების ჯანდაცვის პრაქტიკაში დანერგვის დაჩქარებას.

ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მიერ შარშან მოზოვებულ მეცნიერულ შედეგებს შორის აღსანიშნავია შუამდებარე ტენის ზოგ სტრუქტურაში ორი ტიპის ნეირონების აღმოჩენა, რომლებიც სხვადასხვაგვარად რეაგირებენ მტკივნეულ გაღიზიანებასა და მორფინის შეყვანაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ტკივილის აღმოცენებისა და მისი გაყუჩების მექანიზმების გასარკვევად, ტკივილის ეფექტის რეგულაციის ახალი პრინციპების შესამუშავებლად.

ძილ-ღვიძლის ციკლზე ალკოჰოლის მცირე და საშუალო დოზების გავლენის შესწავლისას მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს უკეთ ჩავ-



წვედით ძილის ბუნებას, მისი დარღვევის მექანიზმებს და გვიადვილებს დარღვევათა კორექციის ახალი მეთოდების ძიებას.

აღმოჩენილია ქცევის თვითრეგულაციის ახალი ფორმები, რომლებიც ექსტრემალურ პირობებში აღმოცენდება და უშაღლესი ნერვული მოქმედების პათოლოგიის ჩამოყალიბება შეუძლიათ. ამის საფუძველზე დამუშავებულია ინფორმაციული გადატვირთვისადმი ნერვული სისტემის მდგრადობის ამაღლების ახალი მეთოდები.

ნერვული ქსოვილის შერეული კულტივირებით მიღებულია თავის ტვინის დარღვეული ფუნქციების აღდგენისათვის პრინციპული მნიშვნელობის მქონე მონაცემები.

შესწავლილია რადიაციისადმი ცხოველების მგრძობელობის დამოკიდებულება მათი ემოციური რეაქციების ხასიათსა და ხარისხზე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია რადიაციისადმი ორგანიზმის მდგრადობის მექანიზმების გასარკვევად და მისი რეგულაციისათვის.

ვირთაგვების თავის ტვინიდან გამოყოფილი და გაწმენდილია ადრე უცნობი ფოსფობეპტიდი, რომელიც ტვინის პიალური სისტემის სისხლძარღვების შევიწროებას იწვევს და, ამდენად, შესაძლებელია კლინიკაში იქნეს გამოყენებული.

ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში გრძელდებოდა გულ-სისხლძარღვთა სისტემის მრავალზრივი შესწავლა. კერძოდ, გამოვლენილია პიპოქსიის დროს პისტო-ჰემატურ ბარიერსა და სხვა ორგანოებში წარმოქმნილი ციტოლოგიური ძვრები; ახსნილია გულის კუნთის კუმშვითი ფუნქციის, რიტმისა და გელტარობის დარღვევის მექანიზმები; ჩატარებულია გულის კუნთის დაწვრილებითი მორფო-ფუნქციური ანალიზი გულის სხვადასხვა მანკის დროს; შესწავლილია ნეიროანალგეტიკების გავლენა გულის კუნთზე კარდიოგენული შოკით გართულებული მიოკარდის ინფარქტების დროს. ნეიროანალგეზით მკურნალობის მეთოდს რეკომენდაცია გაეწია კლინიკურ პრაქტიკაში დასაწერად.

გრძელდება და ვითარდება ავთვისებიან სიმსივნეთა მორფოგენეზის შესწავლა. უკანასკნელ ხანებში გამოირკვა, რომ სიმსივნურ უჯრედებს, გადაგვარების მიუხედავად, უნარი აქვთ მთელი რიგი ნორმალური თვისებები შეინარჩუნონ და ამავე დროს წარმოქმნან ნივთიერებები, რომელსაც ვერ აწარმოებს პირველადი ქსოვილი. შემუშავებულია სიმსივნის დიავნოსტიკისა და მისი სხვადასხვა ფორმის პროგნოზირების ახალი ორიგინალური ტესტები თანამედროვე მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით.

ტრადიციულად შეისწავლება დღეგრძელობის ფენომენი. კომპლექსური გამოკვლევები მოიცავენ გენეტიკურ, სამედიცინო, სოციალურ და სხვ. ასპექტებს დადგენილია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის გენეტიკური არაერთგვაროვნება და მოცემულია მათი შეფასება.

თანამედროვე მედიცინაში, როგორც ცნობილია, სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ენდოგენური წარმოშობის პრეპარატები, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება ინტერფერონი. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში დამუშავებულია პლაცენტიდან მისი სხვადასხვა სამკურნალო ფორმის დამზადების ტექნოლოგია. პრეპარატს „პლაფერონი“ ეწოდა და მან უკვე წარმატებით გაიარა კლინიკური გამოცდა ჰეპატიტის, ქრონიკული სეფსისის, ფსორეაზის და სხვა დაავადებების სამკურნალოდ. ლაბორატორიული გამოკვლევებით დადგენილია, რომ პლაფერონს აქვს ინტერფერონის თვისებები. გარდა ამისა, იგი შეიცავს სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებსაც ანტიპიპოქსიური ეფექტი აქვთ და ორგანოების სისხლით მომარაგების დარღვევისას დადებით გავლენას ახდენენ ორგანიზმზე.



სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილებამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები დაამუშავა კოლხეთის დაბლობის დამრობა-ათვისების, ეროზირებული მიწების აღდგენის, ეროზიული პროცესების ლიკვიდაციის და მეჩაიეობის განვითარების საკითხებზე. განყოფილებამ თავისი მოსაზრებები დროულად წარუდგინა რესპუბლიკის სათანადო ორგანიზაციებს.

თბილისის, სოხუმისა და ბათუმის ბოტანიკური ბაღების მუშაობა ძირითადად მცენარეთა აკლიმატიზაციისა და ინტროდუქციის საქმეს ემსახურებოდა.

ბოტანიკურ ბაღებში დადგენილია ზოგიერთი შემოტანილი და კავკასიური სახეობის ფოთოლმცვენ მცენარეთა გვალვაგამძლეობის უნარი, რაც ხელს უწყობს მათ ინტროდუქციას და მწვანე მშენებლობაში წარმატებით დანერგვას.

მცენარეთა კოლექციას შეემატა 255 სახეობის 1000-მდე მცენარე. ქალაქების გასამწვანებლად გაცემულია 20 ათასამდე დეკორაციული ხემცენარე და მრავალი ყვავილოვანი თესლი და ჩითილი.

მეცხოველეობის გადიდების ბიოლოგიური საფუძვლების ლაბორატორიაში ზებუსა და ევროპული საქონლის შეჯვარებით მიღებულია ჰიბრიდები, რომლებიც გამოირჩევიან დიდი წველადობით, საკვების უკეთ გამოყენებით; ავადმყოფობის მიმართ გამძლეობით და ხორცის მეტი გამოსავლიანობით.

რესპუბლიკის სასურსათო პროგრამასთან დაკავშირებით აკადემიის 18 სამეცნიერო დაწესებულება ასრულებდა 62 სამუშაოს. დასრულდა გეგმის მიხედვით 8 თემის დამუშავება.

წარმოდგენილია მოსაზრებები ეკონომიკური რეფორმის განხორციელებისას სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის ფასების სრულყოფისათვის, აგროსამრეწველო კომპლექსში საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის გამოყენების გზების შესახებ.

საანგარიშო წელს განყოფილებების ინსტიტუტებმა გაამრავლეს და განამტკიცეს მცენარეული ურთიერთობა სხვა სამეცნიერო-საწარმოო ცენტრებთან როგორც რესპუბლიკაში, ისე საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ.

ინსტიტუტებს მეცნიერული კონტაქტები აქვთ საბჭოთა კავშირის 53 სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებასთან.

ერთობლივი სამუშაოები სრულდება გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ავსტრიის, ესპანეთის, სამეცნიერო დაწესებულებებთან.

შარშან განყოფილებების დაწესებულებათა მიერ გამოქვეყნდა რვა მონოგრაფია, ოთხი შრომათა კრებული, ერთი სახელმძღვანელო და 360-მდე სტატია. მიღებულია 20-მდე საავტორო მოწმობა.

გამოქვეყნებული მონოგრაფიებიდან უნდა აღინიშნოს ბორის ყურაშვილის — „საქართველოს ცხოველთა სამყაროს დაცვა და რაციონალური გამოყენება“; გურამ ფრუიძის — „ჩაის მცენარის ჟანგვალდგენითი ფერმენტები და მათი როლი ბიოტექნოლოგიაში“; უჩა გაბუნias, ირინე გაჩეჩილასის და თემურ ლომიას — „სარძევე ჯირკვლის კიბოს მორფოგენეზი“; ზურაბ ცაგარელის და ლალი ყარყარაშვილის — „გულის მორფოლოგია ფიზიკური დატვირთვის დროს“; გამოიცა გურამ გურგენიძის სახელმძღვანელო „ალერგოლოგია“.

დაცულია 5 სადოქტორო და 27 საკანდიდატო დისერტაცია; განყოფილების დაწესებულებებში მზადდება 74 ასპირანტი. მათ შორის 45 დასრულებულ ასპირანტურაშია.

ჩატარდა 8 რესპუბლიკური, 6 საკავშირო და 2 საერთაშორისო კონფერენცია.

აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურს დისტრაქციული აპარატებისა და რეკონსტრუქციული ოპერაციების მეშვეობით მტევნის ფუნქციის აღდგენის მეთოდების შექმნისათვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია.

აკადემიკოს ს. დურმიშიძეს და ბიოლ. მეცნ. დოქტორს ო. ხაჩიძეს წიგნისათვის — „ვაზის ბიოქიმია“ მიენიჭათ საქართველოს რესპუბლიკის 1987 წლის სახელმწიფო პრემია.

ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემია მიენიჭა აკადემიკოს სიმონ ხეჩინაშვილს და მედიცინის მეცნ. დოქტორს ზურაბ ქვენიანიშვილს მონოგრაფიისათვის „ღამიანის სმენით გამოწვეული პოტენცილები“.

ზოოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები ბიოსტიმულატორ „კვატერიონის“ დანერგვისათვის დაჯილდოვდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით.

პალეობიოლოგიის ინსტიტუტის 5 თანამშრომელი დაჯილდოებულ იქნა საკავშირო საპატიო სიგელით.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულისათვის სიგელით დაჯილდოვდა აგრეთვე ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამი ლაბორატორია. სოხუმის ბოტანიკური ბაღის ახალი ჯიშის შრომანებმა ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედალი მიიღო.

ცენტრალურმა ბოტანიკურმა ბაღმა საკავშირო და რესპუბლიკურ ყვავილების გამოფენაზე მოიპოვა 15 პირველი ხარისხის დიპლომი.

დასასრულს ორიოდ სიტყვით შევეხოთ ჩვენი მუშაობის ნაკლსა და პერსპექტივას.

მეცნიერების დაჩქარებული განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია კადრებისა და მატერიალური რესურსების კონცენტრაცია პრიორიტეტული მიმართულებების დასამუშავებლად, ამჟამად სამწუხაროდ, ჩვენს დაწესებულებებში მუშაობა ამ მიმართულებით არაა სათანადო დონეზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ექსპერიმენტული გამოკვლევების ავტომატიზაციას. ამ მხრივაც ჩვენი ყველა დაწესებულება ჯერჯერობით მოიკოჭლებს. ფართოდ უნდა დაინერგოს მართვადი ექსპერიმენტების იდეები და მეთოდები, საგრძნობლად უნდა გაფართოვდეს ერთობლივი კომპლექსური სამუშაოები, შეიქმნას ახალი შრომითი კოლექტივები, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველაზე უფრო აქტუალური კონკრეტული ამოცანების სწრაფად გადაჭრას. აუცილებელია უცხოეთის მეცნიერულ დაწესებულებებთან ერთობლივი სამეცნიერო კვლევის მოცულობის გაზრდა, სტაჟირების პრაქტიკის საგრძნობი გაფართოება. სერიოზული მუშაობა ჩასატარებელი საკუთარი საწარმოო სახელოსნოების შესაქმნელად. უფრო ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული მატერიალური სტიმულირების მეთოდი.

უნდა გაძლიერდეს მუშაობა ნორმალური და პათოლოგიური ქცევის იმუნური მექანიზმების შესასწავლად, სხვადასხვა დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკის მეთოდების დასამუშავებლად. კიდევ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ფუნდამენტურ კვლევას და ამ კვლევის საფუძველზე პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების შექმნას, ბუნებადაცვითი საქმის ახალ თვისებრივ დონეზე აყვანას და ეკოლოგიური პროგნოზირების სრულყოფას; გენური ინჟინერიის მეთოდების გამოყენებით 2000 წლისათვის უნდა შეიქმნას ჰაერის აზოტის მაფიქსირებელი და ცილების მაღალი შემცველობის მქონე მცენარეები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების მეცნიერული კავ-



შირები ჯერ კიდევ არაა სრულყოფილი; ეს ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს განყოფილებების მუშაობა. მე მხოლოდ ორ მაგლითს დავასახელებ. განყოფილებები იშვიათად იხილავენ მსხვილ, კომპლექსური ხასიათის პრობლემებს და ნაკლებად ზრუნავენ ასეთი პრობლემების პრეზიდენტი სხდომებზე გამოსატანად. მეტიად სუსტია განყოფილებების კავშირი დარგობრივ სამეცნიერო ორგანიზაციებთან.

როგორც ცნობილია, ქვეყნის გარდაქმნისა და შემდგომი დაჩქარებული განვითარების პრობლემებმა მრავალი ახალი საკითხი დააყენა მეცნიერების წინაშე. ახლა ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპი უაღრესად რთული, დაძაბული და პასუხსაგებია. ყოველი ღონე უნდა ვიხმართ, რომ ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებები ამ ვითარებაშიაც მოწოდების სიმადლეზე იდგნენ.



## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ბ. ჯიბლაძის მოხსენება

ჩვენი დრო ყველაზე მკაფიო დადასტურებაა იმ ჭეშმარიტებისა, რომ ისტორიულად მეცნიერების განვითარება შეპირობებული იყო საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფაქტორებით. ყოველი დრო მეცნიერებისაგან მოითხოვდა მისთვის საჭირო ამოცანების გადაწყვეტას. ეს თავისთავად ორსახიან იანუსს ქმნიდა: თუ, ერთი მხრივ, აბრკოლებდა, მეორე მხრივ, განვითარებასაც ხელს უწყობდა. იყო აგრეთვე კონკრეტული ისტორიული პირობებიდან ამოვარდნის, წინსვლის, შორეული მომავლის პრობლემათა განჭვრეტის არაერთი პრეცედენტი, მსგავსად საოცარი უილინისისა, რომელსაც წინამორბედებიც ჰყავდა და შთამომავლებიც.

რას მოითხოვენ ახლა რევოლუციური გარდაქმნის დროს საბჭოთა მეცნიერებისაგან? არა მარტო თანამედროვე მსოფლიოს სტანდარტების დონეზე ასვლას, არამედ ყველა დარგში უკეთესის მიღწევას. მიმდინარე წლის თებერვლის პლენუმის კატეგორიული მოთხოვნაც — „საბჭოთა სკოლა ახალ თვისებრივ დონეზე უნდა ავიყვანოთ“, ჩვენთვის ნიშნავს მოწოდებას — ქართული მეცნიერება ახალ თვისებრივ დონეზე ავიყვანოთ!

მაგრამ ეს იმდენად რთული საქმეა, იმდენად ძნელი ამოცანაა, რომ საჭიროა თითოეული ჩვენგანის დინჯი, აუჩქარებელი, დაძაბული და დაკვირვებული მუშაობა. ცხადია, ჩემს მოხსენებაში მევალება შევეხო ქართული მეცნიერების მხოლოდ იმ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ენისა და ლიტერატურის, კადრებისა და ასპირანტურის განყოფილებებთან, აგრეთვე ზოგიერთი სამეცნიერო საბჭოსა და კომისიების მუშაობასთან. ანალიზიც, გასაგები მიზეზებით, მოკლედ, რეტროსპექტულად იქნება გადმოცემული.

საანგარიშო წელს მომხდარ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენებზე თქვენ უკვე მოგახსენათ პრეზიდენტმა აკად. ა. თავხელიძემ; მეც საჭიროდ ვთვლი ცალკე გამოვყო ორი დიდი მოვლენა. პირველია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის იუბილე, რომელიც ცივილიზებულ სამყაროში ფართოდ აღინიშნა. საიუბილეო საღამოზე მოსკოვში, როგორც თქვენთვის ცნობილია, ვრცელი მოხსენებით გამოვიდა

მ. ს. გორბაჩოვი. ყველას კარგად მოგეხსენებათ ის რეზონანსი, ამ სიტყვებით რომ მოფლიოში გამოიწვია

გასულ წელს აღინიშნა ჩვენი ხალხის სულიერი მამის, XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურის ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავი. საიუბილეო კომისიამ, რომელსაც ამხანაგი ჯუმბერ პატიაშვილი ხელმძღვანელობდა, ძალიან შრომატევადი სამუშაო ჩაატარა. ყოველივე ამის შედეგად ილია ჭავჭავაძე ერის წინაშე ერთხელ კიდევ წამოიშალა მთელი თავისი გრანდიოზულობით. ღრმა გაშუქება მიეცა მის მხატვრულ, მეცნიერულ, პუბლიცისტურ მემკვიდრეობას. განხილულ იქნა ისეთი მტკივნეული საკითხიც, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ასპექტებს რომ მოიცავს. ჭეშმარიტების დასადგენად შექმნილია ავტორიტეტული კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი გიორგი ციციშვილი. კომისია სისტემატურად ატარებს სხდომებს და სავსებით დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არსებული მასალების ობიექტური მეცნიერული ანალიზის შედეგად საბოლოოდ დადგინდება ჭეშმარიტება, გაირკვევა ამ უმძიმესი ეროვნული ტრაგედიის ყველა სადავო საკითხი.

მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ გასულ წელს არაერთი წარმატება გვექონდა. სამეცნიერო დაწესებულებებში, რომლებიც აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებას ექვემდებარებიან, კვლევა-ძიება მიმდინარეობდა 10 მიმართულების 22 პრობლემაში გაერთიანებულ 89 თემაზე. აქედან უნდა დასრულებულიყო და კიდევაც დასრულდა 7 თემის დამუშავება, ხოლო დანარჩენი გარდაამავალი იყო. თანაფარდობა ამ ციფრებს შორის დაშორებულია. მაგრამ მოგეხსენებათ, კვლევა-ძიებას ხომ თავისი იმანენტური კანონები აქვს.

ახლა უკვე ფაქტია, რომ ხანგრძლივი 'რუდუნების შედეგად ჩამოყალიბდა ინტერულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ასევე მნიშვნელოვანი შედეგებია მოპოვებული სსრ კავშირის, კერძოდ, კავკასიის ხალხთა ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლის დარგში. დიდი სამუშაოები შესრულდა აღმოსავლურ ხელნაწერებისა და საბუთების აღწერის, კატალოგების შედგენის, ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის, ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხთა კულტურული ურთიერთობების კვლევა-ძიების მიმართულებით. საგრძნობი შედეგები გვაქვს აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის რეგიონული ეკონომიკის, ისტორიის, ლიტერატურის, აფხაზეთი და ოსური ენების შესწავლაში. ეს მუშაობა ცხადია, მომავალშიც უნდა გავაგრძელოთ

დიდი კვლევა-ძიება წარმოებს ხელნაწერთა ინსტიტუტში. გასულ წელს იქ შეადგინეს ყველაზე ძლიერი ფეოდალების გვართა გენეალოგია, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ფეოდალური საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის.

ლიტერატურის ინსტიტუტში ფართო საკვლევაძიებო მუშაობაა არა მარტო ქართველ მწერალთა ნაწარმოებების მეცნიერულად გამართული ტექსტების მომზადება-გამოცემისათვის, სპეციალურად შეისწავლება ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისა და თეორიის პრობლემები. ეს კვლევა-ძიება კონკრეტულად უკავშირდება გამოჩენილ ქართველ მწერალთა შემოქმედებას და არ იფარგლება მარტოდენ კრიტიკოსთა მემკვიდრეობით.

ცალკე ანალიზს ექვემდებარება რომანის პრობლემა XVII საუკუნის რუსულსა და ქართულ ლიტერატურაში. გაირკვა რომანის, როგორც მხატვრულ ბელეტრისტიკაში წამყვანი უანრის არაერთი სპეციფიკური თვისება. მე მგონია ჰეგელის ის დებულება, რომელსაც ჩვენ ვაკრიტიკებდით და ვებრ-



ძოდით, საბოლოოდ დადასტურდა. სავსებით მართალია, რა თქმა უნდა, მნიშვნებით, რომ ეპოსის უანრის უმაღლეს მწვერვალს თანამედროვე რომანი წარმოადგენს.

დიდი ხანია მიმდინარეობს ინტენსიური კვლევა-ძიება რუსთაველის პოემის მრავალი საკითხის გასარკვევად. ასევე დიდი მუშაობაა გაწეული „გვეხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში. შეუძლებელი ხდება ყველა იმ სამუშაოს უბრალოდ ჩამოთვლა, რაც ჩვენი ლიტერატურის მეცნიერების დარგში ხდება. რად ღირს თუნდაც უძველესი თარგმანების, წინათონური პერიოდის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ტერმინთა ლექსიკონის შედგენა, შუა საუკუნეების ბერძნული მხატვრული კულტურის განვითარების ეტაპობრივი შესწავლა და არაერთი სხვა გამოკვლევა.

მას შემდეგ, რაც დასრულდა ქართული ხალხური პოეზიის თორმეტომეულის გამოცემა, ინსტიტუტი ინტენსიურად მუშაობს ჩვენი ეროვნული ფოლკლორული პროზის ოცტომეულის მომზადებაზე. ვფიქრობ დროა შევუდგეთ მისი პირველი ტომეულების გამოცემას.

სასიამოვნოა, რომ დ. გულიას სახელობის ინსტიტუტმა უკვე მოამზადა აფხაზური ფოლკლორული ძეგლების თორმეტომეულის პირველი ნაწევი — ექვსი ნაწილი. ეს ფრად მნიშვნელოვანი მოვლენაა.

საქართველოში დიდი ხანია მიმდინარეობს ლექსიკოლოგიური მუშაობა. გამოცემულია მრავალი ორენოვანი ლექსიკონი, მათ შორის არაერთი დარგობრივი. ისიც უნდა დავძინოთ, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტის საყოველთაოდ ცნობილი დიდი მუშაობა აღმავალი ხაზით მიემართება, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენ მძიმე დანაკლისი განვიცადეთ — დავყარვეთ გამოჩენილი ქართველოლოგი ენათმეცნიერები: გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია, ივანე გიგინეიშვილი, თინათინ შარაძენიძე, სულ ბოლოს ჩვენგან წავიდა არნოლდ ჩიქობავა.

მე საშუალება არა მაქვს ცალკე შევეხო იმ დიდ მუშაობას, რომელსაც ვატარებთ საერთაშორისო კონფერენციების, საერთოდ სამეცნიერო კონფერენციების, სესიების და მრავალი სხვა ღონისძიების სახით.

მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით ისეთი საერთაშორისო კონფერენციების ჩატარებას, როგორც იყო, პირველი — „ცივილიზაციის ბედი მსოფლიო ლიტერატურებში“ და მეორე — „ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურები“. ამ კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს როგორც საბჭოთა კავშირის, ისე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სახელგანთქმულმა წარმომადგენლებმა.

მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ ენისა და ლიტერატურის განყოფილების სამეცნიერო დაწესებულებებმა ახლანდელი გარდაქმნის მოთხოვნათა მიხედვით გადასინჯეს თავიანთი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმები და მოახდინეს თემატიკის გამსხვილება. მათ დაუმტკიცდა პრიორიტეტული პრობლემები: ენათმეცნიერების ინსტიტუტს — „ბერძნულ-კავკასიური ენები, მათი გრამატიკული სტრუქტურა, ლექსიკური შედგენილობა და ისტორია“, ლიტერატურის ინსტიტუტს — „კავკასიის ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობანი“, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს — „შედარებით ისტორიული გრამატიკა და ენობრივი ტიპოლოგია“, „სემიტური ენების სტრუქტურა და ტიპოლოგია“, „შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებზე მიმართული ბურჟუაზიული პროპაგანდის ხასიათი“. საკავშირო პროგრამებში თანაშემსრულებლობისათვის გამოიყო ხელნაწერთა ინსტიტუტის ოთხი სამეცნიერო პრობლემა: „ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხთა კულტურული ურთიერთობანი შუა საუკუნეების წერილობითი ძეგლების მიხედვით“, „ამიერკავკასიის ხალხების ისტორიის წერილობითი წყაროები“, „აღ-

მოსავლური ხელნაწერი წიგნის მეცნიერული აღწერილობა“; „ქართული ტორიული წყაროების მანქანური ფონდის შექმნა“.

გარკვეული მუშაობა ჩატარდა ფილოლოგიურ კვლევებში კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების დასაწერად. ენათმეცნიერების, ხელნაწერთა, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტებში მიმდინარეობდა მუშაობა იბერიულ-კავკასიური ენების, ქართული საისტორიო წყაროების მანქანური ფონდების შესაქმნელად. სასიხარულოა, რომ უკვე მოპოვებულია პირველი საინტერესო შედეგები.

რამდენიმე სიტყვა კადრებთან მუშაობისა და ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების შესახებ.

ჩვენს აკადემიაში ამჟამად ირიცხება 52 ნამდვილი წევრი და 68 წევრ-კორესპონდენტი. მომუშავეთა საერთო რაოდენობა შეადგენს 12982 კაცს. აქედან მეცნიერი თანამშრომელია 5928, მათ შორის 454 მეცნიერებათა დოქტორი და 2576 მეცნიერებათა კანდიდატი.

ყველა პროფილის მიხედვით 1987 წელს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 22-მა, ხოლო საკანდიდატო — 100 კაცმა. ასპირანტურაში ამჟამად ირიცხება 430 კაცი, მათ შორის დასწრებულია 211, დაუსწრებელი — 219. მათ ხელმძღვანელობას უწევს 20 აკადემიკოსი, 30 წევრ-კორესპონდენტი, 139 მეცნიერებათა დოქტორი და 52 მეცნიერებათა კანდიდატი.

თუ ცალკე ავიღებთ, 1987 წელს ენისა და ლიტერატურის განყოფილება და მის სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობდა ერთი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და ერთი სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 9 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და წევრ-კორესპონდენტი, 69 მეცნიერებათა დოქტორი, 374 მეცნიერებათა კანდიდატი; 67 თანამშრომელი გადაყვანილი იყო წამყვან მეცნიერ თანამშრომლად, 236 კი უფროს მეცნიერ თანამშრომლად. საანგარიშო წელს დაცულ იქნა 7 სადოქტორო და 17 საკანდიდატო დისერტაცია.

1987 წელს განყოფილების სამეცნიერო დაწესებულებებში ირიცხებოდა 22 ასპირანტი, მათ შორის 15 დასწრებული.

თითოეულმა აქ დამსწრემ კარგად იცის, რომ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები და პრეზიდუმი რეგულარულად იხილავენ კადრების მომზადებისა და მათთან მუშაობის საკითხებს, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს ამ დიდი სახელმწიფოებრივი საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

გასული წლის თებერვალში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაწესდა ზღვრული ასაკი, რაც შეეხო ჩვენი აკადემიის პრეზიდუმის 13 წევრს, სამეცნიერო დაწესებულების 21 დირექტორს, 11 დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში და 103 სამეცნიერო განყოფილების გამგეს. ამჟამად პრეზიდუმის ერთი წევრი აკადემიკოსი ალ. ფრანგიშვილი გადაყვანილია პრეზიდუმის მრჩეველად და ერთიც — აკადემიკოსი ვ. გომელაური ინსტიტუტის დირექციის მრჩეველად. ზღვრული ასაკის მქონე 4 დირექტორიდან 1 დანიშნულია საპატიო დირექტორად — აკადემიკოსი ს. დურშიშიძე, და 2 — დირექციის მრჩეველად. ესენი არიან აკადემიკოსები ქ. ლომთათიძე და ბ. ბალააძე. რაც შეეხება აკადემიკოს ე. ანდრონიკაშვილს, ის სულ ახლახან დაინიშნა ფიზიკის ინსტიტუტის საპატიო დირექტორად. ახალი დირექტორების შერჩევა მოხდა 1987 წლის ნოემბერში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდუმის მიერ დამტკიცებული დროებითი ინსტრუქციის შესაბამისად. ამის შესახებ პრეზიდენტმა თქვენ უკვე მოგახსენათ.



ახლა სამეცნიერო განყოფილებებში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა თვით აკადემიის შეესებინათვის ახალგაზრდა მეცნიერთა რიგებიდან.

აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში 1987 წელს სამუშაოზე განაწილდა 122 ახალგაზრდა სპეციალისტი და 36 ასპირანტურადამთავრებული.

ასპირანტურაში მიღების ორგანიზაციის მთელ პროცესს წარმართავს და კოორდინაციას უწევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული ასპირანტურაში მიმღები და გამანაწილებელი კომისია. პრაქტიკაში დამკვიდრდა ახლად ჩარიცხული ასპირანტების აკადემიის პრეზიდენტის წევრებთან სისტემატური შეხვედრები.

აკადემია დიდ ყურადღებას აქცევს მომავალი კადრების აღზრდას. ჯილდოები ეძლევათ არა მარტო ახალგაზრდა მეცნიერებს, არამედ მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობასაც, რომელიც ნიჭითა და მონდომებით გამოირჩევა. ტალანტები მოდიან შორეული სოფლებიდანაც. ახლა ისეთი სოფლებიდან მოვიდა 3 ახალგაზრდა, რომ ჩვენ გაოცებული დავრჩით მათი ტალანტით. ტალანტს ხომ „ორბის ტერარუმი“ არა აქვს, ტალანტი ყველგან იბადება — მთასა და ბარში, დედამიწის ყველა განედზე.

გასულ წელს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვის, მეცნიერული კადრების მომზადების საქმეში დამსახურებისათვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოვდა აკადემიკოსი ა. შანიძე, რომლის 100-წლოვანი იუბილე მთელმა ქართველმა ხალხმა იზეიმა, „ხალხთა მეგობრობის ორდენით“ კი — აკადემიკოსი ე. ზარაძე. აკად. გიორგი ჯიბლაძის ორტომიან მონოგრაფიას „ილია ჭავჭავაძე“ რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

გასულ წელს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილების გამგეს, მეცნ. დოქტორს ნოდარ ლომოურს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

ცალკე მინდა შევეხო სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემას. დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის თხზულებების აკადემიური ოცტომეულის პირველი ტომი; აგრეთვე მისივე ვრცელი მოთხრობა „ოთარაანთ ქერივი“. ამ გამოცემების გარდა, გამოცემილობა „მეცნიერებამ“ დიდი ილიასადმი მიძღვნილი ისეთი საიუბილეო ნაშრომებიც გამოაქვეყნა, როგორცაა „თანამედროვე, უკვდავი სული“, „ილია ჭავჭავაძის პირველი რუსული თარგმანები“, „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე“ და სხვ.

ამავე გამოცემილობას ეკუთვნის ნიკო მარის „ბასკურ-კავკასიური პარალელების“, ალ. ბარამიძის მოგონებათა პუბლიკაცია და რუსულ ენაზე დაბეჭდილი მონოგრაფია „Системы Авиценны“, სიამოვნებით მინდა აღვნიშნო აკადემიკოს იოსებ ორბელის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი იოსებ მეგრელიძის მონოგრაფიის გამოცემა.

საანგარიშო წელს სხვაც ბევრი გაკეთდა.

როგორც აკადემიის წლიურ ანგარიშშია აღნიშნული, ქართული ენათმეცნიერების განვითარების საკითხებს მიეძღვნა „თანამედროვე ქართული ენის იდიომატური ლექსიკონი“, „მარტივი წინადადების ტიპები და კომუნიკატორები“, „ბურთელის ლექსიკა ქართულში“, აგრეთვე კრებულები: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XXVI (აკად. ქ. ლომთათიძის რედაქცია), „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადეული“ (აკად. შ. ძიძიგურის რედაქციით).

საინტერესო შრომები გამოიცა ქართული ლიტერატურის პრობლემებზე. მათ შორის გვინდა მოვიხსენიოთ „ლიტერატურული ძიებანი“ (რედაქცია გიორგი ციციშვილისა), ნ. ჭოლოკავას „ლიტერატურულ-თეორიული ნარკვევები“, მ. გუგუშვილის „აღიქსანდრე სარაჯიშვილი — რუსთველოლოგი“,



ლ. სანაძის და ლ. მეგრელიშვილის კრებული „ოლია ოკუპაციას დღიურები“ და მიმოწერა ვალაკტიონთან“, სარგის ცაიშვილის „წინაპრებიდან — თანამედროვეებისაკენ“ (რუსულ ენაზე). შენაძენად მიმაჩნია მეცნიერულად გააზრებული ისეთი პუბლიკაციები, როგორცაა „მრავალთავი“, X საუკუნის პოეტის იოანე მინჩხის „პოეზია“, აგრეთვე თეიმურაზ ბაგრატიონის მხატვრული თხზულებანი.

ამავე ასპექტით გვინდა გვაანალიზოთ ჩვენს საკურატოროში შემავალი საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის ისეთი გამოცემები, როგორცაა: „ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“ (შეადგინა თინათინ ყაუხჩიშვილმა), უმათაღმწერლის „ასწლოვანი მატინაე“ (რევაზ კეკელიძის რედაქციით); XV საუკუნის სომეხი ისტორიკოსის თოვმა მეწოფეცის „ისტორია თემურ ლენგისა და მისი შთამომავლებისა“. ეს წიგნი ძველი სომეხურიდან თარგმნა მეცნ. დოქტორმა კარლო კუციამ და მინდა ვერჩიო ყველა ქართველს მისი წაკითხვა, არა მარტო იმიტომ, რომ იგი უნიკალური ძეგლია, არამედ განათლებული და ნიჭიერი დამკვირვებლის — თვითმზილველის შემადარწუნებელი მოთხრობაა XIV საუკუნის დასასრულისა და XV საუკუნის სომეხეთ-საქართველოს იმ უსაშინელესი ტრაგედიისა, რაც მტარვალმა, თემურ ლენგმა, შემდეგ კი მისმა მრავალრიცხოვანმა შთამომავლებმა თავს დაატეხეს როგორც მრავალტანჯულ სომეხეთს, ისე რვაჯერ დარბეულ საქართველოს.

როგორც იცით, ამჟამად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არამარტო მოსწავლელ ახალგაზრდობის, მთელი საზოგადოების მორალურ-ესთეტიკურ და ინტერნაციონალურ აღზრდას. ამ ასპექტში ურიგოდ არ გამოიყურება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ესთეტიკის პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს მუშაობა.

ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს საბჭომ მიუძღვნა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე — „ესთეტიკა როგორც მეცნიერება და ესთეტიკური კვლევა-ძიების კონკრეტული შედეგები“. მომზადდა გამოსაცემად და სტამბას გადაეცა საბჭოს კრებულის „ესთეტიკური ძიებანი“ მესამე-მეოთხე წიგნები. მათში შესული ნაშრომები განიხილავენ ესთეტიკისა და ესთეტიკური აღზრდის საინტერესო აქტუალურ პრობლემებს. ახლა, როცა მთელს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს რადიკალური გარდაქმნის პროცესი, საჯაროობა მკვიდრდება და იძენს მეტ პრინციპულობას, უშუალობას, ბუნებრივად ისმება მეცნიერული კვლევა-ძიების შემდგომი გაძლიერება-გაფართოების აუცილებლობის საკითხი. მკითხველი ამ წიგნში გაეცნობა ამაღლებულის, კომიკურის, ლიტერატურული პორტრეტის, ესთეტიკისა და თანამედროვეობის ურთიერთ-მიმართების, განწყობის ფსიქოლოგიის, ეგზისტენციალიზმის, ხალხური სიმღერის, სკოლაში ესთეტიკური ფენომენის როლის, შრომის ესთეტიკური კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემის ანალიზს.

მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომის ესთეტიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მუშაობის შესახებ.

გასულ წელს ლაბორატორიამ გააგრძელა თბილისის საინსტრუმენტო ქარხანაში მოპოვებული მასალების დამუშავება შრომის ესთეტიზაციის მიმართულებით. საწარმოს მასალებზე მუშაობა გრძელდება საინსტრუმენტო ქარხნის ინტერიერისა და ექსტერიერის სრულფასოვანი ესთეტიზაციის ხაზით.

ჩვენ დავაყენეთ საკითხი საკავშირო აკადემიის წინაშე იმის შესახებ, რომ პრიორიტეტულ მიმართულებად დაემტკიცებინათ ლაბორატორიის ძირითადი სამუშაო თემა — „ესთეტიკური ფენომენებისა და კატეგორიების პრა-



ქტიკულ ფასეულობათა გამოვლენა და დანერგვა“. წარვადგინეთ დასახლებული პუნქტების წარმოქმნის სრულიად ახალი საბჭოთა კავშირში, მხოლოდ ახლა იწყება. მასთან ჯერჯერობით ეს ფაქტორები და მიჩვენებლები შეისწავლება ცალ-ცალკე, მჭიდრო ურთიერთკავშირისა და ურთიერთშედეგის გარეშე. პირველად დგება სამრეწველო პროდუქციის ესთეტიკური ხარისხის ყოველმხრივი უზრუნველყოფის ამოცანის კომპლექსური პროგრამის დამუშავებისა და დანერგვის ამოცანა.

განვითარებულმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა, განსაკუთრებით იტალიამ, აშშ-მ, გერ-მ, იაპონიამ დააგროვეს სამრეწველო საქონლის მაღალი ესთეტიკური ხარისხის მიღწევის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, მაგრამ თეორიულად პრობლემა გაშუქებულია ძირითადად ერთ ქრილში — დიზაინერის შემოქმედებით, იაპონიაში კი შრომის ესთეტიკური კულტურის ამოცანების ასპექტშიც. ამ გამოცდილების შესწავლა და განზოგადება ჩვენთვის აუცილებელია.

ავიღოთ თუნდაც ერთი მიმართულება — ფერის გამოყენება შრომაში, მედიცინასა და ცხოვრების სხვა დარგებში. ამ მხრივ მსოფლიოს აქვს კონკრეტული მიღწევები, რის შესახებაც დაწვრილებით არის მოთხრობილი ფრანგი მეცნიერის მორის დერიბერეს წიგნში „ფერი ადამიანის მოღვაწეობაში“. ფერის ფენომენის გამოყენებამ მრავალ ფაბრიკასა და ქარხანაში შრომის ნაყოფიერება აამალა 1—2 პროცენტით, უზარმაზარ შემოსავალთან შედარებით მინიატურული დანახარჯების ფასად.

ჩვენს ქვეყანაში ფერი შეისწავლება მხოლოდ ფიზიკოსების, საერთოდ, ბუნებისმეტყველთა მიერ. ისინი ადგენენ ანგისტრემებით გაანგარიშებებს, ყურადღების გარეშე კი რჩებათ ადამიანის ცხოვრებაში ფერის გამოყენების უდიდესი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა.

საქართველოში ამ მიმართულებით ბოლო 2—3 წელია მიმდინარეობს სპეციალური სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობა; დაგროვდა პირველი გამოცდილება, შეიქმნა დიზაინერების საზოგადოებაც. ლაბორატორიისათვის ჩვენ წარვადგინეთ სათანადო მოთხოვნა. მოსკოვში განხილვის პირველ სტადიაზე საკითხი დადებითად გადაწყდა. ველით საბოლოო შედეგს. ამ საკითხს ჩვენ დავამუშავებთ შრომისა და ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, მოსკოვის, კიევის, მინსკის, თბილისის, ბაქოს, ერევნის, ხარკოვის, ტაშკენტის უნივერსიტეტების სპეციალისტთა მონაწილეობით.

ვერდს ვერ ავუვლით პრეზიდენტთან 1973 წლიდან არსებული საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის მუშაობას. მას ხუთი ქვეკომისია აქვს, რომლებსაც ხელმძღვანელობენ აკადემიკოსები თენგიზ ონიანი, ოთარ ღუდუშაური, წევრ-კორესპონდენტები გიორგი ძიძარია, დავით ხახუტაიშვილი, პროფესორი ბაგრატ ტეხოვი.

1987 წლის ზაფხულის პერიოდში კომისიებმა ჩაატარეს საექსპედიციო სამუშაოები, რის შედეგადაც მოგროვდა მნიშვნელოვანი მასალა. ამ მასალების ნაწილი უკვე დამუშავდა, მეორე კი ანალიზის სტადიაშია.

რეგიონების მიხედვით საექსპედიციო სამუშაოების დროს შესწავლილი იქნა:

I. აფხაზეთში გულრიფშის რაიონის წებელდის სოფლსაბჭოს სოფლები. ექსპედიციის მუშაობის შედეგები განიხილა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, რის შედეგადაც დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი რაიონის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად;

II. აჭარაში მთის ზონის ალბური დასახლების (ბეშუმის, გოდერძის მიდამოები) ისტორიისა და სეზონურად მცხოვრები ზემო აჭარის მოსახლეობის

ყოფისა და კულტურის საკითხები. ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები ზევის რაიონში (დარჩიძეების შუასაუკუნეების ციხე-კოშკი);

III. ხევსურეთში ტრანსკავკასიის რკინგზის მაგისტრალის რაიონში ზუსტდებოდა ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები, გროვდებოდა მასალები მშენებლობისადმი მოსახლეობის ფართო მასების დამოკიდებულების შესახებ;

IV. თუშეთში საკითხები, თუ რა გზით, რა საშუალებებით არის შესაძლებელი ამ რეგიონის კვლავ დასახლება, მისი ეკონომიკური აღორძინება, ისტორიულად ტრადიციული შინა მეურნეობის აღდგენა. დადგინდა ის სოფლები, რომლებიც სასწრაფო დახმარებას საჭიროებენ (ბედო, წარო, ჭონთი). ექსპედიციის წევრებმა დაწერეს ტელესცენარი თუშეთის ისტორიულ ძეგლებსა და თანამედროვე ცხოვრების პერსპექტივებზე. გიორგი ცოცანიძემ გამოსცა მშვენიერი წიგნი თუშეთის შესახებ „გიორგობიდან გიორგობამდე“. არ დავმაღავ. ექსპედიციის წევრები თუშეთის აღორძინების ძირითად პრობლემად მიიჩნევენ გვირგვინის გაყვანას მთათუშეთში. ეს საკითხი ცალკე იქნება შესწავილ-დაზუსტებული.

რაჭაში ექსპედიციამ შეაგროვა დიდი ძალი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა. ლეჩხუმის ტერიტორიაზე ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც მეწყრული მოვლენების ზონებშია და მათ უშუალო სიახლოვეს მდებარეობენ. ისინი საჭიროებენ სასწრაფო სამუშაოთა ჩატარებას (სოფ. გვესოშის კოშკი, ციხე და ეკლესია, ზედა ლუხოვანოს „დათვანიშის“ ნამოსახლარი ძვ. წ. IX—VII საუკუნეებისა, სოფ. მახაშის ანტიკური ხანის სამაროვანი; ორბელის ციხე და მიმდებარე ტერიტორია, სოფ. ორხევის ციხე-კოშკი, ლასარის ციხის ნაშთი და სხვ.);

V. სვანეთში გრძელდებოდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა, რის შედეგადაც გამოვლინდა და აღირიცხა დღემდე უცნობი მრავალი ნივთი, საეკლესიო თუ საერო დანიშნულებისა;

VI. სამხრეთ ოსეთში გარკვეული მუშაობა ჩატარდა არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა და ეკონომიკურ-კულტურული მონაცემების შესწავლის მიმართულებით.

მაგრამ რა ნაკლი გვაქვს?

ჩვენს ნაკლად მიგვაჩნია ზოგიერთი საპრობლემო საბჭოებისა და კომისიების სუსტი მუშაობა. ძალიან გვბორკავს საგამომცემლო ლიმიტის მეტისმეტი შეზღუდულობა, აგრეთვე სამი ეტაპი წიგნის გამოცემაში. ერთი წელი სჭირდება მოსამზადებელ გეგმას, მეორე წელი — ძირითად გეგმას და მესამე წელი — გამოცემას. იქნებ შეიცვალოს ეს წესი, რომელიც საკავშიროა და არა რესპუბლიკური, მე ვთხოვ ჩვენს სტუმრებს დაგვხმარებოდნენ ამ საქმეში. ნაშრომი უნდა გამოვიდეს ავტორის მზადყოფნის მიხედვით. არსებითად ჩვენ ბევრ შემთხვევაში ვცემთ არა ახალ, არამედ 3 წლით მოძველებულ შრომებს. აქ რომელ პრობორიტეტზე შეიძლება ლაპარაკი? ვინ გავრკვევს ვისი აღმოჩენა და ვინ თქვა პირველი სიტყვა? კომენსკის „ოპერუმ დიდაქტიკის“ გამოცემას სამი თვე დასჭირდა. სამი თვის შემდეგ იგი ითარგმნა ინგლისურად და ინგლისში გამოვიდა. ჩვენ კი 3 წელიწადი გვჭირდება თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილებს!

ბოლო დროს გაძლიერდა როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობანი. ლიტერატურის ინსტიტუტის მონდომებით იაპონიის ქალაქ ტენრის სლავისტიკის კათედრასთან შექმნილია ქართული კულტურის შემსწავლელი ცენტრი, რომლის ხელმძღვანელია პროფესორი ფუკასა ოტანი. ქალაქ გიორტინგენში მუშაობა დაიწყო ქართული ლიტერატურის კათედრამ პროფესორ ჰორსტ ტურკის ხელმძღვანელობით. ანალოგიურ მუშაო-



ბას საფრანგეთთან და ბულგარეთთან განაგრძობს ხელნაწერთა ინსტიტუტი. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ აკად. ე. მეტრეველის მუშაობა. ამ ინსტიტუტში გასულ წელს მუშაობდნენ ცნობილი ევროპელი მეცნიერები: პროფ. ფ. ლილიენფალდი — „მოქცევაი ქართლისაის“ გერმანულ თარგმანზე, და პროფესორი ე. ყონო, რომელიც სწავლობს მაქსიმე აღმსარებლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას

როგორც დადებითი მოვლენა უნდა აღვნიშნოს ჩვენი აკადემიის ინსტიტუტების აქტიური თანამშრომლობა დალესტინის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ადიღეს სამეცნიერო დაწესებულებებთან. გაძლიერდა და განმტკიცდა კავშირი საქავშირო აკადემიის რუსული ლიტერატურისა და მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტებთან.

თქვენ იცით, რომ 1974 წლიდან პრეზიდენტთან შექმნილია ბიობიბლიოგრაფიული სერია „ქართველი მეცნიერები“. ცალკე ნაკვეთებად იბეჭდება გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა შრომებისა და მათ შესახებ არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიები. თითოეულ ნაკვეთს დართული აქვს მეცნიერთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა. ნოდარ გურგენიძის, შოთა შენგელიას, რეზო გრიგოლიას ენერგიული მუშაობის შედეგად დღეისათვის გამოცემულია 43 ნაკვეთი. მარტო გასულ 1987 წელს დაბეჭდა 5 ბიობიბლიოგრაფია. შეიძლება უფრო მეტის გამოცემა ყოველწლიურად, მაგრამ ხელს გვიშლის შესავალი წერილების დაგვიანებით წარმოდგენა. ზოგჯერ კი არაკვალიფიციურ ტექსტზე ხანგრძლივი, გაჭიანურებული მუშაობა. ჩემი თხოვნაა ამ საქმეში მეტი დახმარება გაგიწიონ აკადემიკოს-მდივნებმა.

ამჟამად შედგენილია სამუშაო გეგმა მესამე არჩევის აკადემიკოსთა ბიობიბლიოგრაფიების მოსამზადებლად. აქედან ოთხი (ი. ვეკუა, ვ. კუპრაძე, ი. ქუთათელაძე, გ. წერეთელი) უკვე დაბეჭდილია. მუშაობა გრძელდება აკადემიკოსების გ. ძორენიძის, რ. აგლაძის, ს. ჩოლოყაშვილის, კ. ერისთავის და სხვათა ბიობიბლიოგრაფიების დასამთავრებლად. ზედმეტია იმის ხაზგასმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბიობიბლიოგრაფიული სერიის თითოეულ მონაკვეთს არა მარტო ჩვენი მეცნიერების მიერ დატოვებული მემკვიდრეობის ზუსტი ანალიზისათვის, არამედ, იმ საშვილიშვილო საქმეშიც, რომ დაიწეროს ქართული მეცნიერების ენციკლოპედიური ისტორია მეცხრამეტე საუკუნიდან დასრულებული.



## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ი. ფრანგიშვილის მოხსენება

ჩვენი აკადემიის ინსტიტუტების სამეცნიერო საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევებს. მნიშვნელოვანი კვლევები იქნა ჩატარებული თანამედროვე მათემატიკის, ფიზიკის, ასტრონომიის, კიბერნეტიკის, ქიმიის, მეტალურგიის, მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების პრობლემების დრავლივ.

საანგარიშო წელს მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები დრეკადობისა და ალბათობის თეორიაში, გამოთვლით მათემატიკაში, დისკრეტულ მათემატიკასა და მათემატიკურ კიბერნეტიკაში, ინფორმატიკის, გამოთვლითი ტექნიკისა და ავტომატიზაციის საკითხებში, ელემენტარული ნაწილაკების

კოსმოსური სხივების, მყარი ტანის, პლასმის ფიზიკაში, ბიოფიზიკაში, ცენტრონომიასა და ასტროფიზიკაში, მექანიკისა და მანქანათმშენებლობის დარგებში, მართვის პროცესების პრობლემებში, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის და დედამიწის შესწავლის საკითხებში.

მოკლედ შევჩერდებით მიღწეული ფუნდამენტური გამოკვლევების შედეგებზე და შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე. დავიწყებთ მათემატიკასა და ფიზიკის განყოფილებით.

გამოკვლევები თეორიულ და გამოყენებით მათემატიკაში ეყრდნობა თანამედროვე მათემატიკის განვითარების ტენდენციებს. ახალი ამოცანები გადაწყდა დრეკადობის თეორიაში, დიფერენციალურ განტოლებათა და ჰარმონიული ანალიზის საკითხების შესწავლის დარგში. კვლევის შედეგად დადგენილია დრეკადობის თეორიის ძირითად განტოლებათა სისტემის ამოხსნათა თვისებრივი ხასიათი. მნიშვნელოვანი შედეგები არის მიღებული თანამედროვე ალგებრასა და ტოპოლოგიაში წონასწორობისა და სტაციონარული მოძრაობის ამოცანების გადაწყვეტაში. ეს სამუშაოები ჩატარდა ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში.

ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში დამუშავებულია სასაზღვრო ინტეგრალური განტოლებების რიცხვითი გამოთვლის პროგრამული უზრუნველყოფა მრავლადბმული არეების შემთხვევაში. აგებულია ეფექტური რიცხვითი სქემა კვანტურ ველში გაფანტვის თეორიის სინგულარული ინტეგრალური განტოლებების ამოხსნისათვის. დამუშავებულია გამოთვლითი მანქანების გაერთიანების ტექნიკური სამუშაო პროექტი და შედგენილია აკადემიის დაწესებულებების პასპორტი.

ფიზიკის დარგში ფუნდამენტურ გამოკვლევათა საფუძველზე დამუშავებულია თერმოდინამიკური ენერჯის მექანიკურ ენერჯიად გარდაქმნის ახალი საშუალება და შექმნილია მზის ეკონომიური ძრავის მოქმედი მოდელი. დამუშავებულია ნეიტრონების პოლარიზებული ნაკადების პარამეტრების განსაზღვრის უნივერსალური მეთოდი. ფართოდ არის წარმოდგენილი კონდენსირებულ გარემოთა დაბალტემპერატურული თვისებების კვლევა. დაისახა მუშაობა მაღალტემპერატურული ზეგამტარების შექმნის მიმართულებით.

ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვულ რეაქტორზე დანერგილია ცივი ნეიტრონების წყარო, რეაქტორული კრიოსისტემა და უვაკუუმო დაბალტემპერატურული კრიოსტატი ნახევარგამტარული მასალების ოპტიკური თვისებების გამოსაკვლევადა.

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში აგებულია ტიპური რადიოაპლუსარების გამოსხივების მექანიზმის მოდელი და კიბორჩხალის ნისლეულის ამორფული უბნის დისკური მოდელი. აბასთუმნის ვარსკვლავთკატალოგის მანქანური დამუშავების საფუძველზე გამოვლენილია ვარსკვლავების სიფრცული განაწილების თავისებურებანი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს გალაქტიკაში მასების განაწილების მოდელის აგებისათვის.

კიბერნეტიკის ინსტიტუტში ჩატარებულია პერსპექტიული სამუშაოები ოპტიკური გამოთვლითი მანქანების ელემენტური ბაზის შესაქმნელად და უჯრედული ავტომატების თეორიის ჩამოსაყალიბებლად. ამ უკანასკნელის ჩამოყალიბებამ ჩვენს რესპუბლიკაში დიდი გამოხმაურება პოვა. ეს თეორია შეიძლება იყოს ერთადერთი ენა მომავალი ოპტიკური მანქანების შექმნისა, რადგან ოპტიკური მანქანების შექმნა ძველი ენით, ძველი თეორიით შეუძლებელია. კიბერნეტიკის ინსტიტუტში იქმნება არა მარტო ელემენტთა ოპტიკური ბაზა, არამედ თეორია იმ ენისა, რომელმაც უნდა დაამუშაოს გამოთვლითი ტექნიკის საკითხები და სხვ. მიღებულია მნიშვნელოვანი თეორიული შედეგები იზოტროპული ავტომატების მეშვეობით ანიზოტროპული



ავტომატებისა და კვაზიუჯრედული სტრუქტურების მოდელების შესრულებაში. შექმნილია კვლევის ექსპერიმენტული მეთოდები და შესწავლილია სპირალური სტრუქტურის მქონე თხევადკრისტალური ნარეგების ელექტრო-ობტიკური და ტემპერატურული თვისებები. დამუშავებული და აგებულია ელექტრონულ-გამოთვლით მანქანებს შორის ლაზერული კავშირის სისტემების ფიზიკური კვანძის ორი ვარიანტი. დამუშავებული და სინთეზირებულია ორკომპონენტური ოქსიდური მინები და შესწავლილია მათი ობტიკური მახასიათებლები. ინსტიტუტმა დაამუშავა და დაამზადა მოხეტიალე დენების მრიცხველი. ამასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, თუმცა, უშუალო, პირდაპირი კავშირი იმ ძირითად სამუშაოებთან მას არა აქვს. დამუშავებულია ხელოვნური ძვირფასი თვლების ახალი შედგენილობა, რომელიც ხასიათდება გაზრდილი გამოსხივების უნარით ულტრაიისფერი სხივებით განათების დროს.

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებაში გაერთიანებული ინსტიტუტები 1987 წელს მონაწილეობდნენ 8 საკავშირო, 9 რესპუბლიკური და 5 დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამებით გათვალისწინებული დავალებების შესრულებაში.

ჩვენს პერიოდში ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით უდიდესი მნიშვნელობა აქვს მანქანათმშენებლობის, გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების წინმსწრებ განვითარებას. ამ მიმართულების განყოფილებაში გაერთიანებული ინსტიტუტები 1987 წელს მონაწილეობდნენ 6 საკავშირო, 10 რესპუბლიკური და 6 დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამებით გათვალისწინებული დავალებების შესრულებაში.

მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში დამუშავდა ინერციული ამძრავის მქონე ვიბრაციული მანქანების რხევებისა და ხმაურის დონის განსაზღვრის მეთოდი და პროგრამა, რაც საშუალებას იძლევა დაპროექტების სტადიაში განისაზღვროს ვიბრაციული მანქანის ვიბროაკუსტიკური მახასიათებლები. გრძელდება კვლევები „ადამიანი — ობერატორი“ სისტემის ვიბრაციული დაცვის ეფექტური საშუალებების შესაქმნელად. ეს დღესდღეობით დიდი მნიშვნელობის პრობლემაა და მისი გადაწყვეტა ადამიანის მუშაობის პირობების არსებით გაუმჯობესებას იძლევა. დამუშავდა გრიგალკამერიანი დიზელის კუმშვისა და გაგანვირების პროცესების გაანგარიშების მეთოდიკა. მაფოკუსებელი კოლექტორებისა და თბური აკუმულატორების გამოყენებით დამუშავდა მზის ენერჯის მექანიკურ ენერჯიაში გარდაქმნის პრინციპული სქემა. სამუშაოდ, აღმოჩნდა, რომ ამ ინსტიტუტში საკმაოდ მოძველებული დანადგარები გვაქვს; საჭიროა ამ დანადგარების განახლება, საჭიროა თემატიკის კიდევ მეტი დახვეწა და საჭიროა ეს პრობლემები უფრო მეტად ჩამოვყალიბოთ და, საერთოდ, ეს ძლიერი ინსტიტუტი გახდეს უფრო ძლიერი და მანქანათმშენებლობის დარგში იყოს წამყვანი.

კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში დამუშავდა აკუსტიკური პოლოგრაფიის მეთოდი და ბეტონის მიკრო-სტრუქტურის კვლევის პრინციპული სქემა. გამოვლენილია რთულ-დაძაბულ მდგომარეობაში მყოფი რკინაბეტონის ძალების მუშაობის თავისებურება აგრესიული გარემოს მუდმივი და ცვლადი ზემოქმედების პირობებში. შემუშავდა ალბათური მეთოდი სტატიკურად ურკვევი კონსტრუქციების გაანგარიშებისათვის.

გ. წულუკიძის სახ. სამთო მექანიკის ინსტიტუტში დამუშავებულია საბაგირო ტრანსპორტის პერსპექტიული სისტემების პარამეტრები. შეიქმნა ახალი მოწყობილობა მძიმე სუსპენზიების სიმკვრივის გასაზომად. შეიქმნა პარალელურად ჩართული ვენტილატორების გაშვების ახალი პრინციპი და მო-

წყობილობა, რომელიც დაინერგა რიკოტის საავტომობილო გვირაბის განიავების დანადგარზე.

მართვის სისტემების ინსტიტუტში დამუშავებულია ქართული ორთოგრაფიული ტექსტის ფონეტიკურად ჩაწერის ალგორითმი და დიალოგური სისტემა ენის შესწავლისა და თარგმნის პროცესების ავტომატიზაციისათვის. დაწყებულია კვლევითი სამუშაოები ლოკალური ქსელების და ექსპერიმენტის ავტომატიზაციის სისტემებზე. მუშავდება კონცეფციები და ხდება პროგრამული უზრუნველყოფის ადაპტირება. ამავე ინსტიტუტს დაევალა გეოფიზიკის ინსტიტუტთან და გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტთან ერთად შექმნას ახალი ავტომატიზებული სისტემა სექციის საწინააღმდეგო და საერთოდ, მანქანური სისტემა, რომელმაც დიდი ეფექტი უნდა მოგვეცეს ეკოლოგიის და ჩვენი გარემოს შესასწავლად. აქ იყო რამდენიმე პრობლემა, მათ შორის მანქანების შეძენისა. ეს პრობლემა, ვიმედოვნებთ, გადაწყვეტილი იქნება და ეს პრობლემა იქნება დამუშავებული, როგორც სახელმწიფო პრობლემა.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო დაწესებულებები 1987 წელს მონაწილეობდნენ 4 საკავშირო და 8 რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამით გათვალისწინებული დავალებების შესრულებაში.

გეოფიზიკის ინსტიტუტში შესწავლილია ზღვრული ბზარიანობის მქონე ქანების ორგანოზომილებიანი მეორული მოდელების დრეკადი მოდელების დაშოკიდებულება სისტემის ზომებზე. შავი ზღვის შეღდისათვის აგებულია მაქსიმალური შესაძლო მიწისძვრებისა და სეისმური აქტიურობის რუკები. მიმდინარეობს ენგურტპესის რაიონში წარმოებული დედამიწის ზედაპირის დახრება და დეფორმაციებზე უწყვეტი დაკვირვებანი და დანაკვირვები მასალის სისტემატური დამუშავება. მომზადებულია ექსპერიმენტები ცხოველების მოკარდის მორფოფუნქციონალურ მდგომარეობაზე მაგნიტური და ელექტრული ველების, წნევისა და ჰაერის ტემპერატურის გავლენის შესასწავლად.

შედგენილია მიწისძვრების კერების რუკა და დაზუსტებულია კავკასიის შოსალოდნელი მიწისძვრების რუკა. შესწავლილია ოზონის კონცენტრაციის ცვლილებების ხასიათი მეტეოროლოგიურ პროცესებთან დაკავშირებით საქართველოს ტერიტორიაზე. შემუშავებულია ოზონის კონცენტრაციის მოკლევადიანი პროგნოზის მეთოდი ქალაქ თბილისის ატმოსფეროს სიციცხლისუნარიან ფენაში. გამოვლენილია ატმოსფერული ოზონის კონცენტრაციის უარყოფითი გავლენა გულსისხლძარღვთა სისტემით დაავადებულ ადამიანებზე. შემუშავდა რეკომენდაცია თბილისის პირობებში ადამიანის სამედიცინო პროგნოზის შესადგენად. გამოვლენილ იქნა ატმოსფერული ოზონის მაღალი კონცენტრაციის უარყოფითი გავლენა მცენარეებზე და მცენარის თესლის აღმოცენებაზე.

ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიურ ინსტიტუტში ჩატარებულია აეროკოსმოსური ფოტოების სავსე ამოშიფვრა. გამოყოფილია რიგი ამოშიფვრის ნიშნები, რომლებითაც ხდება რღვევითი და სხვა სტრუქტურების გამოყოფა. შედგენილია კავკასიის რეგიონის გეოლოგიური სტრუქტურის გრძივი და განივი გეოლოგიური ჭრილები. დადგენილია ძირულის მასივის შუაჯარბონული ასაკი და პეტროგენული ელემენტების განაწილების კანონზომიერებები მინერალებში.

ტარდება სამუშაოები ბუნებრივი ცეოლითების გეოლოგიურ-მინერალოგიურ შესწავლაში სოფლის მეურნეობაში გამოყენებასთან დაკავშირებით. დამუშავებულია ფერადი და კეთილშობილი ლითონების წარმოების დარიშხანშემცველი ნარჩენებიდან დარიშხანის ამოკრფვის პრინციპულად ახალი მეთოდი.



ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორმა ჩაატარა მინერალური წყლების ჰიდროგეოლოგიური პირობების რევიზისა და რესურსების კვლევა. დაამტკიცა, რომ მიწისქვეშა წყლების მარაგების კლებამათი ექსპლუატაციისას არ შეიძლება. შესწავლილია რუსთავის, ქუთაისის, სოხუმის, ლანჩხუთის და ქსნის სამრეწველო ობიექტების დატბორვის საკითხები. ლანჩხუთისა და ქსნის მარცვლეულის მიწისქვეშა საწყობების ჰიდროგეოლოგიური შესწავლის შედეგები და რეკომენდაციები გადაეცა პურპროექტების სამინისტროს.

დამუშავებულია ბორჯომის ტიპის მინერალური წყლიდან ფხვნილის მიღების ტექნოლოგიის ძირითადი პარამეტრები და ამავე ფხვნილიდან ხელახლა მომზადებული წყლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. შესწავლილია ბორჯომის, ახალციხის და ქედის რაიონების ნახშირმყავა წყლები. შესწავლილ იქნა მეწყერები და სელები დაზარალებულ რაიონებში და დასახულ იქნა მათი საწინააღმდეგო ღონისძიებანი.

ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში დასრულდა კოლექტიური მონოგრაფია „კოლხეთის დაბლობის ათვისების მეცნიერული საფუძვლები“. დასრულდა აგრეთვე „კოლხეთის დაბლობის სისტემურ-გეოგრაფიული ატლასი“. შედგენილია საქართველოს XVIII საუკუნის პირველი ნახევრის რუკა, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს XVIII საუკუნის ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესწავლა-შეფასებას. შესწავლილია შავიზღვისპირა რეგიონის ტერიტორიული საწარმოო კომპლექსი, განსაზღვრულია მისი დარგობრივი სტრუქტურა და გაანალიზებულია სამეურნეო ფუნქცია. დამუშავდა რეკომენდაცია „სახიფათო ბუნებრივი მოვლენების პროგნოზირების შესახებ საქართველოში“ და განისაზღვრა სვანეთიდან მოსახლეობის დიდი რაოდენობით ბარის ზონაში ჩასახლების არამიზანშეწონილობა.

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების სამეცნიერო დაწესებულებები 1987 წელს მონაწილეობდნენ 13 საკავშირო და 12 რესპუბლიკური და რიგი დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამით გათვალისწინებული დავალებების შესრულებაში.

პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში სამგორის ნავთობის მეორადი ნედლეულის კატალიზური კრეკინგის შედეგად მიღებულია 22% გამოსავლით ბენზინის ფრაქცია, რომლის ოქტანური რიცხვი შეადგენს 80-ს. პირველადია ნაჩვენები, რომ ნავთობის ფისოვანი ნაერთების ფოტოქიმიური გარდაქმნის დროს ადგილი აქვს პროცესებს, რომლის დროსაც წარმოიქმნება დაბალმოლეკულური ნახშირწყალბადოვანი ფრაგმენტები და წყალში ხსნადი ფენოლური ჯგუფის შემცველი ნივთიერებები, რომლებიც ხასიათდებიან ბიოლოგიური აქტიურობით — მცენარეთა ზრდის სტიმულიზაციის უნარით. ბუნებრივი ცეოლითების მეტალთა ხელატებით დამუშავების გზით შემუშავდა მოდიფიცირებული ხელატური პრეპარატების მიღების ტექნოლოგია. მრავალწლიან კულტურებზე ხელატ-ცეოლითური პრეპარატების გამოყენებით ნაჩვენებია მცენარეთა დაავადების შემცირება, მოსავლის ზრდა და ნაყოფის ხარისხის გაუმჯობესება. შემუშავებულია მარცვლეული კულტურის თესლის კაფსულირების ტექნოლოგია. მიღებულია ახალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომლებსაც აღმოაჩინდათ პენტიციდური აქტიურობა.

არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში შეისწავლეს ალუმინის ოქსიდის მოდიფიკაციების გავლენა აირების გამწმენდი კატალიზატორების სარჩულის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე. დადგინდა, რომ ალუმინის ოქსიდის სარჩულზე მომზადებული პლატინის კატალიზატორები 20%-ით



უფრო ხანგრძლივად მუშაობენ ავტოსატიკროტულების გამონაბოლქვი აბრჭანების გამწმენდ სისტემაში. დამუშავებულია გაერთიანება „აზოტის“ მანგანუმის ელექტროლოზური დიოქსიდის წარმოებაში გამოყენებული ტიტანის ანოდების გააქტიურების სამრეწველო ხერხი.

გაერთიანება „აზოტის“ მსხვილლაბორატორიულ დანადგარზე პერმანგანატის წარმოების ნამუშევარი ელექტროლიტიდან მიღებულია მანგანუმის დიოქსიდი, რომელიც მშრალ ელემენტებში დენის წარმომქმნელ ნივთიერებად ითვლება. გამოკვლეულია კონდენსირებულ გარემოში დიპოლურაქტიურ ნაწილაკებს შორის მუხტის გადატანის კინეტიკა. გაერთიანება „აზოტის“ მიეცა რეკომენდაცია კალიუმის პერმანგანატის ხარისხის გაუმჯობესებისა.

ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში სხვადასხვა მცენარიდან გამოყოფილია სამი ახალი ალკალოიდი, რომელთათვისაც დადგენილია აღნაგობა და სტრუქტურა. შემუშავდა პრეპარატ „ლეიკობეტინის“ სამკურნალო ფორმა ტაბლეტების სახით, რომელიც შეიცავს მცენარე გველის სუროს ალკალოიდების ექსტრაქტს. შესწავლილია „აურანოფინის“ კლინიკური ეფექტურობა. დასრულდა სამუშაოები ანტიურემიული პრეპარატის „ფლარონინის“ მიღების ტექნოლოგიის დასაწერად. პრეზიდენტმა აღნიშნა საინტერესო მოლაპარაკება, რომელიც მიმდინარეობს ბელგიის ფირმასთან ერთობლივი წარმოების შექმნის შესახებ...

მეტალურგიის ინსტიტუტმა დაამუშავა ალმასების წარმოებაში კატალიზატორად გამოყენებული ნიკელ-მანგანუმთან შენადნობის ფხვნილის მიღების ტექნოლოგია. დამუშავებულ იქნა ლეხუმის საბადოს დარიშხანის სულფიდური მადნებიდან ლითონურმული მეთოდით ლითონური დარიშხანის მიღების ტექნოლოგია. მაგნიტური რკინის ქანგის წყალბადურმული აღდგენის გზით მიღებულია რკინის ფხვნილი. გამოდნობილია ნახშირბადისა და ვანადიუმის სხვადასხვა შემცველობის მქონე ქრომმანგანუმთან ფოლადების 16 მოდიფიკაცია.

ფრიად მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული მეტალურგიის ინსტიტუტთან არსებული ქიმიური მეტალიზაციის სამეცნიერო ცენტრში. დამუშავებულია და ფართოდ დაინერგა მრეწველობის სხვადასხვა დარგებში მეტალიზაციის პროგრესული მეთოდები, რაც საშუალებას იძლევა ოქრო და ვერცხლი შეიცვალოს არაძვირფასი ლითონური შენადნობებით და ამავე დროს გამოირიცხოს შხამიანი ნივთიერებების გამოყენება. შეიქმნა მეტალიზაციის ახალი ტექნოლოგია. ეს ჩვენი რესპუბლიკისათვის ძალიან სასახელოა. ეს მეთოდი ჯერ დაინერგა მხოლოდ 1%-ით, მაგრამ ამ მეთოდის დაინერგვა საკავშირო მასშტაბით, პირველ რიგში, რესპუბლიკის მასშტაბით, მოგვცემს დიდ ეკონომიკურ ეფექტს და იქნება ჩვენი რესპუბლიკისათვის ძალიან სასახელო, რადგან ეს არის ახალი ტექნოლოგიის დაინერგვა და ამასთან დაკავშირებით ახალი პირობების შექმნა.

აკადემიის სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ დაამუშავა და დაამზადა მიკროობიექტების შესახებ ინფორმაციის მანქანური ანალიზის მოწყობილობის ექსპერიმენტული ნიმუში; დამუშავებული და დამზადებული სეისმოლოგიური კომპლექსი „პუსკ“ გამოცდილ იქნა ქ. სემიპალატინსკის რაიონში ქიმიური აფეთქების რეგისტრაციისათვის ჩატარებულ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ექსპერიმენტში. გამოცდებმა აჩვენა, რომ ხელსაწყო თავისი პარამეტრებით არის მსოფლიო ნიმუშის დონეზე და არაფრით არ ჩამოუვარდება ამერიკულ კომპლექსს. ამის გამო მიღებულია გადაწყვეტილება 1988 წ. აშშ-ის ბირთვული პოლიგონის მახლობლად (შტატი ნევადა) ჩატარდეს ერთობლივი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ექსპერიმენტი აპარატურა „პუსკ“-ის გამოყენებით. ესეც მოწმობს იმას, რომ



ჩვენს საკონსტრუქტორო ბიუროში ზოგიერთი სამუშაო სრულდება ლიო სტანდარტების დონეზე.

ახლა მოგახსენებთ ნაკლოვანებებსა და ხელისშემშლელ პირობებზე, რომლებიც ხელს გვიშლის და საჭიროა მათი აღმოფხვრა. დავიწყებ იმ საკითხით, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ მანქანურ მოდელირებას.

ჩვენ გადავხედეთ ინსტიტუტების სამუშაოებს და დავინახეთ ასეთი სურათი: ბევრი ინსტიტუტი ძალიან ცუდად იყენებს მანქანური მოდელირების მეთოდებს. ჩვენ ახლა გვაქვს საკმაო რაოდენობის მაღალი დონის მანქანები და ვაბირებთ კიდევ შექმნას. ჩემი აზრით, ჩვენი აკადემია EC-ის ტიპის დიდი მანქანებით 90%-ით იქნება დაკმაყოფილებული; კიდევ ორი მანქანა და ვერავინ იტყვის ჩვენ არ გვეოფნის მანქანებით. მოდელირებისათვის ამ მანქანების გამოყენება პირველ რიგში შეიძლება. შესწავლამ კი გვაჩვენა, რომ ჩვენ მხოლოდ 10%-ით ვიყენებთ მანქანებს იმისათვის, რომ ჩავატაროთ მანქანური მოდელირება. ძალიან ცოტა აღმოჩნდა ამოცანები, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ოპტიმიზაციის ამოცანებს. ოპტიმიზაციის ამოცანები კი იძლევა ყველაზე კარგ შედეგებს. ჩვენ დავინტერესდით რა არის მიზეზი: მანქანების არქონა თუ რა? პირველ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ამოცანების მკაფიოდ დასახვის უქონლობა. აღმოჩნდა, რომ ჩვენს ინსტიტუტებში მთელი რიგი ამოცანები არსებობს, რომლებიც ძალიან კარგად შეიძლება იყოს მოდელირებული მანქანებზე. ეს 2—3-ჯერ შეამცირებს კვლევა-ძიების პერიოდს. მაგრამ რომ ვნახეთ როგორ არის ეს ამოცანები დასახული, აღმოჩნდა, რომ მოდელირებისათვის ისინი არ არიან მომზადებული. ჯერ უნდა მომზადდეს ეს საკითხი, უნდა დაისახოს მკვეთრად, შემდეგ კი უნდა გავიდეს მანქანაზე და მანქანამ უნდა მოგვცეს ეს საშუალება. ე. ი. პირველი მიზეზი ყოფილა არა უმანქანობა, არამედ ამოცანის მკაფიოდ დასახვის უქონლობა.

მეორე მიზეზი არის ის, რომ მანქანები, რომლებიც ჩვენ გვაქვს, ცუდად არის დატვირთული მოდელირების ამოცანებით; მოდელირების საკითხები ძალიან ნაკლებად მუშავდება.

სუსტია ჩვენი აღჭურვილობა თანამედროვე ექსპერიმენტულ-ტექნოლოგიური დანადგარ-მოწყობილობებით, ხელსაწყოებით, პრეპარატებით, მასალებით, ორგტექნიკით, მათ შორის გამოთვლითი ტექნიკით. რომ შევადაროთ ჩვენი ინსტიტუტები მოსკოვის ინსტიტუტებს, ვნახავთ დიდ განსხვავებას. მთელი რიგი დანადგარები არა გვაქვს, პრეპარატები არ გვეოფნის, რაც ხელს გვიშლის, რომ წინ წავიდეთ და ჩვენი კვლევა-ძიება იყოს მაღალხარისხიანი.

ინსტიტუტებში გვაქვს სუსტი საცდელ-სამრეწველო ბაზა. რომ შევადაროთ ისევ მოსკოვის ინსტიტუტებს, აქაც ძალიან ცუდი სურათი გვაქვს. გვაქვს საკონსტრუქტორო ბიურო, მაგრამ ინსტიტუტებს თავისი ისეთი სუსტი ბაზა აქვთ, ან სულ არა აქვთ, რომ შეუძლებელია კარგი რამის გაკეთება. ამაზე კომისიამაც ილაპარაკა და ჩვენც კარგად ვხვდებით. თუ არ გვექნა ბაზა, ვერ წავაღოთ წინ, რადგან დღეს ყველაფერი მოითხოვს კარგ ტექნიკას, მოითხოვს კარგ ხელსაწყოებს, მოითხოვს ამ ბაზას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება წინსვლა.

შედარებით ცუდადაა საქმე ექსპერიმენტების ავტომატიზაციასთან დაკავშირებით. დაახლოებით 15%, უფრო ნაკლებიც, ექსპერიმენტები არის ავტომატიზებული. პასპორტიზაცია ჩატარდა, ჩვენ ვიცით რა ექსპერიმენტებში უნდა იყოს ავტომატიზებული, რომელ ინსტიტუტში რა უნდა იყოს. ეს ყველაფერი გვაქვს, მაგრამ როგორ მდგომარეობაშია? აღმოჩნდა, რომ 15% არის ავტომატიზებული, თანაც ყველაზე მარტივი საკითხებია ავტომატიზებული. რა გვიშლის აქ ხელს? ცხადია, აქ ხელს გვიშლის იმ მანქანების უქონლობა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ საშუალო მანქანებს, მინი-მანქანებს და პერსონ-

ნალურ მანქანებს ანუ მიკრომანქანებს. აქ ჩვენ ძალიან სუსტად ვმარაგდებით, მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარ ღონეს ვხმარობთ; ძალიან სუსტი მომარაგებაა. ბატონმა პრეზიდენტმა ბრძანა, რომ გვეჭირდება 1000-მდე პერსონალური მანქანა; დღეისათვის ჩვენ გვაქვს მთლიანად 100-მდე მანქანა, ე. ი. არ გვეყოფის. ამის მიზეზი ისიც არის, რომ დაგვიბრუნენ მანქანების დიდი რაოდენობით მოცემას, მაგრამ ვერც რადიომრეწველობის სამინისტრომ, ვერც ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრომ ვერ შესრულა თავიანთი გეგმა და 10-ჯერ ნაკლები პერსონალური მანქანა გამოუშვა; უნდა გამოეშვათ 200000, გამოუშვეს 20000. ამ 20 ათასიდან ჩვენთვის გამოყოფილი ფონდიც ვერ მივიღეთ. ეს ძალიან გვიწლის ხელს.

ჩვენი კვლევებისათვის ახლა უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს პერსონალურ მანქანებს, ვიდრე საშუალო და დიდ მანქანებს. ჩვენ უნდა გადავიდეთ ავტომატიზებულ დაპროექტებაზე, ავტომატიზებულ ექსპერიმენტებზე ძირითადად პერსონალური მანქანების საფუძველზე. აქ კი ჩვენ ჯერჯერობით ჩამოვრჩებით, მაგრამ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ეს საკითხი გადაწყდეს.

არის ცუდი მხარეც. იქ, სადაც გვაქვს, არა გვყავს ხალხი, რომელიც მოუვლის ამ მანქანებს. ე. ი. უყმარისობაა სპეციალისტებისა, რომლებსაც შეუძლიათ ამ მანქანებზე მუშაობა.

შემდეგი უარყოფითი მხარე არის დანერგვის დიდი ვადები, თითქმის 2-ჯერ უფრო მეტი, ვიდრე საჭიროა.

უარყოფით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენ სუსტი კავშირები გვაქვს რესპუბლიკაში სხვადასხვა ორგანიზაციებთან. მაგალითად ჩვენი აკადემია სუსტად არის დაკავშირებული პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, უნივერსიტეტთან, სადაც ბევრი რამ კარგი კეთდება. ეს კავშირები უნდა იყოს უფრო მჭიდრო და ერთმანეთს უნდა ვეხმარებოდეთ.

ეს უარყოფითი მხარეები, რომლებიც ყველასათვის კარგად არის ცნობილი, უნდა იქნეს აღმოფხვრილი სულ მოკლე პერიოდში. თუ ეს არ აღმოფხვრა, ჩვენი კვლევები გაჭიანურდება, 5—10 წლით დავიგვიანებთ, ჩამოვრჩებით. ჩვენგან კი მოითხოვენ 3—4-ჯერ შემცირდეს კვლევის ვადები. ეს შეუძლებელია, თუ არ იქნა მათემატიკური მოდელირება, ანუ გამოთვლითი მანქანების საშუალებით მოდელირების პროცესები, ავტომატიზაცია ექსპერიმენტისა, თუ არ გვექნა დაპროექტების ავტომატიზაცია და თუ არ გვექნა ის ყველაფერი, რაზეც ჩვენ ვილაპარაკეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ძალიან ჩამოვრჩებით. ასეთ პირობებში საჭიროა კარდინალური ზომების მიღება. ამის შესახებ ბატონმა პრეზიდენტმა ილაპარაკა. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, შევიძინოთ ის, რის შეძენაც შეგვიძლია, იქნება ეს უცხოური თუ სამამულო; შევეცადოთ, რომ რესპუბლიკაში გამოშვებული მანქანები ჩვენ დაგვრჩეს. გაერთიანება „ელვა“ უშვებს 1500 მანქანას ყოველწლიურად; ეს არის საკმაოდ კარგი მიკრომანქანა, რომელიც საესეებით შეიძლება გამოვიყენოთ ავტომატიზაციისათვის. რესპუბლიკას რჩება 2—3 მანქანა. ამიტომ ჩვენ დავაყენეთ საკითხი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წინაშე, ვთხოვეთ ვიცე-პრეზიდენტ ფროლოვს, რომ დაგვეხმარონ 5—10% მაინც დარჩეს რესპუბლიკას. ვიმედოვნებთ, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ავაქიძის მოხსენება

შევეცდები ზოგიერთ მიმართულებას, ზოგიერთ საკითხს შევეხო იმ დარგებში, რომლებიც საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებებს ემსახურება. უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე სიტყვა ვთქვა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შესახებ, რომლის კოლექტივი უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაახალგაზრდავდა, ყველაზე უფრო და გულდასმით იკვლევს სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის აქტუალურ საკითხებს.

საანგარიშო წელს შემუშავებულია 1991—2010 წლებისათვის (ხუთწლიედების მიხედვით) პროგრამის ნაწილი „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრობლემები“. ამასთანავე, გამოვლენილია მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს შრომის მწარმოებლურობის ზრდის დაბალი დონე რესპუბლიკაში; დასაბუთებულია მისი კარდინალური დაჩქარების გზები 2000 წლამდე.

საფუძვლიანად და დაბეჯითებით შეისწავლებოდა ინსტიტუტში კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის ეკონომიკური პრობლემები და დემოგრაფიული სიტუაციის ცვლილებათა რეგულირების საკითხები; რიგი სხვა, უაღრესად პრაქტიკული საკითხები.

დასაბუთებულია საბჭოების ფუნქციები ეკონომიკის ხელმძღვანელობის ახალ წესებზე გადასვლასთან დაკავშირებით, ამას უაღრესად პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ცხოვრებისათვის. შესწავლილია საზოგადოებრივ ურთიერთობათა ძირითადი სახეები, როგორც სამართლებრივი რეგლამენტაციის ობიექტი, ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა იურიდიული ფორმისა და სამართლებრივი რეგულირების ზოგადი კანონზომიერებანი.

ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითები ცხადს ხდის, თუ რა რიგ შესაძინევად შემობრუნდა ეკონომისტებისა და სამართალმცოდნეთა მეცნიერული კვლევა თანამედროვეობის ყველაზე აქტუალური პრობლემებისაკენ.

1987 წელს გამოქვეყნდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის პროფ. ლ. ჩიქავას მონოგრაფია „არამწარმოებლური წარმოების სფეროს პოლიტეკონომიკური ასპექტები“, რომელმაც სულ ახლახან მალალი შეფასება მიიღო რესპუბლიკის ცენტრალურ პრესაში და, აგრეთვე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გაფართოებულ საერთო კრებაზე.

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი აქტიურად მოღვაწეობს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის ინსტიტუტებთან—ეკონომიკის, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტებთან ერთად და სისტემატურად აწყობენ ერთობლივ საერთაშორისო, საკავშირო თუ რესპუბლიკურ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებს. ასე მაგალითად, თბილისში გასულ წელს ჩატარდა სსრკ — ამერიკის X საერთაშორისო სიმპოზიუმი, მიძღვნილი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებისადმი. იურისტებმა ჩატარეს საკავშირო კონფერენცია თემაზე: „სამართლებრივი აღზრდა, საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და სამართალდამცველი ორგანოები“. სულ უფრო ფართოვდება კავშირები საკავშირო მოთავე ინსტიტუტებთან და ეს მისაბაძი მაგალითი უნდა გახდეს საზოგადოებრივი მეცნიერების დარგის სხვა ინსტიტუტებისათვისაც.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის სამეცნიერო კოლექტივები საანგარიშო წელს მნიშვნელოვან სამუშაოებს ასრულებდნენ ერთაშორის ურთიერთობათა განვითარების კვლევის საკითხებში. ისტორიის, არქეოლოგიისა

და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში წარმატებით იკვლევდნენ საკითხებს ეროვნულ-კულტურების დაახლოების თაობაზე სსრ კავშირში; ეროვნულ ურთიერთობათა სრულყოფისა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საკითხებს; რუს და კავკასიელ ხალხებთან ქართველი ხალხის ურთიერთობის ისტორიის აქტუალურ საკითხებს; ამ ისტორიის საკითხებს საბჭოთა პერიოდში, რასაც არა მარტო დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად ისტორიის საკითხების კვლევისა და შესწავლისათვის, არამედ უალრესად პრაქტიკული და ცოცხალი მნიშვნელობის აღმოჩნდა ის ჩვენს დღეებშიაც კი. წარმატებით მუშაობდნენ ინსტიტუტის ეთნოგრაფები ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ეთნოგრაფიული პარალელების კვლევის დარგში. ამ მხრივ წლების მანძილზე კარგი ტრადიცია აქვთ ჩვენი მეთაური ინსტიტუტის ეთნოგრაფებს, აგრეთვე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ინსტიტუტების ეთნოგრაფებს, რომლებიც ძალიან საინტერესო კვლევა-ძიებას ახორციელებენ ამ მიმართულებით. ეს თავისთავად ოსი და ქართველი ხალხების, ქართველი და აფხაზი ხალხების ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას უწყობს ხელს.

დიდი და სასარგებლო მუშაობა განახორციელა ამ მიმართულებით ხალხთა მეგობრობის მუზეუმი. საკითხები, რომლებსაც ისინი იკვლევენ, ძალიან ბევრია; მე მხოლოდ ზოგიერთს დავასახელებ. ეს გახლავთ: ერთა ურთიერთობის საკითხები თანამედროვე ეტაპზე; ნაციონალ-შოვინისტური გადმონაშთების კვლევის საკითხები, მათი არსებობის მიზეზების კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების დასახვა; რესპუბლიკათაშორისი სამეურნეო ურთიერთკავშირის განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებანი; მრავალეროვან ქალაქებში (თბილისი, მარნეული, გარდაბანი და სხვ.) მშრომელთა ინტერნაციონალური შეგნების განმტკიცების საკითხები და მრავალი სხვ.

დიდ და საინტერესო მუშაობას რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთობის ისტორიის, ამ ურთიერთობის შემდგომი განვითარების მიმართულებით აწარმოებს ხალხთა მეგობრობის მუზეუმის შესაბამისი ფილიალი მოსკოვში, სახლი-მემორიალი, რომელსაც პროფ. ვათიშვილი ხელმძღვანელობს და რომელსაც ფართოდ გააქვს ქართული კულტურისა და ისტორიის საკითხები ჩვენს დედაქალაქში მოსკოვში და დედაქალაქის სტუმრებსაც აცნობს მას.

ბოლო წლებში ერთაშორის ურთიერთობის საკითხებს გულმოდგინედ იკვლევენ ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში; კვლევის ერთი ეტაპი მათ 1987 წელს დაასრულეს და ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ პრაქტიკული რეკომენდაციები შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად წარუდგინა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს. ინსტიტუტის მუშაობის სხვა მხარეების შესახებ აკად. გ. ჯიბლაძემ მოგახსენათ.

ერთაშორის ურთიერთობათა განვითარების მკაფიო გამოხატველი იყო აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიების ისტორიის ინსტიტუტების ერთობლივი სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი. ამ პრობლემატიკას მიეძღვნა ხალხთა მეგობრობის მუზეუმის თანამშრომლის პროფ. ი. ბოგომოლოვის მონოგრაფია „მეგობრობით შედუღაბებული“, გამოცემული 1987 წელს რუსულ ენაზე, და სამეცნიერო სესიები, მიძღვნილი ამ თარიღისადმი; აგრეთვე ალექსანდრე ჭავჭავაძის დაბადების 200 წლისთავისადმი; ერთობლივი სამეცნიერო სესია საკითხზე „ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით მემკვიდრეობისა და სსრკ ხალხთა ლიტერატურები“ (ხალხთა მეგობრობის მუზეუმი, მ. გორკის სახ. მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტი და სხვ.).



ეროვნული ურთიერთობის საკითხების ფილოსოფიურ ასპექტებზე სახურობოდა IV საკავშირო კონფერენცია, რომელიც ჩატარდა თბილისსა და წალკაში, შიძენილი ძველი ბერძნული ფილოსოფიის ფუძემდებლის — არისტოტელეს მოღვაწეობისადმი, და, ბუნებრივია, მის პრობლემატიკასთან იყო დაკავშირებული. აქ ჩამოთვლილთაგან ძალიან ბევრი სამუშაო უკავშირდება იმ ღონისძიებებს, რომლებიც განხორციელდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავთან დაკავშირებით, მაგრამ უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს საკვებით ბუნებრივია, რადგან სწორედ დიდმა ოქტომბერმა მისცა დასაბამი ოპტიმალურ გადაწყვეტას ერთაშორის ურთიერთობის საკითხებისა და ამან ჩვენ ამაჟამადაც ძალიან შეგვიწყო ხელი პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტის დროს. ამ უთუოდ ხელშეახები საქმეების მნიშვნელობის აღიარებასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ჩვენს ამ ღონისძიებებს ჯერ კიდევ მეტწილად საზეიმო-საიუბილეო ხასიათი აქვს და ისინი ყოველთვის როდი ატარებენ თავიდან ბოლომდე საქმიან სახეს; აკადემიური ხასიათი, სასურველი პრაქტიკული შედეგები, ფართო წრეზე გავლენა, საზოგადოებრივი რეზონანსი მათ შედარებით ნაკლები აქვთ. იმის გამო, რომ ისინი ტრადიციულად (ჩვენ ამისგან ჯერ ვერ გავთავისუფლდით) საზეიმო ელფერს ატარებენ. ზეიმიან ერთად არსებითი, კონკრეტული საქმეები, მეცნიერული საქმეები უნდა კეთდებოდეს და შეიცავდეს ეს ღონისძიება სასურველ იდეოლოგიურ მისწრაფებას.

ერთაშორის ურთიერთობისა და, საზოგადოდ, ეროვნული საკითხების მკვლევარები, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მაინც განზე დგანან ეროვნული ურთიერთობის პრაქტიკისაგან. პრაქტიკა კი მხოლოდ სწავლულთა შეხედვრები და იქ კეთილი დამოკიდებულება არ არის. შესაბამისი სპეციალობის საზოგადოებათმცოდნეებს საანგარიშო წელს ეროვნულ საკითხებზე, განსაკუთრებით პრაქტიკულ საკითხებზე, ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ფუნდამენტური გამოკვლევები ძრც კი შეუქმნიათ.

საველე კვლევა-ძიების მასშტაბითაც გამოირჩეოდა 1987 წელს ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მოღვაწეობა, ეს იქნება საველე ეთნოგრაფიული თუ საველე არქეოლოგიური. ერთობლივი ეთნოგრაფიული ექსპედიციების მუშაობის შესახებ მე მოგახსენეთ. ორიოდე სიტყვა არქეოლოგიური კვლევა-ძიების შესახებ.

1987 წელი აშკარად გამოირჩეოდა ამ შიშართულებით. გამოირჩეოდა იმიტომ, რომ ახალმშენებლობათა ფართოდ გაშლამ არქეოლოგიური სამსახურის შესაბამისი გაფართოება მოითხოვა. ამ ფრონტს ადვილად წარმოვიდგენთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მხოლოდ კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის შესაძლო ზონის არქეოლოგიური ძეგლების შესასწავლად 3,7 მილიონი მანეთის დახარჯვა არის გათვალისწინებული და, თუ სამუშაომ მოითხოვა, ეს ხარჯები შეიძლება გაიზარდოს საჭიროების მიხედვით. მხოლოდ ამ მშენებლობას არქეოლოგიური კვლევის ცენტრის 4 მძლავრი არქეოლოგიური ექსპედიცია ემსახურება. ამას გარდა, დიდი არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, იმასთან დაკავშირებით, რომ თავისებურ სამშენებლო პოლიგონად არის ქცეული ჩვენი რესპუბლიკა. დიდი არქეოლოგიური სამუშაოები წარმოებს დავით გარეჯის უდაბნოში, ქერემსა და ალაზნის ველზე, ყვარლის რაიონში, დედოფლის მინდორსა და ორგორაზე, ხაშურის რაიონში, სამცხე-ჯავახეთში, სამხრეთ ოსეთში, დმანისის რაიონში და ქვემო ქართლში საზოგადოდ, აჭარასა და გურიაში, ვანში, ქუთაისში, ისტორიულ ლაზიკაში, კოლხეთის დაბლობზე, სვანეთსა და რაჭაში, აფხაზეთსა და სამეგრელოში. ეს ძალიან მოკლე,

თანაც ზოგადი ჩამოთვლაა იმ რეგიონებისა, სადაც საანგარიშო წელს ცვლილებები წარმოებდა არქეოლოგიური კვლევა-ძიება, უპირატესად ახალმშენებლობებზე. ერთი სიტყვით, რესპუბლიკაში იგრძნობოდა, მშენებლობის კვლადაკვალ, არქეოლოგიური კვლევის მაჩვენებელი.

საბჭოთარ არქეოლოგიურ ლიტერატურას საანგარიშო წელს შეემატა საყოფადღებო გამოკვლევები. მათ შორის დავასახელებ ახლად გამოსულ კრებულს „გარეჯი“ და რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ წიგნებს: აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დ. ხახუტაიშვილისა, რომელიც ეძღვნება რკინის ძველი მეტალურგიის სათავეების კვლევის საკითხებს კოლხეთში (და, საზოგადოდ, საქართველოში), ასევე, პროფ. ბ. ტეხოვისა — დიდი ლიხავის შუაწელის მონასტრობის მატერიალური კულტურა ახ. წ. I—VIII საუკუნეებში.

საქართველოს არქეოლოგიური შესწავლისათვის უმნიშვნელოვანესი იყო გასულ წელს რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერა და მიღებული საგანგებო ღონისძიებები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 5 მაისის № 251 დადგენილება სახავეს არქეოლოგიური კვლევა-ძიების განვითარების ვრცელ, დროის დიდი მონაკვეთისათვის გამოიწვევს პროგრამას და კონკრეტულ სამუშაოებს მთელი რესპუბლიკის მასშტაბით მითითებული პროგრამის ხორცშესხმისათვის. უფრო დაწვრილებით ამ საკითხებზე აქ კიდევ იქნება საუბარი. მინდა ხაზი გავუსვა ამ დადგენილების გადამწყვეტ მნიშვნელობას არქეოლოგიური კვლევა-ძიების გაშლის, მისი განვითარების მიმართულებით რესპუბლიკაში. დაწვრილებით ვერ ვილაპარაკებ იმ საკითხების შესახებ, რომლითაც უზრუნველყოფილია ჩვენი არქეოლოგიური კვლევა-ძიება ამ დადგენილებით. ჩვენ გვმართებს ძალიან დიდი მუშაობა იმისათვის, რომ წარმატებით შევასხათ ხორცი უაღრესად მნიშვნელოვანი პროგრამის ყოველ პუნქტს. აქ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები დგება, უპირველეს ყოვლისა, არქეოლოგიური ძეგლების დაცვის, არქეოლოგიური მონაპოვრის შენახვისა და სამუზეუმო პირობებში დაცვის თაობაზე. სამწუხაროდ, სამისო პირობები ჩვენს არქეოლოგიურ დაწესებულებებს ან შესაბამის სახელმწიფო საცავეებს არა აქვთ. ამასაც ითვალისწინებს რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილება, სადაც აღნიშნულია წამოწყება ზოგიერთი საცავეს მშენებლობისა, აგრეთვე, გამოძებნა შესაძლებლობისა, რომელმაც შეიძლება ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტოს.

საანგარიშო წელს ვანსა და წყალტუბოში ჩატარდა მორიგი V საერთაშორისო სიმპოზიუმი შავიზღვისპირეთის ისტორიისა და კულტურის ისტორიის საკითხებზე. ამ სიმპოზიუმს არქეოლოგიური კვლევის ცენტრი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტთან და რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სხვა დაწესებულებებთან ერთად ახორციელებს.

საანგარიშო წელს კიდევ უფრო გაუმჯობესდა კავშირი მეცნიერებათა აკადემიის საისტორიო პროფილის სამეცნიერო კოლექტივებსა და პარტიის ისტორიის ინსტიტუტის შესაბამის კოლექტივს შორის. ეს პრინციპული მნიშვნელობის მოვლენაა. განცალკევება ხალხის და პარტიის ისტორიის მკვლევართა კოლექტივებისა, რაც ქუდბედად დაყვა საისტორიო მეცნიერებას საქართველოშიც ასახავდა ხელმძღვანელობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სტილს, დამკვიდრებულს პიროვნების კულტისა და უძრავობის ხანებში. ამ დაპირისპირებას არ შეიძლებოდა სიკეთე მოეტანა მეცნიერებისათვის, ისევე როგორც არ მოუტანია მას სიკეთე ცხოვრებისათვის. დაახლოება კი შეაპირობა მეცნიერ-ისტორიკოსთა ბორჯომის შეხვედრებმა, რომელიც ტრადიციად იქცა უკანასკნელი 10 წლის მანძილზე. დაახლოება მეცნიერებისა თანამშრომ-



ლობასა და ერთობლივი კვლევის პრაქტიკაში გადაიზარდა. ამის ერთ-ერთ მაგალითია „საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევების“ სამტომეული, რომლის შექმნასა და სარედაქციო სამუშაოებში ძალიან აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებათა აკადემიისა და უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი პროფილის სწავლულებმა.

სკკ XXVII ყრილობის და მომდევნო პლენუმების დოკუმენტებმა, ბუნებრივია, მოითხოვეს აქ გაშუქებული საკითხების მნიშვნელოვანი ნაწილის ხელახლა ან სულ ახლად დაწერა, უკვე მისაწვდომი უმნიშვნელოვანესი პარტიული საისტორიო დოკუმენტების გათვალისწინებით. ამ სამუშაოებს ბეჭითად ასრულებენ შესაბამისი სპეციალობის სწავლულები. რატიგ არსებითია მიმდინარე სამუშაოები, შეიძლება წარმოვიდგინოთ 1987 წელს დასრულებული პროფ. გ. ყვანიას ნაშრომით „ნაციონალ-უკლონისტების საკითხისათვის“. ეს ნაშრომი დაედო საფუძვლად პარტიის ისტორიის ინსტიტუტში ახლახან გამართულ ძალიან მნიშვნელოვან დისკუსიას, რომელსაც წითელ ზოლად გასდევდა დამაჯერებლად არგუმენტირებული თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ „ნაციონალ-უკლონიზმი“ საქართველოს კომპარტიის მაშინდელ ცენტრალურ კომიტეტს დასწამეს ხელოვნურად შეკოწიწებული ბრალდებებით, ლენინის გვერდის ავლით და შეიძლება ითქვას, ლენინის საპირისპიროდაც კი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელი ბირთვი: ბუღუ მდივანი, კოტე ცინცაძე, მიხეილ ოკუჯავა, სერგო ქავთარაძე და ბერი სხვა „ნაციონალურ-უკლონისტობაში“ დადანაშაულებს უსამართლოდ. დისკუსიამ გვიჩვენა სტალინის, ორჯონიკიძისა და ზოგი სხვის როლი საქართველოს კომპარტიის იმ ხელმძღვანელი ბირთვის განადგურებაში, რომელმაც სხებთან ერთად თავისი მხრებით ზიდა ჯერ ცარიზმის, შემდეგ ბურჟუაზიისა და მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის უმთავრესი ტვირთი. დოკუმენტურად უჩვენეს დისკუსიაზე სტალინისა და ორჯონიკიძის მოქმედება ამ მიმართულებით ლენინის ზურგს უკან.

სტალინს 1923 წლის 7 მარტს უკვე სტოდნია, კანენევის წყალობით, ლენინის 6 მარტის „სრულიად საიდუმლო“ გრიფით გაგზავნილი წერილის შესახებ. დისკუსიაზე გამოაქვეყნეს სტალინის წერილი ორჯონიკიძისადმი, რომლის შეფასებისათვის საკმარისია წერილის დასაწყისის გაცნობაც კი: «Дорогой Серго! Я узнал от т. Каменева, что Ильич посылает т. Махарадзе и другим письмецо, где солидаризируется с уклонистами и ругает тебя, Дзержинского и меня. Видимо, имеется цель подавить на волю съезда Компартии Грузии в пользу уклонистов. Нечего и говорить, что уклонисты, получив это письмецо, используют его во-всю против Закрайкома, особенно против тебя и Мясникова...».

ამგვარ დამოკიდებულებას მოჰყვა აუნაზღაურებელი მსხვერპლი საქართველოში. შემდეგში ამგვარი „ფრაქციულობა“ პარტიის პოლიტიკად, სახელმწიფო პოლიტიკად აღმოჩნდა აღიარებული, სამწუხაროდ.

ეს მაგალითი იმიტომ მოვიტანე, რატიგ საფუძვლიანი გადამუშავება სჭირდება ჩვენს დამოკიდებულებას უახლესი ისტორიის, პარტიის ისტორიის საკითხებისადმი ახალ ვითარებაში. გასულ წელს მე საერთო კრებას მოვახსენე, რომ ახალი და უახლესი ისტორიის კვლევის სიძნელე უპირატესად იმასთანაა დაკავშირებული, რომ საჭირო დოკუმენტური ფონდი, საარქივო მასალა თითქმის მთლიანად დახურული იყო საბჭოთა კავშირში ათეული წლების მანძილზე. ამჟამად, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერითა და დახმარებით ეს სიტუაცია არსებითად შეცვლილია. 1987 წლის ბოლოსთვის შეზღუდვა მოეხსნა 767195 საქმეს, ე. ი. დახურული არქივის 69%-ს. ეს ხელ-



მისაწვდომი გახდა თავისუფლად ყველა მსურველისთვის. ე. წ. აკრძალული ფონდების გადასინჯვა კვლავ გრძელდება, თანაც მიღებულია გადაწყვეტილება, რომ დოკუმენტებს, რომელთაც ჯერ არ მოხსნიათ შეზღუდვა, მეცნიერები გაეცნობიან სამეცნიერო დაწესებულებათა მიმართულების საფუძველზე, ე. ი. ჩვენი ისტორიკოსებისათვის ფაქტიურად მთლიანად გახსნილია ეს უმნიშვნელოვანესი საარქივო ფონდები. ამჟამად ხალხი და ჩვენი ქვეყანა, რა თქმა უნდა, მეტს მოსთხოვს ჩვენს ისტორიკოსებს; ამ წყაროების საისტორიო კრიტიკა აუცილებელი და შემდეგ მათი აქტიური გამოსვლა ჩვენს პრესაში, რადიოთი თუ ტელევიზიით, ჩვენება იმ რეალური სურათისა, რაც ჩვენს ქვეყანაში შვიდი ათეული წლის განმავლობაში იყო. სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ისტორიკოსები შესაბამის აქტიურობას არ იჩენენ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჯერ კიდევ განზე დგანან. იმედი უნდა გამოვთქვათ, რომ ეს უძრაობა ისტორიკოსებისა უახლოეს ხანებში იქნება დაძლეული. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ როდესაც ასეთი უძრაობა და აქტივობა არ არის, ვაკუუმი, ჩვეულებრივ, არ რჩება შეუვსებელი. ვაკუუმს ავსებენ არაპროფესიონალები და შედეგიც ყოველთვის როდია სახარბიელო. ამას წინათ, ერთმა ცენტრალურმა რესპუბლიკურმა გაზეთმა ერთი საინტერესო სტატია დაბეჭდა, მაგრამ ავტორი, ნაცვლად დამკვიდრებული ტერმინისა „ნაციონალ-უკლონისტები“, საუბრობს „სოციალ-ნაციონალისტების“ შესახებ. ამ ტერმინს შეუძლია გაუგებრობა და ძალიან დიდი აღრევა გამოიწვიოს არასპეციალისტ მკითხველში. ასეთი შედეგი შეიძლება მოჰყვეს იმას, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი ისტორიკოსები არ აქტიურობენ.

იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი ეკონომისტების შესახებაც. რესპუბლიკაში ოთხი ეკონომიკური პროფილის ინსტიტუტია, მათ შორის ერთი აკადემიური; მათ კვლევით საქმიანობას აკოორდინირებს ეკონომიკის პრობლემების აკადემიური სამეცნიერო საბჭო. ჩვენი ინსტიტუტების ახალგაზრდა ეკონომისტები ენერგიულად ერევიან სადღეისოდ სასიცოცხლო მნიშვნელობის ეკონომიკურ საკითხებში: მართვის მექანიზმის გარდაქმნა, ახალშენებლობათა ეკონომიკური ეფექტიანობის კვლევა, მთის მოსახლეობის აღორძინებისა და დემოგრაფიის საკითხები თუ მეცხოველეობის ეფექტიანობის ზრდა და სხვა. აი, ის პრობლემები, რომლითაც ჩვენი ახალგაზრდობა იჩენს თავს და კრების მონაწილენი იცნობენ მათს არაერთ გამოსვლას პრესაში, რადიოთი თუ ტელევიზიით. მაგრამ, იმავე დროს, ეკონომისტები ჯერ კიდევ არაფერს ამბობენ ჩვენი ეკონომიკური განვითარების უმაჯრესი საფეხურების პერიოდიზაციაში დაშვებული შეცდომებისა და უზუსტობათა შესახებ. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ე. წ. „განვითარებული სოციალიზმის თეორია“, რომელსაც ჩვენ თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში წარმატებით ვიმეორებდით, და საზოგადოდ „მოდერნება“ „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემების“ შესახებ, რომელსაც ვინ იცის რამდენი მეცნიერი ეკონომისტი შეეწირა. ამ საკითხების ანალიზი ჩვენი ეკონომისტების ვალია. ინსტიტუტში და უმაღლეს სასწავლებლებში ათეულობით მეცნიერი ეკონომისტია, რომელთაც ამ საკითხების გადაწყვეტა შეუძლიათ.

აკადემიის საერთო კრებას აქვს უფლება მოელოდეს ჩვენი ეკონომისტებისა და ისტორიკოსებისაგან ამ მხრივ მუშაობის გარდაქმნას: ძველებურად არც ცხოვრება შეიძლება და, ალბათ, არც მეცნიერული კვლევა-ძიება.

ჩვენში ტრადიციად იქცა ახლო ურთიერთობა სამეცნიერო დაწესებულებების კოლექტივებისა უმაღლეს სასწავლებლებთან. ამ მხრივ ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი არის გადადგმული. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ ჩვენი მეცნიერები. პროფტექნიკური სასწავლებლების და უმაღლესი სას-



წავლებლების სტუდენტთა სამეცნიერო სამუშაოების შემაჯამებელ ხურზე. ამ ძალიან კარგ ტრადიციას საფუძველი ბატონმა ევგენი ხარაძემ ჩაუყარა. ამჟამადაც ფართოდ სწარმოებს ეს მუშაობა, მაგრამ მომწიფდა საჭიროება ამ მუშაობის გარდაქმნისაც. მიზანშეწონილია მეცნიერების უფრო აქტიური მონაწილეობა დასაწყისიდანვე, როდესაც ხდება თემების, პრობლემების, მიმართულებების შერჩევა და, შემდეგ, თვალის გადავლება ახალგაზრდის, მოსწავლე იქნება თუ სტუდენტი, კვლევისათვის. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება და, ალბათ, მომავალში უნდა მივხედეთ.

ვერ არის მოგვარებული სკოლებზე შეფობის საკითხები ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებში. არ იქნებოდა ურიგო ჩვენს ინსტიტუტებს 1988 წლიდან მაინც განხორციელებინათ. ეს იქნებოდა ჩვენი კიდევ ერთი წვლილი 1988 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

მოსაწონია, რომ გამოქვეყნდა ფსიქოლოგების ნაშრომი სწავლების საკითხებზე — „დაწყებითი სწავლების ფსიქოლოგია“, რომელსაც სპეციალისტები მაღალ შეფასებას აძლევენ.

წარმატებით იმუშავეს ფილოსოფოსებმაც, ფსიქოლოგებმაც, ისევე როგორც ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივებმა, რომელთაც მნიშვნელოვნად დააწინაურეს ახალი, უახლესი, საშუალო საუკუნეებისა და ძველი ისტორიის კვლევის საკითხების, ეთნოგრაფიის, საბჭოთა კავშირის ხალხებთან, კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის, ევროპის ხალხებთან ურთიერთობის საკითხების, საისტორიო გეოგრაფიის თუ ანთროპოლოგიის, წყაროთმცოდნეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების კვლევა.

მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ავტომატიზებული საინფორმაციო-საძიებო სისტემის მდგომარეობის შესახებ. კვლევის ამ მეთოდის დანერგვა საზოგადოებათმცოდნეობაში დაწყებულია, მაგრამ მას მხარდაჭერა სჭირდება. სათანადო შესაძლებლობა ინფორმაციის ცენტრს არა აქვს და უფრო ეფექტიანი მხარდაჭერა დასჭირდება.

მძიმე მდგომარეობაა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, რომლის მუშაობით აკადემიის ყველა დაწესებულება დაინტერესებულია. ბიბლიოთეკა ძალიან დიდ სამუშაოს ასრულებს. ამაზედაც მე არაფერს ვიტყვი ახლა; ეს ძალიან დიდ დროს მოითხოვს. მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ 20 წლის წინ შევიდა მწყობრში ბიბლიოთეკის წიგნთსაცავი, გაანგარიშებული 3 მილიონი წიგნისათვის. გასული წლის ბოლოს უკვე 2 მილიონ 750 ათასს გადააჭარბა წიგნადმა ფონდმა. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე ძალიან მძიმე მდგომარეობის წინაშე ვართ; უახლოესი 2 წლის შემდეგ ბიბლიოთეკას წიგნის შესანახი ადგილი არ ექნება. თავის დროზე არ იყო ზრდის პერსპექტივა სათანადოდ გათვალისწინებული; ეს სავესებით ცხადია, მაგრამ ახლა მდგომარეობის გამოსწორება მაინც საჭიროა; ბიბლიოთეკას უნდა მივხედეთ. ამასთან ბიბლიოთეკას ძალიან უჭირს უცხოური ლიტერატურის შექენა. 1975 წელს ბიბლიოთეკას ჰქონდა 55 ათასი მანეთი ვალუტის ლიმიტი, 1988 წლისათვის აქვს 107 ათასი მანეთი. ზრდა, უეჭველად, თვალსაჩინოა და ამ ზრდისათვის ჩვენ მაღლობელი ვართ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიისა, მაგრამ თუ 1975 წელს 55 ათას მანეთად ხერხდებოდა გამოწერა 400 უურნალისა, ახლა ჩვენს მეცნიერებს აქედან 109 უურნალი დააკლდათ, იმის გამო, რომ იზრდება ფასი უცხოური გამოცემებისა. არც ერთი მანეთი ბიბლიოთეკას არ რჩება იმისათვის, რომ უცხოური წიგნი შეიძინოს; მთელი ლიმიტი იხარჯება პერიოდიკაზე და იმასაც, როგორ ყოფნის, მოგახსენეთ. განსაკუთრე-

ბით მიმე მდგომარეობაშია ახლად შექმნილი სამეცნიერო უჯრედებში ინსტიტუტები, რომელთაც ძალიან დიდი დახმარება უნდათ და, ამის გამო, მინდა ბიბლიოთეკებისა და, საერთოდ, ჩვენი საბიბლიოთეკო კომისიის სახელით თხოვნა მოგახსენოთ, რომ ამ მხრივ მხარდაჭერა იყოს.

გართულდა მდგომარეობა საისტორიო ბიბლიოთეკის ბედის გადაწყვეტისას. ის ჯერ გადაეცა ინფორმაციის ცენტრს, შემდეგ ხალხთა მეგობრობის მუზეუმს და ამჟამად ფაქტიურად უპატრონო მდგომარეობაში აღმოჩნდა: შენობა, სადაც ის არის მოთავსებული, აგარიულ მდგომარეობაშია, ხანძრისაგან და სხვა გავლენისაგან დაცული არ არის და, ალბათ, დაგვირდება სასწრაფო ზომების მიღება.

ძალიან უჭირს ჩვენს დარგებს აღჭურვილობის მხრივ. საერთოდ, ინსტიტუტებში თითქმის არ არის არავითარი ტექნიკური აღჭურვილობა. უბრალო სამრავლებელი მოწყობილობაც კი ჰუმანიტარული დარგის ინსტიტუტებში არ არის. ძალიან დაზიანებული, ქსეროქსი — 12 წლის წინანდელი, აქვს ცენტრალურ ბიბლიოთეკას. ამ მხრივაც იქნებ მომავალში მოხერხდეს მხარდაჭერა და ცოტა რამის შექმნა.

დარგის პერსპექტიული კვლევის პრიორიტეტი და ძირითადი პერსპექტიული მიმართულებები ჩამოყალიბებულია კოლექტივებში. საჭირო იქნება სამეცნიერო დაწესებულებათა სტრუქტურის შესაბამისი გარდაქმნის დაჩქარება და საატესტაციო მუშაობისას დაშვებული ძალიან მიმე ფორმალიზმის გამოსწორება 1988 წელს მაინც. დასაძლევია უძრავობა კვლევის დარგში. უმნიშვნელოვანეს სამუშაოდ უნდა მივიჩნიოთ ჩვენი სამეცნიერო კოლექტივების ერთგვარი კარჩაკეტილობის დაძლევა, როგორც რესპუბლიკის, ისე საკავშირო მასშტაბით. ამგვარ იზოლირებას ბოლო უნდა მოეღოს, სხვაგვარად ჩვენს წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტა ვერ მოხერხდება. უნდა დამკვიდრდეს სამეცნიერო დაწესებულებებში სამეცნიერო დისკუსიების პრაქტიკა, შეიძლება ითქვას, რომ არა გვაქვს ეს, ხელი ავიღეთ ამაზე, და დისკუსიების ჩატარების კულტურაც უნდა დამკვიდრდეს. სწორედ ამ კულტურის ნაკლებობამ, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო დისკუსიების თანდათანობით შემცირებას.

უფრო ფართოდ უნდა განვითარდეს ქართული კულტურის კერებისა და ძეგლების კვლევა რესპუბლიკის გარეთ, განსაკუთრებით ქართული კულტურის უცხოურ კერებში. საფუძვლიანად უნდა გავაძლიეროთ ურთიერთობა უცხოეთის ქართველოლოგებთან და, მათ შორის, ჩვენს თანამემამულეებთან, რომლებიც ქართული კულტურის კვლევისათვის ძალიან სასარგებლო, უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ.

საგანგებო ყურადღება გვმართებს ეროვნულ ურთიერთობათა საკითხების კვლევისადმი. ეს, არსებითად თვითდინებაზე მიშვებული მიმართულებაა ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებში და ამიტომ, ჩვენ გადაჭრით უნდა გავავაუმჯობესოთ ეს სამუშაოები, ცხოვრება ამას 'გვკარნახობს' და მეცნიერები ამაზე უარს ვერ იტყვიან. ჩვენი ხალხი ახლო ხანებში მიიღებს „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რეატიმულს რუსულ ენაზე, „საქართველოს ისტორიულ-გეგორაფიულ ატლასს“ (დამთავრებულია მუშაობა), „საქართველოს ეთნოგრაფიის ნარკვევებს“, „ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასს“; სულ მალე დასრულდება „ქართული ხელოვნების ისტორიის“ ექვსტომეულის მომზადება გამოსაცემად, შეიქმნება „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია“, რომლის ორი ტომი საანგარიშო წელს უკვე მომზადდა.



როგორც ვხედავთ, პერსპექტივები ძალიან საყურადღებოა და ქართველ საზოგადოებებში მოძრაობებს დასჭირდებათ თავისი სამეცნიერო პოტენციალის და შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენება, იმისათვის, რომ გაამართლონ ის დიდი ნდობა, რომელსაც მათზე ამყარებენ.



## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის მ. სენიანოვილის საანბარიზო მოხსენება

აი უკვე სამი წელიწადია, რაც ჩვენი ქვეყანა და ხალხი, მსოფლიოს ხალხები ცხოვრობენ და იღწვიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა კეთილმყოფელი გავლენითა და სულისკვეთებით, რომლებმაც წამოაყენეს და ჩამოაყალიბეს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა. ამ პროგრამის სტრატეგიულ მიმართულებებზე დღევანდელ ეტაპზე და 2000 წლამდე განსაზღვრულია დაჩქარება და გარდაქმნა.

სოციალური და ეკონომიკური ცხოვრებისა და საქმიანობის გარდაქმნის გზით ჩვენი საზოგადოების წინსვლის დაჩქარების სტრატეგიამ თავისი გამოხატულება ჰპოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1987 წლის საქმიანობაშიც, რაც საკმაოდ თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ა. თავხელიძის გამოსვლაში, ვიცე-პრეზიდენტების, აკადემიკოსების სერგი ღურმიშიძის, გიორგი ჯიბლაძის, ივერი ფრანგიშვილისა და ანდრია აფაქიძის მოხსენებებში.

მეცნიერებათა აკადემია თავის საქმიანობაში ყოველთვის გრძნობდა და დღესაც გრძნობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის ყოველდღიურ წარმმართველ ხელსა და ზრუნვას, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პირველ რიგში, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, დედაქალაქის პარტიის რაიონული კომიტეტების დახმარებასა და თანადგომას.

დაჩქარებისა და გარდაქმნის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის ახალ მუხტად წარმოჩნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმი და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის ფუნდამენტური სიტყვა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გასული წლის წლიურმა კრებამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის გაფართოებულმა სხდომამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ჯუმბერ პატიაშვილმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გური მარჩუქმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარემ ამხანაგმა პავლე გილაშვილმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ოთარ ჩერქეზიამ, ახალ მოთხოვნათა შესაბამისად მომავალი მუშაობის ფართო პროგრამა დასახეს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კოლექტივები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კოლექტივებთან და ჩვენი ქვეყნის სხვა წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან, პირველ რიგში, მოს-

კოვის, ლენინგრადის, კიევის, ნოვოსიბირსკის, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების, განსაკუთრებით აზერბაიჯანისა და სომხეთის აკადემიებთან ტრადიციული მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობით, ურთიერთგამდობრივობითა და ურთიერთზეგავლენით 1987 წელს წარმატებით აწარმოებდნენ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა ღრმა და ყოველმხრივ გამოკვლევებს, სწავლობდნენ ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეებს, ქართველი ხალხის უძველეს და უმდიდრეს სულიერ მემკვიდრეობას, ასრულებდნენ ფუნდამენტურ და საძიებო გამოკვლევებს მათემატიკისა და მექანიკის, ფიზიკისა და ასტრონომიის, ქიმიისა და ბიოლოგიის, კერძოდ, ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის, გეოლოგიის, აგრონომიის, ისტორიის, ეკონომიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ფილოლოგიის, ლინგვისტიკის და სხვა დარგებში.

ჩვენი აკადემიის 19 ინსტიტუტი მონაწილეობდა და მონაწილეობს 35 საკავშირო მიზნობრივ თუ კომპლექსურ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამაში, ხოლო საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში 28 ინსტიტუტი ასრულებს ფუნდამენტურ გამოკვლევებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებისა და საპრობლემო კომისიების მიერ დამტკიცებული 50 საკოორდინაციო გეგმის მიხედვით. ამასთან ერთად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები მონაწილეობდნენ 25 რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსური პროგრამის დამუშავებაში, რომელთა შორისაა ისეთები, როგორიცაა: „საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი-90“, „ხელის შრომის მექანიზაცია“, „ვიწრო ადგილების ლიკვიდაცია მრეწველობაში“, „საქაგროკომპლექსი-90“, მეცნიერებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარების პროგნოზი რესპუბლიკაში 2005 და 2010 წლებისათვის და სხვ.

სულ საანგარიშო წელს გამოკვლევები ტარდებოდა 64 სამეცნიერო მიმართულების 218 პრობლემაში გაერთიანებულ 867 თემის მიხედვით. დამთავრდა 115 თემის დამუშავება; რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმით გათვალისწინებული 47 სამუშაოდან დასრულდა 11.

სახალხო მეურნეობაში გამოყენებულია 81 დასრულებული გამოკვლევის შედეგი და მიღებულია 19 მლნ მანეთზე მეტი ეკონომიკური ეფექტი. მიღებულია 64 საავტორო მოწმობა გამოგონებაზე და 85 დადებითი გადაწყვეტილება საავტორო მოწმობათა გაცემაზე. გამომცემლობა „მეცნიერებაში“ გამოსცა 416 დასახელების წიგნი, შრომათა კრებული, მონოგრაფია 3477 საბეჭდო თაბახის მოცულობით.

რამდენადაც წინა მოხსენებებში საკმაოდ დაწვრილებით იყო გადმოცემული საანგარიშო წელს მოპოვებული სამეცნიერო შედეგები, მე თავს ნებას მივცემ აქ მოვიყვანო მხოლოდ ზოგიერთი მათგანი და შეიძლება მომიხდეს კიდევ გამეორება.

სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ გასულ წელს რეგისტრირებულია აკადემიკოს ა. ნ. თავგელიძის, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის რ. მ. მურადიანისა და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ვ. ა. მატევეის აღმოჩენა „მატევე-მურადიან-თავგელიძის კვარცხის თვლის წესები“, რომელიც დაფუძნებულია ძალიან მცირე მანძილებზე აღრონთა შეჯახებებში ავტორთა მიერ გამოვლენილ კანონზომიერებაზე. ეს წესები საშუალებას იძლევა დათვლილ იქნეს აღრონებში შემადგენელი კვარცხის რიცხვი თორიული წინასწარმეტყველების ექსპერიმენტულ მონაცემებთან შედარების გზით.



შემდგომი განვითარება ჰპოვა ფუნდამენტურმა კვლევამ სეისმოლოგიაში, მშენებლობისა და სეისმოლოგიის დარგში. გეოფიზიკის ინსტიტუტში, რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ინსტიტუტებთან ერთად, წარმატებით შესწავლებოდა მიწისძვრების პროგნოზის პრობლემები, ხოლო ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ სსრ კავშირში სეისმომედევი მშენებლობის იუნესკოს საერთაშორისო ცენტრში იუნესკოს სამდივნოსთან კონტრაქტის საფუძველზე შედგენილია მიმოხილვითი მოხსენება მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში სეისმომედეგობის დარგში კვლევის მიმდინარეობის, სპეციალისტთა კადრების მომზადების და სეისმომედევი მშენებლობის კოდების (ნორმების) შემუშავების მდგომარეობის შესახებ.

რეალური ნაბიჯები გადაიდგა სამკურნალო პრეპარატების საწარმოებლად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაცოქიმიის ინსტიტუტისა და ბელაგის ფარმაცევტული ფირმის „იანსენ ფარმაცევტიკას“ ერთობლივი საწარმოს ორგანიზაციისათვის. სამკურნალოწამლო საშუალებათა დასამზადებლად გამოიყენება ფირმის სუბსტანციები და აგრეთვე, რაც მთავარია, ქართველი ფარმაცოქიმიკოსების მიღწევების შედეგები, რომლებმაც რესპუბლიკის ბუნებრივი სამკურნალო მცენარეულობის გამოყენებით მიიღეს მეტად საჭირო და ძვირფასი პრეპარატები.

სსრ კავშირის 50 წლისთავის სახ. მეტალურგიის ინსტიტუტში შემუშავებული და რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასთან ერთად გამოყენებულია თხიერ ფოლადში აირებისა და ფხვნილების ინჟექციის ორიგინალური სამეცნიერო-ტექნიკური ხერხი. ეს ხერხი, რომელიც მნიშვნელოვნად ამაღლებს მიღებული ლითონის ხარისხს, გარდა რუსთავისა, გამოიყენება მაგნიტოგორსკის და ორსკოხალილის მეტალურგიულ კომბინატებში. მისი გამოყენება შავი მეტალურგიის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულია მეტალურგიული ქარხნების ყველა ფოლადსადნობ საამქროში. აღსანიშნავია კიდევ ის, რომ დასავლეთგერმანულმა ფირმამ „კრუპმა“ ამ ხერხზე ლიცენზია შეიძინა. ყველას, რა თქმა უნდა, კმაყოფილების გრძნობა მოჰგვარა აღნიშნული სამუშაოსათვის 1988 წლის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მინიჭებამ.

გრძელდებოდა აკადემიის 11 ინსტიტუტის ინტენსიური და მიზანდასახული მუშაობა კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის დაპროექტებასა, მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

როგორც ცნობილია, 1987 წლის აპრილში რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შემდგომი განვითარების შესახებ, რომლის პროექტი აკადემიის კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების საკოორდინაციო საბჭომ მოამზადა. ამ დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლების გამოვლენისა და დაცვის უზრუნველყოფას, ეკოლოგიის საკითხებს. ეს პრობლემები რესპუბლიკის საზოგადოებრიობის ფართო მსჯელობის საგანი გახდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1987 წლის მაისში მიღებულ იქნა დადგენილება, რომელიც უპროფიციო ეკოლოგიური შედეგების თავიდან აცილების მიზნით, ითვალისწინებს მსხვილი სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობის პროექტების ექსპერტიზის როლის გაძლიერებას.

როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სრული საჯაროობის ვითარებაში მრავალჯერ მოაწყო კავკასიის სა-

უღელტეხილო რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით ეკოლოგიური პრობლემების ყოველმხრივი განხილვა, ხოლო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სპეციალური დადგენილებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შექმნა კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის საზოგადოებრიობის საკონსულტაციო საბჭო, რომლის თავმჯდომარეა აკად. ა. თავხელიძე

1987 წლის ბოლოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, სსრ კავშირის გზათა მიმოსვლის სამინისტრომ და სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრომ თხოვნით მიმართეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის პროექტის დამტკიცების ვადის გაგრძელების შესახებ. თხოვნა იმით იყო გამოწვეული, რომ საპროექტო ინსტიტუტი „კავვიპროტრანსი“ დადგენილ ვადაში — 1987 წლის ბოლოსათვის — ვერ ასწრებდა პროექტის სპეციალური ნაწილის — ეკოლოგიის, ბუნებრივი გარემოს დაცვის და, რაც მთავარია, ქ. თბილისის სასამელი წყლით უზრუნველყოფის საკითხების მაღალ დონეზე დამუშავებას. საკავშირო მთავრობის დავალებით სსრ კავშირის სახელმწიფო სამშენებლო და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებმა განიხილეს ეს თხოვნა და მიიჩნიეს, რომ საჭიროა დამატებითი შესწავლა საუღელტეხილო რკინიგზის გასწვრივ უნიკალური ბუნებრივი კომპლექსების და კულტურის ძეგლების შენარჩუნება-დაცვის და აგრეთვე ჟინვალის წყალსაცავის გაჭუჭყიანებისაგან დაცვისა. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობა კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის პროექტის შეთანხმება-განხილვისას კომპლექსური ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებაში და ბუნებრივ და კულტურულ კომპლექსებზე, გაჭუჭყიანებისაგან ჟინვალის წყალსაცავის დაცვაზე რკინიგზის გაყვანის გავლენის შეფასებაში.

მოყვანილის საფუძველზე წამოყენებულია წინადადება, რომ პროექტის საბოლოოდ დამტკიცების ვადად მიღებულ იქნეს 1989 წლის ნოვთხე კვარტალი.

ამასთან ერთად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოსფეროს პრობლემების სამეცნიერო საბჭოს მთის რეგიონების პრობლემების სექციის 1987 წლის 17—18 თებერვლის მუშა თათბირმა განიხილა კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის დაპროექტებასთან და მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებული ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და ეკოლოგიური დასაბუთების მხრივ პროექტი მოითხოვს უფრო ღრმა და კომპლექსურ დამუშავებას. თათბირმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის განყოფილებისა და საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის წინაშე დასვა საკითხი — ჩატარდეს რკინიგზის მშენებლობის ეკონომიკური მიზანშეწონილობის შეფასება. თუ რკინიგზის ეკონომიკური მიზანშეწონილობა დასაბუთდება, მაშინ სპეციალური გეოეკოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე ჩატარდეს პროექტის შესაძლო ვარიანტების ღრმა ობიექტური ეკოლოგიური ექსპერტიზა.

როგორი იქნება საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილება, ჯერ ვერ ვიტყვი. მაგრამ ერთი კი მტკიცედ შეიძლება ითქვას — კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის პრობლემების დამუშავებაში მონაწილე ჩვენი აკადემიის ინსტიტუტებმა პროექტის დამტკიცების ვადავადების 2 წელი უნდა გამოიყენონ რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებული ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მაქსიმალურად ღრმად დამუშავებისათვის.

გუშინდელ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებული სტატია ამ რკინიგზის შესა-



ხებ, მე მგონია, დაგვიანებულია იმიტომ, რომ ფაქტიურად ყველაფერი გვეყვებოდა და მომზადებულია შესაბამისი ორგანიზაციების მიერ.

ამასთან ერთად, კავკასიის საუღელტეხილო რეინიგზის მშენებლობისა და ექსპლუატაციისგან დამოუკიდებლად, აკადემიამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს თეთრი არაგვისა და ფშავის არაგვის აუზებში ჩამდინარე წყლების მიქანიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური გაწმენდის თანამედროვე მეთოდების გამოყენების და ნაგებობების აგების გზით უინვალის წყალსაცავიდან თბილისის მოსახლეობის მაღალხარისხოვანი სასმელი წყლით უზრუნველყოფის პრობლემის საინჟინრო-ტექნიკურ გადაწყვეტაში, აგრეთვე, ესქატრემალური სიტუაციის დროს დედაქალაქის წყალმომარაგების მეორე წყაროთი უზრუნველყოფაში.

საანგარიშო წელს დამთავრდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ორ-მეტრომეტრის გამოცემა. მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ და ენციკლოპედიის რედაქციის თანამშრომლებმა, რომელსაც 16 წელზე მეტია წარმატებით ხელმძღვანელობს ჩვენი აკადემიის პრეზიდენტის წევრი, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, კოლოსალური მუშაობა ჩაატარეს ამ უნიკალური ნაწარმოების შექმნისათვის. ამიტომ განსაკუთრებული სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ რედაქციის წამყვან თანამშრომლებს დამსახურებულად მიენიჭათ 1988 წლის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია.

ასევე აღსანიშნავია ის მეტად სასიამოვნო ფაქტი, რომ აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით მოპოვებული მსოფლიოში აღიარებული მეცნიერული მიღწევების დაგვირგვინების შედეგად შექმნილი ორტომეული „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები. პრაენისა და პროტოკულტურის რეკონსტრუქცია და ისტორიულ-ტიპოლოგიური ანალიზი“, რომლის თანაავტორია აგრეთვე ცნობილი მეცნიერ-ვლადიმერ ივანოვი, წარდგენილია ლენინურ პრემიაზე.

ეს და სხვა მაგალითები თვალნათლივ გვიჩვენებს სამეცნიერო მიღწევების შედეგებს გარდაქმნისა და დაჩქარების შუქზე. რასაკვირველია, სამეცნიერო შედეგებთან ერთად, ახლებურად გაიზარდა, ახალ მოთხოვნათა პრიზმამი განიხილება მეცნიერების განვითარებისა და მისი მართვის ორგანიზაციის მრავალი საკითხი. დასამალი არ არის ის გარემოება, რომ მოდუნების მოვლენებმა მეცნიერებაშიც იჩინეს თავი. ახლაც ყველაფერი არ არის დაძლეული. ამის შედეგად ადგილი აქვს სამაჟულო მეცნიერების მთელ რიგ დარგებში ფუნდამენტური კვლევის დონის ჩამორჩენას მსოფლიო დონისაგან. ამიტომ ბუნებრივია, მეცნიერების უმთავრესი ამოცანაა დაკარგული პოზიციების აღდგენა, მსოფლიო მეცნიერების მოწინავე მიჯნებზე გასვლა. ამ მიზნის მისაღწევად პარტიამ დასახა ამოცანა მიიზიდოს ქვეყნის მთელი მეცნიერული პოტენციალი, მოახდინოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ძალთა კონსოლიდაცია.

ამ მიმართულებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისა და მისი პრეზიდენტის აკად. გ. მარჩუკის დავალებათა შესაბამისად საანგარიშო წელს ჩვენს აკადემიაში შესრულდა დიდი სამუშაო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მიერ განსაზღვრულ 16 პრიორიტეტულ მიმართულებაში გაერთიანებული იმ 250 სამეცნიერო პრობლემის ფორმირებისა და ფორმულირებისათვის, რომელთა გადაწყვეტაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას შეუძლია იყოს მათავე. კოორდინატორი კავშირის მასშტაბით, ან რომელთა დამუშავებაში ჩვენს მეცნიერებს და სამეცნიერო კოლექტივებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა. ეს წინადადებ-



ში ინსტიტუტებში, სამეცნიერო განყოფილებებსა და პრეზიდიუმის სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, ძირითადად მის სამეცნიერო განყოფილებებში. მაგრამ ჩვენ, მცირე გამოჩაყლისის გარდა, ჯერ უკუნიფორმაცია არა გვაქვს. ამის გარდა, საქართველოს აკადემიის 28 წამყვანი მეცნიერი შეყვანილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებთან არსებულ საკოორდინაციო საბჭოებში და ასამდე მეცნიერი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საექსპერტო საბჭოებში.

ამჟამად მუშაობას ამთავრებს ჩვენი ქვეყნის წამყვან მეცნიერთა დიდი ჯგუფი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის აკად. კ. ფროლოვის ხელმძღვანელობით, რომელმაც დეტალურად შეისწავლა ინსტიტუტების, განყოფილებების და მთლიანად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობა სწორედ ამ ასპექტით, თუ როგორ შეიძლება საქართველოს აკადემიის სამეცნიერო პოტენციალის ჩართვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით საკავშირო ფუნდამენტური და საძიებო პრობლემების გადაწყვეტაში. საქართველოს საბჭოთა მეცნიერებას საქმოდ მდიდარი შესაძლებლობები გააჩნია მთელ რიგ პრობლემებზე მუშაობის კოორდინაციის გასაწევად საკავშირო მასშტაბით. თავის დროზე მსოფლიო აღიარება მოიპოვა სამეცნიერო სკოლებმა მათემატიკური ფიზიკის და მექანიკის, ფიზიოლოგიის, ორიენტალისტიკის, ლინგვისტიკის, გეოლოგიის, სეისმომედეგობის, ფსიქოლოგიისა და სხვა დარგებში. დღესაც რიგი მიმართულებებისა მსოფლიო ინტერესს იწვევს. საქართველოს აკადემიის კოლექტივს იმედი აქვს, რომ აკადემიკოსი კ. ფროლოვი და მისი კოლეგები გამოახავენ რეალურ გზებს საქართველოში აკადემიური მეცნიერების და, მასთანადემ, მთლიანად რესპუბლიკის მეცნიერების შემდგომი აღმავლობის ხელის შესაწყობად. საქართველოსა და ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიების მუშაობის შედეგებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო განიხილავს. ამჟამად ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია სწორად და მკაფიოდ განისაზღვროს ქართული აკადემიური მეცნიერების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები, მისი პერსპექტივები 1995 წლისათვის და 2000 წლამდე. ეს მნიშვნელოვანია არა მარტომისათვის, რომ შემდგომში გაფართოვდეს და გაღრმავდეს ფუნდამენტური კვლევები მეცნიერების იმ დარგებში, რომლებიც ხელს უწყობს ხალხის სულიერი ცხოვრების გამდიდრებას, განათლებასა და მისი კულტურის განვითარებას, რესპუბლიკაში მეცნიერების რიგი დარგების დონის აყვანას მსოფლიო დონემდე, არამედ იმიტომაც, რომ 1989 წლიდან აკადემიური მეცნიერება მთელს ჩვენს ქვეყანაში და ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ახლებურად დაფინანსდება, დასამუშავებელი პრობლემების მნიშვნელობის მიხედვით, კონკურსის საფუძველზე. შეწყდება მეცნიერების დაფინანსების მრავალწლიანი მანკიერი პრაქტიკა „ბაზიდან“, „დონიდან“ და პირველად ჩვენს პრაქტიკაში დაიწყება დაფინანსება პრობლემების მიხედვით. ეს კი იქნება გათანაბრების უარყოფა მეცნიერებაშიც.

ამრიგად, სახელმწიფო შეკვეთის ფორმა შემოდის აკადემიურ მეცნიერებაშიც. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო შეკვეთების ან საერთო საკავშირო ფუნდამენტური პრობლემების მოცულობა მცირე იქნება, რჩება, როგორც ცნობილია, დაფინანსების კიდევ ერთი წყარო — პირდაპირი სამეურნეო ხელშეკრულებები მატერიალური წარმოების სფეროს ობიექტებთან. უკვე გავიდა წელიწადის მეოთხედი, 1989 წელიც ნალე დადგება, სახელმწიფო შეკვეთები კი ჩვენს აკადემიაში თითზე ჩამოსათვლელია. საკავშირო



მასშტაბის საკონკურსო თემებიც სულ რამდენიმეა. ამაზე საერთო კრების ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ სახელშეკრულებო სამუშაოთა მნიშვნელოვანმა მოცულობამ შესაძლოა აკადემიის საბუნებისმეტყველო და გამოყენებითი პროფილის ინსტიტუტები დიდ გართულებათა წინაშე დააყენოს, განსაცდელში ჩააგდოს: ან შენ არავის არ სჭირდება, ან შენ თვითონ უნდა გამოიწიო საარსებო წყარო, რისთვისაც მოგიხდება მაღალი მეცნიერული მიზნების, ფუნდამენტური და ძიებითი გამოკვლევების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დავიწყება.

ამიტომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობისადმი თხოვნას მე მინდა დავამატო საქართველოს მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობისადმი თხოვნა იმის შესახებ, რომ დროული დახმარება გაუწიოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას, ეფექტიანად გამოიყენოს მისი სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი ჩვენი სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-კულტურული პროგრესის დაჩქარების მიზნით, დაეხმაროს აკადემიას რესპუბლიკის ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის სპეციფიკიდან, სპეციალიზაციიდან გამომდინარე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრაში და შემდგომ მათ დამუშავებაზე აკადემიის საქმიანობისა და ძალების თავმოყრაში. ამ მიზნების განსახორციელებულად ხელი შეუწყოს აკადემიური მეცნიერების კონსოლიდაციის დარგობრივი და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერებასთან, სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის ეფექტიანობის გაზრდას, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის გაძლიერებას.

ამისათვის საქართველოს აკადემიას კარგა ხანია დაგროვილი აქვს გარკვეული გამოცდილება. მეცნიერებათა აკადემიის მიერ კოორდინირებულ სამეცნიერო თემატიკასთან ერთად, ბოლო ორ წელიწადში ფიზიკის, გეოფიზიკის, გეოგრაფიის, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედევობის, სამთო მექანიკის, მანქანათა მექანიკის, ფიზიკური და ორგანული ქიმიის, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის, მეტალურგიის ინსტიტუტებთან შექმნილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის 14 საბაზო კათედრა.

და კიდევ ერთი მარად აქტუალური პრობლემა — აკადემიური მეცნიერების მატერიალურ-კვლევითი ბაზის შემდგომი განმტკიცება. ნება მომეცით შეგახსენოთ, რომ ჯერ კიდევ 1984 წლის ბოლოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე აკადემიის პრეზიდიუმის დავალებით ჩემს მიერ დასმული იყო საკითხი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსების მკვეთრი, ნახტომისებური გაზრდის, კერძოდ, აკადემიის თანამედროვე კვლევითი და გამომთვლელი ტექნიკით დაჩქარებული აღჭურვის თაობაზე. იმავე სესიის დავალების შესაბამისად, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა შეიმუშავა და 1985 წლის აპრილში რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და საგვემო კომიტეტს წარუდგინა ძირითადი ფონდების პირველ რიგში, ამ ფონდების აქტიური ნაწილის გაზრდის დასაბუთებული პროგრამა XII და XIII ხუთწლედებისათვის, 2000 წლამდე პერიოდისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მეცნიერებათა აკადემიას მანამდეც და მერცეც ქმედით დახმარებას უწყევდა, მდგომარეობა ამ მხრივ მაინც რთულია. მოვიყვან რამდენიმე ციფრს. თუ მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსების ზრდის ტემპი 1981—1985 წლებში 2%-ს შეადგენდა, 1985—1987 წლებში იგი 6,7% გახდა, ბიუჯეტით დაფინანსების ზრდის ტემ-

ბი კი შესაბამისად 2,8% და 6,5%. სამეცნიერო მოწყობილობის, კვლევითი და გამოთვლელი ტექნიკის შესაძენად გამოყოფილი სახსრების ზრდის ტემპი აღნიშნულ პერიოდებში შეადგენს 0,9% და 11,4%-ს, ხოლო საანგარიშო წელს რომ აგვეთვისებინა სახელმწიფოს მიერ მოწყობილობის შესაძენად გამოყოფილი მთელი თანხა — 9,5 მლნ მანეთი, გვექნებოდა ნახტომი 22,8%.

ჩვენი აკადემიის ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის ანუ კვლევითი და გამოთვლელი ტექნიკის ღირებულება ამჟამად 80 მლნ მანეთს აღწევს, ხოლო ერთ მეცნიერ მუშაზე განაგარიშებით სულ 14,4 ათასი მანეთია. ეს ციფრი მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიებს შორის ყველაზე დაბალია და სამჯერ უფრო მეტად დაბალი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ყველაზე ცუდი ის არის, რომ 44% აღრიცხული საზომი საშუალებებისა, ე. ი. 10 ათასი ერთეული, მორალურად დაძველებულია, გამოშვებულია 1977 წლამდე. კატასტროფულად დაბალია ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის პარკის სიმძლავრე და თუმცა საანგარიშო წელს ჩვენ მივიღეთ ერთი ახალი EC-1061 ტიპის და ერთი ექსპლუატაციაში ნამყოფი EC-1040 ტიპის მანქანები, 45 ცალი მცირე გამოთვლელი მანქანა, რომელთა საერთო ღირებულება თითქმის 3 მლნ მანეთს აღწევს, გამოთვლელი ტექნიკის უკმარისობის პრობლემა მაინც კვლავინდებურად მძაფრად დგას.

თქვენი ყურადღება მინდა შევიპყრო კიდევ ერთ გარემოებაზე, რადგანაც ჩვენ ვდგავართ მოსალოდნელ სერიოზულ გამოცდათა წინაშე. ჩვენი აკადემიაში დანახარჯების სტრუქტურა მკვეთრად განსხვავდება, სამწუხაროდ უარესობისაკენ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საშუალო მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების დანახარჯების სტრუქტურისაგან. ასე, მაგალითად, ჩვენთან ხელფასის ფონდი მთელი დანახარჯის 44,8%-ს შეადგენს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში 29,2%-ს, მოკავშირე რესპუბლიკებში კი — 35,4%-ს. ამავე დროს ერთი მუშაკის საშუალო ხელფასი წელიწადში შესაბამისად 1807 მან, 1695 მან. და 1369 მანეთია, ერთი მეცნიერი მუშაკისა კი — 2103 მან., 2506 მან. და 2311 მანეთი. ეს ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ ჩვენთან სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობს ყველა თანამშრომლის 85,9%, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში — 66,1%, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებში კი — 59,3%. ხარჯთაღრიცხვის მე-5 მუხლის (სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები) მიხედვით ჩვენთან ხარჯები შეადგენს 22,2%-ს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში — 34,8%-ს, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებში — 32,2%-ს, ხოლო მე-12 მუხლის (მოწყობილობის შექმნა) მიხედვით — შესაბამისად 14,4%, 20,6% და 15,9%-ს.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. თუმცა არც მთლად ზედმეტი. ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ სამეცნიერო კვლევის დაფინანსებას, მის უზრუნველყოფას ჩვენ ცუდად ვგეგმავთ. მთი, ვინც ამ უბანზე პასუხისმგებლობა აკისრიათ, საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, გააკეთონ სათანადო დასკვნები და გარდაქმნან მუშაობა.

ამ მონაცემებს საჭიროა დავამატოთ ცნობები კაპიტალური მშენებლობის დარგში საქმის მდგომარეობის შესახებ. აკადემიის წლიურ საერთო კრებებზე არაერთხელ აღნიშნულა მშენებლობის არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, გაუმჯობესების ნაცვლად ამ დარგში 1987 წელს მდგომარეობა გაუარესდა. თუ 1986 წელს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 85%-ით შესრულდა, სახელდობრ, გეგმით გათვალისწინებული 5150 ათასი მანეთის სამუშაოებიდან შესრულდა 4382 ათასი მანეთის სამუშაოები, 1987 წელს გეგმა 5460 ათასი მანეთის მოცულობით მხოლოდ 51%-ით შეს-



რულდა, ე. ი. ათვისებულ იქნა 2790 ათასი მანეთი. ამის შედეგად საქართველოში წელს ექსპლუატაციაში შეყვანილი არ იქნა თითქმის 12,5 მლნ მანეთის ღირებულების ძირითადი ფონდები.

ახლახან მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დეტალურად განიხილა კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქმის რამდენადმე გამოსწორება შეუძლია მხოლოდ მშენებლობის საქმეში იმ ინსტიტუტების დირექტორების პირად ჩარევას, რომელთათვისაც შენდება ესა თუ ის ობიექტი. ამის ნათელი დადასტურებაა ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მშენებელი შენობა და მისი მშენებლობის გეგმის განხორციელებაში ინსტიტუტის დირექტორის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის მიხეილ ხანანაშვილის ფრიად აქტიური და ინიციატივიანი მონაწილეობა.

ამხანაგებო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმზე ამხანაგმა მ. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მთავარია დემოკრატიზაცია. ეს არის გარდაქმნის მიზნების მიღწევის გადამწყვეტი საშუალება... გარდაქმნის ახალ ეტაპზე პარტიას შეუძლია უზრუნველყოს თავისი ხელმძღვანელი, ავანგარდული სროლი, გაუძღვეს მასებს ღრმა გარდაქმნის გზაზე, მუშაობის მხოლოდ დემოკრატიული მეთოდების გამოყენებით“. ამ სიტყვების ციტირებას იმიტომ ვახდენ, რომ, მიუხედავად ინდუსტრიალიზაციისა, კომპიუტერიზაციისა და კოლექტივიზაციისა, მეცნიერებისათვის, რომელიც თავისთავად ღრმა შემოქმედებით, მე ვიტყვოდი, უწყვეტად შემოქმედებით, ფენომენს წარმოადგენს, დემოკრატიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და, რაც მთავარია, საჭიროა, არჩევითობა მეცნიერების ორგანიზაციისა და მართვის მაღალი იერარქიული კიბის ყველა საფეხურზე, ძირიდან ზედა საფეხურამდე, შეზღუდული გარკვეული ვადით, ვთქვათ, ხუთწლიანი ორი ვადით, შესაძლოა იქცეს ერთ-ერთ იმ რეალურ სტიმულატორად, რომელიც უმოკლეს დროში მოახდენს მეცნიერების აქტივიზირებას და ამის შედეგად მის ინტენსიფიცირებას, გამოიყვანს მას დღევანდელი მდგომარეობიდან. მე შემთხვევით არ მითქვამს „შესაძლოა იქცეს“. ამჟამად, დროის სულისკვეთებისა და მოთხოვნების შესაბამისად, დემოკრატიზაცია მიმდინარეობს აკადემიურ მეცნიერებაშიც — საკავშიროსა და რესპუბლიკურში, მაგრამ ჭერჯერობით, როგორც იტყვიან, იგი „ლაგამამოდებული გვეყავს“, გვეშინია მეცნიერები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და დაწესებულებათა კოლექტივები არ შეცდნენ დემოკრატიული პრინციპების გამოყენებისას, მაგალითად, არ აირჩიონ შეუფერებელი დირექტორი, ლიდერი. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავების თაობაზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1987 წლის 17 ნოემბრის დებულებით, რომელიც პრინციპში ჩვენმა აკადემიამაც მიიღო, სამეცნიერო კოლექტივი დირექტორს კი არ ირჩევს, არამედ ფარული კენჭისყრით მხოლოდ რეკომენდაციას უწევს ერთ, ზოგჯერ რამდენიმე სადირექტორო კანდიდატურას. არჩევნებს კი ატარებს სამეცნიერო განყოფილება და მისი შედეგები მთლიანად განყოფილებათა მიდგომასა და პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული.

სამაგიეროდ, განყოფილების მიერ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ მეცნიერი ხდება დირექტორი სამუდამოდ, უკაცრავად, ამჟამად ვიდრე მას 70 წელი შეუსრულდება. კარგია თუ ცუდია ეს დირექტორი კოლექტივისათვის, საქმისათვის, არავინ არ ეკითხება არც კოლექტივს, არც იმ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, სადაც იგი დირექტორობს. მთავარია შეწყობილად მუშაობდეს განყოფილებასთან და სხვა ზემდგომ ინსტიტუტებთან.

ჩვენს აკადემიაში შვიდ ინსტიტუტში მოხდა დირექტორების ცვლა. ბენედიქტე ბალავაძის, ვახტანგ ბერიძის, სერგი ღურმაშიძის, ქეთევან ლომთათიძის, გიორგი თვალჭრელიძისა და წევრ-კორესპონდენტის ირაკლი ზურაბიშვილის ნაცვლად შესაბამისი ინსტიტუტების დირექტორები გახდნენ აკადემიკოსი გიორგი ხარაძე, წევრ-კორესპონდენტები მერაბ ალექსიძე, ნოდარ ჯანბერიძე, გიორგი კვეციანი, მეცნიერებათა დოქტორები ბესარიონ ჯორბენაძე, შოთა ადამია და ლევან ჯაფარიძე, მართალია, ჩვენს შემთხვევაში ორი მათგანის მიმართ აკადემიის ხელმძღვანელობას სხვა მოსაზრება გააჩნდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მხედველობაში მთლიანად იქნა მიღებული ნება-სურვილი გაფართოებული სამეცნიერო საბჭოებისა, რომლებიც არჩევდნენ თითო კანდიდატურას.

დემოკრატიზაციის გზაზე ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს რაიმე მოულოდნელობისა და მარცხისა. ჩვენს საზოგადოებასა და სახელმწიფო წყობაში მრავლადაა ბერკეტები და ფორმები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გამოვასწოროთ შესაძლო შეცდომები, თუ, რა თქმა უნდა, არ მოქმედებენ პროტექციონიზმის მავნე ბაქტერიები, რომელსაც ახლახან საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით კიდევ ერთხელ გამოეცხადა უკომპრომისო ბრძოლა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვადების მიხედვით კადრების შერჩევასა და განაწილებაში ჩვენ ჩამოვრჩით არა მარტო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 5 თებერვლის დადგენილების ცნობილ მოთხოვნებს, არამედ ჩამოვრჩით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასა და მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიებსაც. ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ დირექტორებს, მაგრამ არჩევით თანამდებობათა სხვა კატეგორია, და საკმაოდ მრავალრიცხოვანი, ჯერ დაიწყოფილია. ჩვენი აზრით, საჭიროა შედგეს ხელმძღვანელი თანამდებობების დაკავების წესდების რეალიზაციის გრაფიკი, დამტკიცდეს იგი პრეზიდიუმის სხდომაზე და ყველამ მკაცრად იხელმძღვანელოს ამ გრაფიკით.

საკითხები, რომელთაც მე აქ შევეხე, კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენენ სწორედ დღეს, როცა ჩვენი აკადემიის, უფრო მეტიც — მთელი რესპუბლიკის სამეცნიერო ცხოვრებაში უნდა მოხდეს ორი მნიშვნელოვანი მოვლენა — აკადემიის შემადგენლობაში ახალი წევრებისა და აკადემიის პრეზიდიუმის არჩევნები.

აკადემიის შემადგენლობისა და აკადემიის პრეზიდიუმის ახლანდელი არჩევნები ჩატარდება ისეთ ვითარებაში, რომელიც არსებითად განსხვავებული იქნება ყველა წინა არჩევნების ვითარებისგან. ამიტომ, ბუნებრივია, არჩევნები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან რესპუბლიკის მეცნიერების უტახის მდგომარეობა, მისი ინტელექტუალური დონე, ინტელიგენტურობა, ქმედითუარიანობა, სამეცნიერო ავტორიტეტი და საკავშირო თუ მსოფლიო მეცნიერებაში მისი ღირსეული ადგილი ყოველთვის აღელვებდა ქართველი ხალხის მაღალი ინტელექტის გამოჩნატველ ჩვენს საზოგადოებრიობას, რომელიც ყოველთვის დიდი პატივისცემითა და მზრუნველობით ეკიდება მეცნიერებას და მეცნიერებს.

ასეთივე დამოკიდებულებას იჩენს მეცნიერებისადმი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო და რესპუბლიკის მთავრობა.

რა განსხვავებაა ახლანდელ და ადრინდელ არჩევნებს შორის?

1. პარტიის მითითებები, როგორც ცნობილია, მეცნიერებისაგან, განსაკუთრებით აკადემიურისაგან, მოითხოვს საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და

13. „მომავლ“, ტ. 131, № 1, 1988



საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ღრმა ფუნდამენტური გამოკვლევების მსოფლიო მეცნიერების დონეზე შესრულებას, ქვეყნის წინაშე მდგომი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში რეალურ ჩაბმას, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მოთხოვნებთან მაქსიმალურ მიახლოებას. ამ ამოცანებიდან გამომდინარე გვმართებს პირველ რიგში აკადემიის ახალი სტრუქტურის, სამეცნიერო განყოფილებების, მათ შორის ინსტიტუტებისა და დაწესებულებების განაწილების განსაზღვრა.

2. ახლანდელი არჩევნები ტარდება მზარდი დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ვითარებაში. ვაკანსიათა განსაზღვრისას საჭიროა ქართული აკადემიური მეცნიერების ტრადიციებზე დაყრდნობით მკაფიოდ შეფასდეს მისი განვითარების პერსპექტივები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებთან მჭიდრო შეხამებით. ამასთან გარკვეული უპირატესობა უნდა მიენიჭოს მეცნიერების იმ დარგებს, რომლებიც ემსახურება ხალხის სულიერ და კულტურულ ცხოვრებას, მის განათლებას.

ვაკანსიებზე კანდიდატების წამოყენება კი უნდა ხდებოდეს ძალდაუტანებელი, ყოველმხრივი განსჯის ვითარებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება საჯაროობის გამოყენება აკადემიის ნამდვილი წევრობისა და წევრობის კორესპონდენტობის კანდიდატების მშვიდი და საფუძვლიანი განსჯისათვის მათი სიის პრესაში გამოქვეყნების შემდეგ.

3. ახლანდელი არჩევნები, არსებითად, იქნება რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში თაობათა ცვლის ერთ-ერთი დამამთავრებელი ეტაპი, მას მასობრივი ხასიათი გააჩნია. ახალმა ახალგაზრდა ცვლამ უნდა განსაზღვროს ქართული მეცნიერების სახე უახლოესი 20—25 წლის მანძილზე, შესაძლოა კიდევ უფრო შორეული პერიოდისათვისაც კი. ამიტომ, როგორც ამას გვავალდებს თითოეულ ჩვენგანს ჩემს მიერ ნახსენები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პროტექციონიზმთან ბრძოლის თაობაზე, საჭიროა მთლიანად გამოირიცხოს ვოლუნტარიზმი, პროტექციონიზმი, ნათლიმამობა, სურვილი, ზოგჯერ კი სწრაფვაც — აკადემიაში გაიყვანონ თავისი ხალხი, და ამის მსგავსი მოვლენები, რადგან ამან შეიძლება მიგვიყვანოს მნიშვნელოვან მორალურ და ინტელექტუალურ დანაკლისამდე მეცნიერებაში, რამაც, ამ უკანასკნელის სპეციფიკურობის გამო, შესაძლოა მაშინვე არ იჩინოს თავი და გამოჩნდეს ღრმად გაფესვიანებული 5—10 წლის და ზოგჯერ მეტი დროის გავლის შემდეგ.

4. აკადემიის ფართო შევსებას მოყვა აკადემიის პრეზიდიუმის არჩევნები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წესდების საფუძველზე, რომელიც ამ ნაწილში მთლიანად ემთხვევა 1987 წლის მარტში დამტკიცებულ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წესდებას, უნდა ჩატარდეს ერთდროული არჩევნები უკლებლივ პრეზიდიუმის ყველა წევრისა. იმის გამო, რომ პრეზიდიუმში, გარდა პრეზიდენტისა, ვიცე-პრეზიდენტებისა და აკადემიის აკადემიკოს-მდივნისა, აირჩევიან სამეცნიერო განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნები, პრეზიდიუმის არჩევნებს წინ უნდა უსწრებდეს აკადემიკოს-მდივნების არჩევა განყოფილებათა საერთო კრებებზე.

და ყველაფერი ეს ხდება ისეთ ვითარებაში, როცა აკადემიის პრეზიდიუმის ახლანდელი 20 წევრიდან 13 წევრმა, მათ შორის განყოფილებათა 9 აკადემიკოს-მდივნიდან ექვსმა, დაწესებულ ასაკობრივ ცენზთან დაკავშირებით განცხადება შემოიტანა დაკავებული ადმინისტრაციული თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და უღრმესი მადლიერების გრძნობებით აღვნიშნო, რომ მათ მთელი თავიანთი სიცოცხლე მოახმარეს ქართული საბჭოთა მეცნიერების, ჩვენი ქვეყნის მეცნიერების აქტიურ, თავდადებულ და ნაყოფიერ სამსახურს და ახლაც დიდი პასუხისმგებლობითა და მზრუნველობით ეკიდებიან ქართული საბჭოთა მეცნიერების განვითარების პერსპექტივებს, მის მომავალს, და ვუსურვო მათ კარგი ჯანმრთელობა და შემოქმედებითი დღეგრძელობა.

5. ყველა იმას, ვინც არჩეული იქნება როგორც აკადემიის პრეზიდიუმში, ასევე ინსტიტუტების დირექტორებად, მოუწევს კოლექტივების გაძღოლა და მუშაობა ახალ პირობებში, სახელობრ, ფართო დემოკრატიზაციისა და მართვის ეკონომიკური მეთოდების პირობებში. ამასთან, ურთიერთობა არა მარტო თავიანთ სამეცნიერო კოლექტივებში, არამედ მატერიალური წარმოებისა და სულიერი ცხოვრების სფეროს სხვადასხვა დარგის კოლექტივებთან და მათ ხელმძღვანელებთან, სამეცნიერო ძალების კოორდინირება და კონსოლიდაცია. ახლად არჩეული ხელმძღვანელის ორგანიზატორულ გამოცდილებაზე, ცოდნაზე, სურვილზე, მე ვიტყვი, ტალანტზე იქნება დამოკიდებული სამეცნიერო კოლექტივის არა მარტო მატერიალური კეთილდღეობა, არამედ, რაც მთავარია, მეცნიერების ინტელექტუალური და მწარმოებლური მომავალი, ქართული მეცნიერების ადგილი სამამულო და, აგრეთვე, მსოფლიო მეცნიერებაში.

ამხანაგებო! ორიოდ თვის შემდეგ შედგება XIX საკავშირო პარტიული კონფერენცია. ჩვენი პარტია, მთელი ჩვენი ქვეყანა და მათთან ერთად ქართველი ხალხი, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ემზადებიან ამ მნიშვნელოვანი მოვლენის ღირსეული შეხვედრისათვის. ღირსეული შეხვედრისათვის ემზადება, აგრეთვე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივი. დღევანდელი წლიური კრება ამის ნათელი დადასტურებაა, მაგრამ კიდევ უკეთესი დადასტურება იქნება ჩვენი საქმიანობის შედეგები.



აბაღამიძის ა. ფროლოვის გამოსვლა (სტენოგრაფიული ჩანაწერი)

მე დიდ სიამოვნებას მანიჭებს გამოსვლა თქვენს წინაშე, ზოგიერთი შთაბეჭდილების გაზიარება იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც ჩვენ ვეწვეით უკვე თითქმის მთელი წლის, ხოლო ზუსტად, უფრო აქტიურად უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში. გასული წლის მაის-ივნისიდან ჩვენ გადავწყვიტეთ უფრო სერიოზულად, საფუძვლიანად დაგვეჩვენა, თუ როგორ მუშაობს თქვენი აკადემია და არა მარტო იმასთან დაკავშირებით, რომ ახლა საჭიროა ყველა ერთმანეთისაგან ესწავლობდეთ და არა მარტო იმის გამო, რომ ახლა, როგორც თქვენთვის ცნობილია, დიდი გარდაქმნებია ჩვენთან, დიდ აკადემიაში, მაგრამ უმთავრესად კიდევ იმიტომ, რომ დღეისათვის ჩვენმა რესპუბლიკურმა აკადემიებმა, რესპუბლიკებმა საერთოდ შეტად მძალ პოტენციალს მიაღწიეს. თუ წინათ, როგორც წესი, უმადლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება წარმოებდა ისეთ მეცნიერულ ცენტრებში, როგორცაა მოსკოვი, ლენინგრადი და სხვა ქალაქები, ახლა ყოველ რესპუბლიკაში და აქ თქვენთანაც არსებობს საკუთარი კადრების მომზადების მძლავრი სისტემა, შესანიშნავი უნივერსიტეტი, ძლიერი პოლიტექნიკური ინსტიტუტი, გაქვთ საკუთარი ასპირანტურა, შესაძლებლობები იმისა, რომ ვითარდებოდნენ



საკუთარი მიმართულებები იმის გადმოუღებლად, წაბაძვის გარეშე, ხელისუფლებას ნურად გაუმეორებლად იმისა, რაც კეთდება სხვა სამეცნიერო ცენტრებში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ასეთი რამ ხდება ჩვენს მრავალ რესპუბლიკურ აკადემიაში.

და აი, ამასთან დაკავშირებით რისი თქმა მსურს. მე არ ვიცი, როგორ უფრო მოხერხებულია — ჯერ სასიამოვნოს თქმა, ხოლო შემდეგ არასასიამოვნოსი, თუ პირიქით?

სმები — არასასიამოვნოსი.

სასიამოვნო უკეთესია ბოლოს, ხომ? კარგი, შევთანხმდით, დემოკრატიზაციისა და გარდაქმნის პირობებში მე უნდა გავითვალისწინო თქვენი სურვილი.

აი, პირველი, რაც საჭიროა ითქვას. თქვენი აკადემია ერთ-ერთი უძველესი რესპუბლიკური აკადემიაა და, რა თქმა უნდა, მან განიცადა სხვადასხვა ეტაპები, პერიოდები და ჩვენ ყველა ვიცნობთ იმ უდიდეს მიღწევებს, რომლებიც მოპოვებულია თქვენი აკადემიის მეცნიერთა მიერ, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში; მე მხედველობაში მაქვს ისტორია, სხვა მიმართულებანი, რომლებიც თქვენთან ტრადიციულად ვითარდება, კლასიკური საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა, ფიზიკა. მე არ ვასახელებ მუსხელიშვილს, ვეკუას. თქვენი ყველა მათ კარგად იცნობთ. ესაა ადამიანები, რომელთაც 'მოიპოვეს საყოველთაო აღიარება. ძალიან ბევრი საინტერესო სამუშაო შესრულდა თქვენთან ბიოლოგიის, ნეიროფიზიოლოგიის, გამოყენებითი მედიცინის დარგებში, რიგი სხვა ორიგინალური კვლევა, რომელთაც თქვენ ჩემზე უკეთ იცნობთ.

და აი, ამ ფონზე უნდა შევხედოთ, თუ დღეს როგორ — თანამედროვე დონეზე თუ არა, მუშაობს მეცნიერთა კოლექტივი, რომელსაც საერთოდ დიდი საქმე აქვს მინდობილი. უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ იგრძნობა თვით აკადემიის რადიკალური კარნაკეტილობა თავის თავში. მე ეს თვალსაზრისი გამოვთქვი პრეზიდენტის გაფართოებულ სტრომაზე, ვიმსჯელოთ მის შესახებ. შეიძლება მე როგორღაც არა ვარ მართალი, მაგრამ მეორე მხრივ, საკვირველია ამასთან დაკავშირებული ავტონომიურობა, ლოკალიზაცია და ძალთა დაქსაქსულობა, ამის შესახებ ჩვენ ვლაპარაკობთ ყოველთვის, ეს გახდა ბანალური, ტრივიალური; ჩვენ ყოველთვის აღვნიშნავთ, რომ კვლევები სრულდება მრავალ თემაზე მცირე ძალებით, სუსტია მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული ბაზა. ყოველივემ ამან უკვე ყველას მოაბეზრა თავი.

მოდით, ჩვენ საკითხი განვიხილოთ სხვაგვარად. რა გაკეთდა ამის დასაძლევად? და არის თუ არა რაღაც ცდები მაინც ამ მიმართულებით? რაღაც ნაბიჯები, მოთხოვნები თქვენი მთავრობისა, თქვენი ცენტრალური კომიტეტისა, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისა, და აი, როცა იწყებენ ამ კვლევას, აღმოჩნდება, რომ, სამწუხაროდ, არა ყველაზე, რა თქმა უნდა, მაგრამ ხშირად ასეთი ამოცანები არ ყოფილა დასმული. შემდეგ, თვით გაერთიანება ძალებისა საკუთრივ აკადემიაში სარასაკმარისია. მე მხედველობაში მაქვს, ვთქვათ, ინსტიტუტები. რომლებიც აწარმოებენ კვლევებს საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებში. ამის შესახებ მე მოგვიანებით კიდევ ვიტყვი რამდენიმე სიტყვას.

შემდეგ, აკადემიის კავშირი უმაღლეს სასწავლებლებთან. ამის შესახებ ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ, მუდმივად ბევრს ვლაპარაკობთ რადიკალური ზომების მიღების აუცილებლობის შესახებ. ვიწყებთ ძებნას ისეთი რესპუბლიკური მსხვილი პროგრამისა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მეცნიერება-



თა აკადემიის, უმაღლესი სკოლისა და მრეწველობის სწავლულები. ეთქვა ერთი პროგრამა არსებობს, მაგრამ განსაკუთრებული აქტიურობა არ ჩანს, ხოლო აქედან, რა თქმა უნდა, ხდება დაქსაქსულობა, აქედანვე — სუსტი მატერიალური ბაზა, რადგან დღეს ასე ვმუშაობა არ შეიძლება. ე. ი. ვმუშაობთ ძველი მეთოდებით, ხოლო შესაძლებლობანი კი გავვიხდა ახალი: გაიზარდა ძლიერი კადრები, არის კარგი ინტელექტუალური პოტენციალი, ხოლო ისეთი პროგრამა, რომელიც მოგვცემდა საშუალებას გვეჩინოდა ცენტრი ერთი მიმართულებით, მაგალითად, გეოლოგიის, ან სეისმომედევობისა და სეისმოლოგიის. ან განსაზღვრული პროგრამა ეკონომიკის დარგში, დაკავშირებული ეკონომიკურ რეფორმასთან, რომელსაც დღეს ჩვენ ყველანი პრაქტიკულად უნდა ვითვისებდეთ, აი ასეთი პროგრამები, სამწუხაროდ, არა გვაქვს.

შემდეგ. ბევრს ლაპარაკობენ და დღეს ეს მოხსენებებშიც გაისმა, რომ არ გვაქვს გამოთვლითი ტექნიკა, რომ სუსტია აკადემიის უზრუნველყოფა. ეს სწორია და ჭეშმარიტებაა და საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობა. მაგრამ თქვენ თითონ განსაჯეთ, რომელი კონკრეტული პროგრამები სრულდება ამ გამოთვლითი ტექნიკის დახმარებით, რომლებითაც დაინტერესებულია მრეწველობა, წარმოება; როგორ წყდება ზოგიერთი მეტად აქტუალური ადგილობრივი რეგიონული ამოცანა. მაგალითად, ვთქვათ, ჩაის პრობლემა. მე ზაფხულში ვიყავი სოხუმის სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტში. თქვენ ნახეთ რამდენი აქვთ მათ გაკეთებული ჩაის გადამამუშავების დარგში. ახალი ტექნოლოგიის დარგში. იქ ამ ინსტიტუტს ეხმარება მეზობელი, ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტი. შემდეგ, რაღაც კეთდება თბილისში, შემდეგ არსებობს პროგრამა „ჩაი“, რომლის მიხედვით მუშაობენ სამრეწველო საწარმოები. მაგრამ ვინ, როდის მოისმინა ეს პროგრამა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმზე, როგორ არის ის საერთოდ უზრუნველყოფილი? ვინ მოითხოვა ამ პროგრამისათვის იგივე კომპიუტერები? არა გვაქვს ეს ჩვენ.

შემდეგ. ბაზის განვითარების საკითხი, მატერიალური ბაზის და უზრუნველყოფა არა მარტო, რა თქმა უნდა, ხელსაწყოებით, მოწყობილობით, არამედ, პირველ რიგში, მშენებლობითაც. უნდა გვეჩინოს თითოეული ინსტიტუტის განვითარების პროექტი 2000 წლამდე, მაგრამ არა მხოლოდ „მოგვეცით კორპუსი“, „მოგვეცით დამატებითი ფართობი“, „მოგვეცით დამატებითი შტატები“, „მოგვეცით 100 ახალი კომპიუტერი“, არამედ ისიც, თუ რას ვაკეთებთ ინსტიტუტი, როგორ გარდაიქმნება ის არსებითად, თემატურად, პრობლემურად, ე. ი. რას მოგვეცემს ინსტიტუტი.

ხოლო ამისგან კი შედგება მთელი აკადემიის განვითარების პროექტი. როგორი ურთიერთქმედება იქნება ზანყოფილებებს შორის, ჩვენ ვთხოვლობთ მოგვეცეთ აკადემიის პროექტი 2000 წლისათვის. სამწუხაროდ, ასეთი პროექტი არ არის; ამბობენ, ჩვენ ხომ მოგწერეთ. მოდით, გავუზიაროთ ერთმანეთს აზრი, შეიძლება მე აქ ბევრი რამ არ ვიცი, მაგრამ მე მექმნება შთაბეჭდილება, რომ ზოგჯერ ჩვენ ვეჩვევით მას, რომ ყოველივე უნაყოფოა, ვალუტას არ გამოგვიყოფენ, ეს არ გამოვა და ასე შემდეგ და ვმუშაობთ პასიურად ამ მიმართულებით. და რამდენადმე ამ მიხვევას იმ კალაპოტისადმი, რომელშიაც ჩვენ ვმუშაობთ მიყვებათ იქამდე, რომ ამას ყველა ეჩვევა. ხელმძღვანელობაც, პრეზიდიუმიც და ასე შემდეგ. სწორედ ეს უნდა შევცვალოთ ჩვენ, დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი. განაცხადები ახალ მოწყობილობაზე, მთელი აკადემიის განვითარების პროექტი რესპუბლიკის მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა იყოს უკიდურესად ზუსტი.

შემდეგ. მე მომეწონა გუშინ ჩვენი მსჯელობა პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე. იგი იყო ორმხრივი. კრიტიკა ჰქონდა ისეთი რამაა, როგორც



ჩოგბურთის თამაში: რა სიჩქარითაც ესხმათ თქვენ სხვას, იმავე სიჩქარით იღებთ საპასუხო რეაქციას. სწორად იყო გაკრიტიკებული პრეზიდენტი, რამდენი მიღწევაა, საინტერესო გამოკვლევა და სამუშაოა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში, საზოგადოებათმცოდნეობაში. მე ვიკითხე, შონაწილეობდნენ თუ არა თქვენი მეცნიერები სრულიად საქვეშრო კონფერენციაში პრობლემებზე: „ადამიანი — გარემო“, ფილოსოფიურ კონფერენციაში, რომელიც ჩატარდა მოსკოვში. გამოირკვა, რომ მოწვევაც კი არ მიუღია არავის. ეს შეშავს, რომ სუსტია კავშირი პრეზიდენტთან, აკადემიასთან მეცნიერების დარგში, ჩვენს ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოებთან და, როგორც ჩანს, არა მარტო საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, გვაიძულებს ჩვენ ძალიან სერიოზულად დავფიქრდეთ, თუ როგორ მოვაგვაროთ ეს საქმე. ჩვენ უნდა ვმუშაობდეთ დიდი, ერთიანი, მიზნობრივი პროგრამებით, რომლებიც კარგად ფინანსდება და სერიოზულად მოწმდება; მათზე დგება სერიოზული ანგარიში, მათზე მუშაობაა საჭირო, მაგრამ მათი უზრუნველყოფაც შეიძლება, ყველაფერი სავსებით ბუნებრივია. ალბათ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ ჩვენმა განყოფილებებმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ უშუალოდ უხელმძღვანელონ მოხსენებების მოსმენას ყოველწლიურად; არა მარტო შეიქმნას მოკლე ცნობარი, რომელშიაც აღინიშნება რამდენი და როგორი თემა შესრულდა, ესეც აგრეთვე საჭირო სტატისტიკაა, მაგრამ მცირედ ინფორმაციული, ხოლო არსებითად სრულებითაც არაა სავალდებულო. რა თქმა უნდა, მოსკოვში ჩასვლა მოხსენებით ზოგჯერ დაკავშირებულია სირთულესთან, მაგრამ შეიძლება აქ ჩამოსვლა მთელი განყოფილებისა, ადგილზე გაცნობა. საერთოდ ჩვენ აქ უნდა მოვნახოთ ურთიერთქმედების გზები.

შემდეგ. ურთიერთქმედების არასაკმარისობა თვით აკადემიაში და მრეწველობასთან, უმაღლეს სასწავლებლებთან აქ, რესპუბლიკაში, ურთიერთქმედების არასაკმარისობა ღიდ აკადემიასთან ძალიან ბევრ რამეზე ახდენს გავლენას.

შემდეგ. როგორ გვაქვს საქმე რესპუბლიკურ აკადემიებს შორის სამუშაოთა კოორდინაციაში? სანწყხნაროდ, ჩემი თვალსაზრისით, ეს პროცესი ორგანიზებულია საკვირველად ცუდად. თითოეული რესპუბლიკური აკადემია ცდილობს დაამყაროს პირდაპირი კავშირები მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის რომელიღაც ინსტიტუტთან, ზოგჯერ მონაწილეობა მიიღოს რაღაც პროგრამებში, ხოლო ურთიერთშორის კი, ე. ი., ვთქვათ ლიტვისა და საქართველოს აკადემიებს შორის, შეიძლება დამყარებული იყოს მხოლოდ პირადი კერძო კონტაქტები, მაშინ როცა იმავე ლიტვაში ასე ბევრია გაკეთებული, ვთქვათ, ეკოლოგიის დარგში. აქ იმდენია გაკეთებული, რამაც შეიძლება დაინტერესოს სპეციალისტები, ვთქვათ, ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიიდან. არ გვაქვს ჩვენ ასეთი სერიოზული პროგრამები, არავინ ფიქრობს მათზე, არავის არ ჩამოუყალიბებია ისინი. მოსკოვთან რაღაც კონტაქტებია იმიტომ, რომ იგი განსაზღვრავს დაფინანსებას, ანაწილებს რაღაც შესაძლებლობებს, ხოლო რესპუბლიკურ აკადემიებს შორის ასეთ ურთიერთქმედებას ადგილი არა აქვს.

შემდეგ. მე მგონია დიდი დანაკარგია ის, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, მიუხედავად მისი პოტენციალისა, პრაქტიკულად არ მონაწილეობს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომპლექსურ პროგრამებში ხუთი პრიორიტეტული მიმართულებით. რა თქმა უნდა, ეს საყვედური გეკუთვნით არა თქვენ, არამედ ჩვენ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, მოსკოვს, მეცნიერებისა და ტექნიკის

კომიტეტს. მაგრამ თქვენც რომ გამოგჩინათ მეტი აქტიურობა და დროულად მოგემართათ ჩვენთვის, შეიძლებოდა ამის გამოსწორება, თუმცა ახლაც არ არის გვიან და მე სპეციალურად გავამახვილებ ყურადღებას ამ საკითხზე. ხდება ამ პროგრამების შეცვლა და აუცილებელია, რომ თქვენი ინსტიტუტები აქტიურად ჩაერთონ ამ პროგრამების შესრულებაში. ესაა პრაქტიკული მნიშვნელობის საქმე, ესაა პოლიტიკური მნიშვნელობის საქმე, ესაა სახელმწიფო პოლიტიკის საკითხი. ჩვენ უბრალოდ ვალდებული ვართ ვავსებდეთ ერთმანეთს, ხოლო აქედან გამომდინარეობს ძალიან ბევრი შედეგი. აი, თქვენი ინსტიტუტები რომ აქტიურად მონაწილეობდნენ ელექტრონიზაციისა და ავტომატიზაციის კომპლექსურ პროგრამაში, თქვენ გექნებოდათ კომპიუტერები მისაწვდომი ფასით, არ იქნებოდა საჭირო პირველი კატეგორიის ვალუტა, გექნებოდათ ის, რაც კეთდება უნგრეთში, ის, რაც ახლა აითვისეს ბულგარელებმა იაპონური მაკომპლექტებელი ნაწილების გამოყენებით; თქვენი ახალგაზრდები შეუფერხებლად გაიგზავნებოდნენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებში, ერთი-ორი დღის განმავლობაში ასეთ საკითხს გადაწყვეტდა დირექტორი, მოიხსნებოდა ყველა ბიუროკრატიული დაბრკოლება. აქედანვე გამომდინარეობს, რომ თქვენ მიიღებდით ინფორმაციას პირველი წყაროებიდან ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებში, როგორცაა ავტომატიზაცია, ახალი მასალები და ტექნოლოგიები, ატომური ენერგეტიკა და ბიოტექნოლოგია. აი, ხუთი მსხვილი მიმართულება. ახლა საჭიროა, ამის შესახებ ჩვენ გექონდა საუბარი პრეზიდენტთან, თქვენს კოლეგებთან პრეზიდენტის ვაფართოებულ სხდომაზე, გადაუდებლად ჩაერთოთ ამ პროცესში და დაუყოვნებლივ გამოასწოროთ შექმნილი ნდგომარეობა.

შემდეგ, საკითხები, დაკავშირებული თქვენს პოლიგრაფიულ ბაზასთან, ის, რა თქმა უნდა, ნამდვილად, როგორც აქ აღინიშნა, საჭიროებს მეტად რადიკალურ გარდაქმნას, მაგრამ ამისათვისაც საჭიროა სერიოზული პროექტი ან, უკიდურეს შემთხვევაში, საპროექტო დავალება. ისე ამ ტრიბუნიდან მოთხოვნილი — მოგვეცით ახალი მანქანები, მოგვეცით პოლიგრაფია, მრგვეციით ყველაფერი — უსარგებლოა. საჭიროა განსაზღვრულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების განვითარებისა და შევსების თანამიმდევრული ეტაპები, რა უნდა გაკეთდეს მეცნიერებათა აკადემიის სახსრებით, რა უნდა გაკეთდეს რესპუბლიკის ფონდების ხარჯზე, რა უნდა გაკეთდეს ცენტრალიზებულად და რა მიზნით, ამოცანით და პროგრამით. სხვაგვარად დიდ დროს დავხარჯავთ უნაყოფოდ იმაზე მსჯელობით, რომ მეცნიერებათა აკადემიის პოლიგრაფიული ბაზა არადაამაყაყოფილებელია. უნდა დამუშავდეს ასეთი ბაზის განვითარების პროექტი.

ბოლოს მსურს რამდენიმე სიტყვა ტექნიკურ მეცნიერებათა შესახებ, განსაკუთრებით მინდა გამოვეყო ეს საკითხი. თქვენ გაქვთ პოლიტექნიკური ინსტიტუტი. რამდენი სტუდენტი სწავლობს? 27000, აკადემიკოსი ლოლამე აქაა? გუშინ მე ვიყავი ამ ინსტიტუტში, დაახლოებით 30000 სტუდენტია. ჩავფიქრდეთ ამის შესახებ. ეს ისეთი პოტენციალია მომავალი აკადემიკოსებისა, რომელთაც შეეძლება ჰქმნარიტად განავითარონ საქმე. მაგრამ რა გამოდის? თქვენი აკადემიის ინსტიტუტები, რა თქმა უნდა, ეწვევიან სერიოზულ საქმიანობას, აი, მაგალითად, სამთო მექანიკის, სეისმომედეგობის, მანქანათა მექანიკის ინსტიტუტები მისდევენ მექანიკის კვლევას, ასრულებენ კარგ კვლევებს, მაგრამ ეს ყოველივე წვრილმანია. არ არსებობს სერიოზული, ღრმა პროექტები და პროგრამები. გასაგები იქნებოდა, რომ, მაგალითად, საქართველოს აკადემიას ეკისრა ეკოლოგიურად სუფთა ძრავის შექმნა ან ენერჯის ახალი წყაროების დამუშავება, ან არალითონების ჯგუფის ახალი მასალების შექმნა, ან საიმედოობის გაზრდა, ან გაანგარიშებათა დონის სრულყო-



და, ან ჩაის წარმოებისათვის ახალი ტექნიკის შექმნა. თქვენთან კი ეს ინსტიტუტები მუშაობენ ისე, როგორც ძალიან მცირე კათედრები; აქვთ ვილაცასთან ხელშეკრულება, იღებენ რაღაც დავალებებს. საერთოდ საქმიანობის ეს მხარე სერიოზულად უნდა გარდაიქმნას, მე არ ვიცი, მოდით ერთად ვიფიქროთ ამაზე, რა თქმა უნდა, ასეთი ინსტიტუტებისათვის საჭირო იქნება უპირველეს ყოვლისა ბაზა, საკუთარი სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო და საცდელი წარმოება. ხოლო იქნებ საჭირო იყოს ერთი-ორი ინსტიტუტის შემცირება და ამ სახსრების ხარჯზე კარგი ექსპერიმენტული საცდელი წარმოების შექმნა საკონსტრუქტორო ბიუროთურთ.

შემდეგ. მე მგონია საჭიროა 2—3 კარგი პროექტის შედგენა რესპუბლიკისათვის. მე შემოგთავაზებდით, მაგალითად, პრეციზულ ხელსაწყოთმშენებლობას, რაც კარგად მიესადაგება თქვენი ინსტიტუტებისა და სპეციალისტების საქმიანობას. პირველ რიგში, ესაა მეტროლოგიის პრობლემები, წმინდა, ზუსტი მეტროლოგიისა, მეტროლოგიური კვლევები მანქანათმშენებლობისათვის, ხელსაწყოთმშენებლობისათვის გადამწოდების სპეციალური სისტემებით, ფიზიკის პრინციპების გამოყენებით, ლაზერული მეთოდებით, კომპიუტერების გამოყენებით ამ ინფორმაციის დასამუშავებლად. საერთოდ ეს საკითხი მეტად საჭიროა ქვეყნისათვის, ამის საფუძველზე მეტროლოგიური ხელსაწყოების შექმნა. ელემენტები იმისათვის, რომ განვითარდეს ეს საქმე, თქვენ გაქვთ. არის რესპუბლიკაში კარგი სამრეწველო ინსტიტუტები, მაგრამ ისინი გამიჯნული არიან ერთმანეთისაგან: არა აქვთ ერთიანი მიზანი, ერთიანი პროგრამა.

მეორე საკითხი ხელსაწყოთმშენებლობის დარგიდან. ესაა ეკოლოგიური ხელსაწყოთმშენებლობა გარემოს შესწავლის მიზნით, იმისათვის, რომ სერიოზულად შევისწავლოთ თუ რით ვსუნთქავთ, რას ვსვამთ, რაში ვცურავთ. ჩვენ ყველაფერი ეს უნდა ვიცოდეთ და შეგვეძლოს ვაზომოთ — რა გაიზომოს, სად, როდის, რა დროს. ესაა მეცნიერული საკითხები, ღრმა, სერიოზული. შემდეგ. ხელსაწყოთმშენებლობა შედიცინის მიზნებისათვის. აკადემიკოსმა ი. გულიაევმა გუშინ აქ გააკეთა მოხსენება ამ თემაზე. ბევრი რამ არის გაკეთებული, რათა მეცნიერების მიღწევები მიმართულ იქნეს ადამიანის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის გაუმჯობესებისაკენ. მე მგონია, რომ უნდა დავფიქრდეთ სეისმომდეგობის პროექტის, უნდა დავფიქრდეთ ჩაის პროგრამის ან პროექტის შედგენის თაობაზე. მე უკვე აღვნიშნე ჩაის გადამუშავების, უნარჩუნო ტექნოლოგიის, ამ მიმართულებით დამატებითი გადაწყვეტილებების შესახებ.

ბოლოს რამდენიმე სიტყვა უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადების შესახებ. პირველი, ჩვენ გავაჩნია შესაძლებლობანი და მოდით, გამოვიყენოთ ისინი ფართოდ. უპირველეს ყოვლისა, ესაა თქვენი ახალგაზრდა მეცნიერთა ხანგრძლივი სტაჟირება იმ შეთანხმების საფუძველზე, რომელიც აქვს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას შეერთებულ შტატებთან, ნაციონალურ მეცნიერებათა აკადემიასთან, ინდოეთის ინჟინერ-მექანიკოსთა საზოგადოებასთან. ახლა მეტად ფართოდ იშლება ეს სამუშაოები. შეერთებული შტატების ლაბორატორიებში ახალგაზრდა მეცნიერთა ხანგრძლივი მივლინებანი, რა თქმა უნდა, დაეხმარება მათ მეცნიერული დონის ამაღლებაში, მსოფლმხედველობის განვითარებასა და გაღრმავებაში, ე. ი. არსებითად კვალიფიკაციის ამაღლებაში. შემდეგ. მე მგონია, რომ კადრების მომზადებისათვის უნდა გამოვიყენოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამები, გავავაზონოთ ახალგაზრდა მეცნიერები ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებში ხანგრძლივ სტაჟირებაზე, ან თუნდაც სამუ-

შოდ. ეს ყოველივე რეალურია, ეს არ მოითხოვს დიდ მატერიალურ ხარჯებს, დიდ დროს, მაგრამ ეს ხელს შეუწყობს უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების სწრაფ მომზადებას და, რაც მთავარია, ვაქნებით იმ მოვლენათა კურსში, რომლებიც ხდება მეცნიერულ სამყაროში.

შემდეგ. დაუყოვნებლივ უნდა გადავხედოთ მეცნიერებათა აკადემიის მთელს პოტენციალს ძალთა გაერთიანების მიზნით, რათა უქმად არ ჩაიაროს მთელი ჩვენი მეცნიერთა ჯგუფის, თუ ბრიგადის მიერ გაწეულმა მუშაობამ. ჩვენ კიდევ დაახლოებით ერთ თვეს ვიმუშავებთ ჩვენი დასკვნის საბოლოოდ ჩამოყალიბებაზე. მე მსჯობს, რომ ჩვენ ურთიერთს გავუზიაროთ აზრი ამ საკითხებზე. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ პრეზიდენტმა ერთ-ერთ სახდომაზე თანამიმდევრულად განიხილოს 2—3 ინსტიტუტის საქმიანობა და მათ მაგალითზე დაადგინოს, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ძალთა კონცენტრაცია. ავიღოთ, მაგალითად, გეოლოგიის ინსტიტუტი. იქ, უხეშად რომ ვთქვათ, თითო თანამშრომელზე თითო თემა მოდის, 39 თემაა ერთ ინსტიტუტში. ეს, რა თქმა უნდა, არასერიოზულია, ე. ი. თითოეული თანამშრომელი ირჩევს თავისთვის რაღაც პირობითი დასახელების თემას და სათანადოდ ვერ წყვეტს დიდ ამოცანას. მაგრამ ასე რომ მართო ამ ინსტიტუტში იყოს. ეს ყველას შეეხება. ეს ისეთი საქმეა, რომელსაც ჩვენ ერთი ჩამოსვლით, ვერავითარი ანალიზით ვერ გადაწყვეტთ. ამისათვის საჭიროა თქვენი ყოველდღიური მუდმივი რუდუნებითი მუშაობა, ხოლო ჩვენ დავსახავთ ვადას, ვთქვათ, ნახევარ წელიწადს, ნახევარი წლის შემდეგ კი კვლავ ვნახავთ, თუ როგორ ვითარდება აქ საქმეები.

შემდეგ. ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან ურთიერთობაზე ვილაპარაკეთ. ახლა ვნახოთ როგორი ურთიერთქმედება გვაქვს უმაღლეს სკოლასთან, უნივერსიტეტთან, პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან. ალბათ, აკადემიის წევრთა უმრავლესობა მუშაობენ პროფესორებად, კითხულობენ ლექციებს, მაგრამ თვით სტუდენტები, და არა მარტო უფროსი კურსებისა, არამედ უმცროსი კურსებისა. თუ მუშაობენ თქვენი ინსტიტუტების ლაბორატორიებში? მუშაობენ? დიახ, ეს მეტად მნიშვნელოვანია. მეორე, როგორია საკონკურსო შერჩევის სისტემა? მე მომეწონა თუ როგორ არის საქმე დაყენებული მათემატიკასა და ფიზიკაში. ჩვენ ახლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმის გადაწყვეტილებანი კადრების მომზადების შესახებ უნდა ადვილვით არა ფორმალურად, არამედ კონკრეტულად, რეალურად. აი, ტარდება ოლიმპიადები მათემატიკაში. ფიზიკაში, შეირჩევა ნიჭიერი ბავშვები, გამარჯვებულნი. და რა ბიდი ეწევა შემდეგ მათ? სად მიდიან ისინი? შემდეგ, უმაღლეს სკოლას აკადემიის ინსტიტუტებთან შედარებით გააჩნია უპირატესობანი. ხუთი თუ ექვსი წლის განმავლობაში მასწავლებლები თვალს ადევნებენ ახალგაზრდებს, შემდეგ ყველაზე უფრო ნიჭიერებს იღებენ ასპირანტურაში. საკმაოდ სწრაფად ისინი იქცევიან მეცნიერებათა კანდიდატებად, თუმცა თავიანთი შესაძლებლობებით შეიძლება გამხდარიყვნენ დოქტორები, მსხვილი მკვლევარები, დიდი მეცნიერები. ჩვენ კი მათ ხშირად ვუსაბოთ ამ შესაძლებლობას. რატომ? იმიტომ, რომ ისინი არ შედიან აკადემიის ინსტიტუტების ასპირანტურაში. კონკურსი დაეცა, აი მე დავინტერესდი ამით. იქნებ ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ თვალყური ვაუდევროთ ახალგაზრდებს დაწყებული II—III კურსიდან, ჩავრთოთ ისინი რეალურ კვლევებში. ვანდოთ მათ მუშაობა არა მარტო სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში, მშენებლობასა და ბოსტნეულის ბაზებზე, არამედ ჩვენთანაც, ლაბორატორიებში, რა დასამალია და ჩვენ მათ იქ არ ვუშვებთ. მე მომეწონა ერთ-ერთი საკითხის გადაწყვეტა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მათ აქვთ მეტად ფაქიზი მოწყობილობა, ელექტრონული მიკროსკოპები, რომ-



ლებზედაც ტარდება სერიოზული კვლევები, სწორედ ამ მიზნითაა შეიქმნილი, მაგრამ ამავე დროს მათზე მუშაობის საშუალება ეძლევათ სტუდენტებსაც. საჭიროა მოვიფიქროთ თუ როგორ გავაერთიანოთ არსებითად უმადლესი სკოლისა და აკადემიური ინსტიტუტების მეცადინეობა ამ მხრივ. საკითხი მარტივი არ არის, ერთბაშად მას ვერ გადაწყვეტთ, მაგრამ, თუ ჩვენ გვსურს მეცნიერებათა აკადემიის გაახალგაზრდაება, ამის გაკეთება აუცილებელია. არავინ ჩვენთან არ მოვა არც სხვა რესპუბლიკიდან, არც სხვა ქალაქიდან.

დაბოლოს, მსურს გითხრათ იმის შესახებ, რაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ესაა ახალი მიღგომები ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერების დარგებში. აქ გვაქვს საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერული სკოლები, მაგრამ მნიშვნელოვანი მეცნიერული შენაძინი გვაქვს თანამედროვე ფიზიკაშიც. მე მსურს ჰაზი გავუსვა, რომ გამოყენებითი ელექტროქიმიის, კერძოდ მანგანუმის და მისი შენადნობების ელექტროქიმიის განვითარებაში თქვენმა მეცნიერებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს. თუმცა ამ სამუშაოთა საფუძველზე გაცილებით მეტი დანერგვები შეიძლება განხორციელებულიყო. აქ მრავალი სიძნელეა, მაგრამ, როგორც ჩანს, თვით მეცნიერებათა აკადემიასაც უნდა გამოეჩინა მეტი სიბეჯითე. კარგი გამოკვლევები წარმოებს მთელი რიგი მიმართულებით. მეტი ყურადღება ესაჭიროება სოფლის მეურნეობის მეცნიერებას. აქ საჭიროა კვლევათა გაღრმავება, ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხის გადაწყვეტა. ამ საკითხზე კამათი გექონდა პრეზიდენტის გაფართოებულ სხდომაზე და აქ საქმე მარტო ბოტანიკურ ბაღებამდე არ დაიყვანება, ბაღებს კი დახმარება ესაჭიროებათ. ჩვენ ეს უნდა ჩააწეროთ გადაწყვეტილებებში, შეიძლება ჩვენი საერთო კრების გადაწყვეტილებაშიც. მე მხედველობაში მაქვს სოხუმისა და ბათუმის ბოტანიკური ბაღები. საერთოდ კი უნდა მოვიფიქროთ თუ როგორ გაფართოვდეს კვლევები სოფლის მეურნეობის მეცნიერებაში. თქვენ ეს ყველამ კარგად იცით და მე არ მინდა ამ საკითხის შესახებ მეტი დრო წაგართვათ.

მეტად საინტერესო სამუშაოები წარმოებს ქართული ლიტერატურის, ხელნაწერთა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტებში, მათემატიკასა და ფიზიკაში. მათემატიკაში სრულდება სერიოზული კვლევები, რომელთაც ატარებენ უშუალოდ ქართველი მეცნიერები. ისინი მეტად დიდ და სასარგებლო სამუშაოს ასრულებენ. ეს ჩვენ უნდა გამოვიყენოთ როგორც მაგალითი მოსკოვისთვისაც. მათ უნდა წაბადონ სხვა ჩვენმა სამეცნიერო აკადემიურმა ცენტრებმა და სხვა რესპუბლიკებმა, რადგან აქ ჩატარებულია ჭეშმარიტად დიდი მუშაობა მათემატიკური ოლიმპიადების მოსაწყობად, აკადემიური გამოცდილების სკოლაში ვადსატანად. მაგრამ როდესაც უყურებ რა მიღგომარეობაა სხვა მეცნიერებებში, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში, იქ სხვა სურათია. სამწუხაროდ, ჩვენ როგორღაც ტრადიციულად მივეჩვიეთ, რომ მათემატიკაში ვავლენთ ინტელექტს, სხვა მეცნიერებებში კი არა. ჩვეულებრივად მათემატიკის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი მეტად სუსტია ენათმეცნიერებაში, საზოგადოებრივ მეცნიერებებში. ასე ჰყოფს ბუნება ადამიანებს და, პირიქით. ამგვარად საჭიროა მოვიფიქროთ მოსწავლეთა ოლიმპიადების ჩატარების სისტემა სხვა დისპცილინებშიც მეცნიერებათა აკადემიის უგედით, შევქმნათ ნაშრომები, რომლებიც მისაწვდომი იქნება სკოლებისათვის. ახლა, მე კიდევ ვიმეორებ, ეს ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ჩვენთვის.

ფიზიკის დარგში განვითარდა ახალი მიმართულება. ესაა სპირალური სტრუქტურის თხევადი კრისტალები ინფორმაციის ასახვის სისტემებისათვის. ეს თანამედროვე, საინტერესო მიმართულებაა.

საინტერესოა პრიორიტეტული მიმართულება დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებათა დარგში — კავკასიის რეგიონის მიწისძვრათა გრძელვადიანი პროგნოზის მეთოდის დამუშავება. მაგრამ აქაც სუსტადაა გაერთიანებული ყველა ინსტიტუტის ძალები. ინფორმაციის გაცვლა უმთავრესად ხდება დისერტაციების დაცვისას, ავტორეფერატების დაგზავნით, მაგრამ არ არსებობს ისეთი პროგრამა, სადაც შეიძლება გაერთიანდეს ამიერკავკასიის მთელი სამეცნიერო ძალები რეგიონისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი მიმართულებით. სამწუხაროდ, ასეთი პროგრამა და ამ კვლევათა განვითარების პროექტი არ არსებობს.

გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების დარგის შესახებ მე უკვე აღვნიშნე, რომ აქ საქმე რადიკალურ ცვლილებებსა და ყოველივეს გადახედვას საჭიროებს, რაც რესპუბლიკაში ტექნიკურ მეცნიერებაში კეთდება. სიტყვამ მოიტანა და აქვე შეიძლება მოვიხსენიოთ კვლევები ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის დარგში, განსაკუთრებით კი ელექტროქიმიური პროცესების კვლევები. აქ მრავალი რამ არის საინტერესო, მაგრამ ეს სამუშაოები ცუდად არის დაკავშირებული ინსტიტუტებთან, რომლებიც მანქანათმშობლების პრობლემებს იკვლევენ, კერძოდ, მანქანათა მექანიკის ინსტიტუტთან. ეს ინსტიტუტი ამუშავებს ზედაპირის განმტკიცების თავის მეთოდებს. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში წყდება მრავალი მეტად საინტერესო ამოცანა ზედაპირის განმტკიცებისა საკუთარი მეთოდებით. ერთიანი პროგრამა მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით ამ მიმართულებით აგრეთვე არ არსებობს. ეს საჭიროა გაკეთდეს.

ბიოლოგიის დარგში უმნიშვნელოვანეს შედეგად, მე მგონია, უნდა ჩაითვალოს საქართველოს ფლორის მრავალტომიანი ნაშრომის გამოცემა. ეს მეტად საინტერესო სამუშაოა. პრიორიტეტული მიმართულებებიდან უნდა გამოვყოთ სსრ კავშირის მაღალმთიანეთის მცენარეული რესურსები.

ძალიან ბევრი საინტერესო კვლევაა ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის დარგში. აი, კარგი მაგალითი ურთიერთკავშირისა მეცნიერებათა აკადემიისა და პრაქტიკას, სამედიცინო ინსტიტუტებს შორის. არის პროგრამა, არის დანერგვები, არის შედეგი და ყოველივე ეს მაღალ შეფასებას იმსახურებს.

მე უკვე ვისაუბრე საზოგადოებრივ მეცნიერებებზე, ენათმეცნიერებაზე და ამიტომ ამ საკითხებზე აღარ შეეჩერდები.

დაბოლოს მე მსურს აღვნიშნო, რომ, ალბათ, საჭიროა დაისახოს კიდევ პროგრამა საერთაშორისო მეცნიერული კავშირების გაუმჯობესების შიზნით, ე. ი. საჭიროა მივაღწიოთ უცხოეთში არა მარტო ჩვენები, არამედ მოვიწვიოთ კიდევ მეცნიერები სხვა ქვეყნებიდან. ამისათვის ახლა არსებობს შესაძლებლობანი და თუ თქვენ მოიფიქრებთ როგორ გადაკეთოთ ეს, რა თქმა უნდა, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი აქტიურად დაგეხმარებათ ამ საკითხებში.

დაბოლოს, მე მგონია, რომ საჭიროა იმ თეზისების საფუძველზე, რომლებიც მე აქ წამოვყავნე, შედგეს მეცნიერებათა აკადემიის გარდაქმნის კონკრეტული პროგრამა მიმდინარე წლისათვის. უნდა გაძლიერდეს მეცნიერულ კვლევათა ფუნდამენტურობა, სიღრმე, ამაღლდეს დონე და ყოველივე ეს უნდა განხორციელდეს ექსპერიმენტული ბაზის გაძლიერებისა და განვითარების, გამოთვლითი ტექნიკის განვითარების ბაზაზე, მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსების უზრუნველყოფით იმ მიზნობრივი პროგრამებისათვის, რომლებზედაც დღეს აქ ისაუბრა პრეზიდენტმა. ახლა დაფინანსდება არა ინსტიტუტი, არამედ პროგრამა. აი, რატომ ვილაპარაკე მე დღეს ასე ბევრი ამ



პროექტებისა და პროგრამების შესახებ. შეიძლება არსებითად ეს იყოს მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტი, მაგრამ ამაღლდება ანგარიშგება, პასუხისმგებლობა და კონტროლი ამ სამუშაოთა შესრულების დონისა.

აი, მგონი, მოკლედ, ყველაფერი ის, რისი თქმაც მინდოდა. ვსარგებლობ შემთხვევით და მსურს გისურვოთ დიდი წარმატებანი მეცნიერებათა აკადემიის ღრმა გარდაქმნის საქმეში. ჩემი აზრით, ამ პროცესს ყოველი ჩვენგანი თავისებურად ვანვიცდით, ვითვისებთ, ვაზრებთ, ვსაწვლობთ ერთმანეთისაგან. მე სრულებითაც არ მსურს, რომ თქვენ შეგექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს მე თქვენ რაღაც რეცეპტებს გაძლევთ. მე მხოლოდ გადმოგეცით ჩემი პირველი შთაბეჭდილება თეზისების სახით. ჩვენ კიდევ დიდხანს ვიმუშავებთ ამ მიმართულებით.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წლიურმა კრებამ, სკკპ XXVII ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, დასახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ფუნდამენტური მეცნიერების დაჩქარებულ განვითარებას, პრიორიტეტულ მიმართულებათა მიხედვით მეცნიერული კვლევის დონის შემდგომ ამაღლებას, სხვა სხვა ნეურნოების მოთხოვნებთან მეცნიერების უფრო მჭიდროდ დაკავშირებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მიღებულ ღონისძიებებში გათვალისწინებულია აკადემიური მეცნიერების უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარება უმაღლესი სკოლის მეცნიერებასთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში უმაღლესი სასწავლებლების საბაზო კათედრების გახსნის პრაქტიკის ფართო გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს მოწინავე და პერსპექტიული სტუდენტების გამოვლენას, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მათ ჩაბმას, ასპირანტურაში ჩასარიცხად ნიჭიერი ახალგაზრდობის შერჩევას.

ღონისძიებებში განსაკუთრებულ ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესების დაჩქარებას, სამეცნიერო კოლექტივებში ნაკლოვანებებისადმი შეუპოვებლობის, ჯანსაღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფეროს შექმნას, საკადრო პოლიტიკის განხორციელებისას სოციალისტური დემოკრატიის განვითარებასა და საჯაროობის შემდგომ გაფართოებას.

გათვალისწინებულია საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში კვლევადიების უფრო მეტად დაკავშირება დაჩქარებისა და გარდაქმნის თანამედროვე პირობებში წამოჭრილ პრობლემებთან, ისტორიკოსებისა და ფილოსოფოსების ყურადღების გამახვილება ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ობიექტური გაშუქებისადმი, აკადემიისათვის ტრადიციულ გამოკვლევათა გაღრმავება ეროვნებათაშორისი დამოკიდებულებების, ლიტერატურული კავშირებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

შემუშავებულ ღონისძიებებში, საკავშირო პროგრამებით გათვალისწინებულ ფუნდამენტურ გამოკვლევათა გაშლასთან ერთად, სამეცნიერო განყოფილებებისა და დაწესებულებების ყურადღება გამახვილებულია იმ გამოყენებითი პრობლემების დამუშავებაზე, რომელთა გადაწყვეტა წარმოების ყო-



ველმბრივ ინტენსიფიკაციასა და ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას რუნვეეოფს.

კრებამ საჭიროდ მიიჩნია ინტენსიური მუშაობის გაგრძელება მეცნიერული კვლევის ავტომატიზაციის, სამეცნიერო დაწესებულებათა თანამედროვე დანადგარებითა და გამოთვლითი ტექნიკით უკეთ აღჭურვისა და სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საერთო კრების მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს აკადემიური მეცნიერების ეფექტურობის გაზრდას, მისი როლის ამაღლებას სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში.



## ВЫСТУПЛЕНИЕ АКАДЕМИКА К. В. ФРОЛОВА

(стенографическая запись)

